იასუნარი კაბავატა - თოვლიანი მხარე



ორი პროვინციის საზღვარზე გრძელი გვირაბია გაჭიმული. გვირაბს იქით თოვლიანი მხარე იწყება: მატარებელმა ბნელი გვირაბი გაიარა და სანიშნო სადგურზე გაჩერდა. ღამე გამკრთალდა, ინათა.

ვაგონში, გასასვლელის მეორე მხარეს, ახალგაზრდა ქალი იჯდა, ქალი წამოდგა, სიმამურას გვერდით, ფანჯარასთან მივიდა და ჩამოსწია. ვაგონში ცივი, თოვლის სურნელით გაჟღენთილი ჰაერი შემოიჭრა.

ქალმა თავი ფანჯარაში გაყო და სივრცეს გასძახა:

- ბატონო სადგურის უფროსო!.. ბატონო სადგურის უფროსო!..

მალე თოვლზე ნელი ნაბიჯის ხმა გაისმა და ფანჯარას ხელფარნიანი კაცი მიუახლოვდა. ბეწვის ქუდი ყურებზე ჩამოეფხატა, ყელსახვევი ლამის ცხვირამდე ჰქონდა მოხვეული.

«ნუთუ ასე ცივა?» - გაიფიქრა სიმამურამ და ფანჯარაში გაიხედა. ყრუ, უდაბური ადგილი იყო. შორს, მთის ძირას, იქ, სადაც თოვლის ქათქათა სითეთრეს შავი ჩრდილივით დასდგომოდა ბინდი, ორიოდე ულაზათო შენობა, ეტყობა, რკინიგზელების სახლები მოჩანდა.

- მე ვარ, ბატონო უფროსო, მე გეძახოდით! როგორ ბრძანდებით?

- ა-ა, შენ ხარ, იოკო! მაშ, მიდიხარ შინ... აქ კი, აი, ხედავ, რა სიცივეებია.

- გავიგე, ჩემს უმცროს ძმას თქვენთან უმუშავია, გმადლობთ, ბატონო სადგურის უფროსო.

- ჰო, როგორ არა, მუშაობს...

ეჰ, ისეთი ვერანა ადგილია, ისეთი მოწყენილობაა, მეშინია, არ დაჭლექდეს. ცოდოა, ახალგაზრდა კაცია.

- ახალგაზრდა კი არა, ჯერ ისევ ბიჭია, ბატონო უფროსო, ძალიან გთხოვთ, თვალქვეშ იყოლიოთ, ყურადღება მიაქციოთ...

- მივაქცევ, მაშ რას ვიზამ... ჯერჯერობით კი რა უჭირს, ჯანზეა, სამსახურსაც თავს რიგიანად ართმევს... მალე ცხარე დღეები დაგვიდგება, გიყვარდეს, ბლომად გვექნება სამუშაო. შარშან ამ დროს ისეთი თოვლიანობა იყო, ენით აუწერელი, მოდიოდა და მოდიოდა შვავი, მატარებლებს აჩერებდა - იდგნენ ასე საცოდავად. ახლომახლო სოფლებში ხალხი საქმეს ვეღარ აუდიოდა, დღედაღამ ბრინჯს არჩევდნენ, დაზარალებულებს უხარშავდნენ.

- ბატონო უფროსო, თქვენ რაღაც ძალიან თბილადა ხართ ჩაცმული, ძმა კი მწერდა, ჯერ ჟილეტი არ ჩამიცვამსო.

- მე? თბილად კი არა, ოთხივე კიმონო ზედ მაცვია. ახალგაზრდებს რა ჭკუა მოეკითხებათ, აცივდება თუ არა, სხედან და ხუხავენ საკეს, მერე გაცივდებიან და გორაობენ ლოგინში...

- თქვა სადგურის უფროსმა და ფარნიანი ხელი რკინიგზის სახლებისაკენ გააქნია.

- ნუთუ ჩემი ძმაც მიეჩვია სმას?

- აჰ, არა!..

- უკვე მიდიხართ, ბატონო უფროსო?

- ჰო, ექიმთან უნდა ჩავიდე, დაჭრილი ვარ.

- უიმე, რას ბრძანებთ!..

სადგურის უფროსი, მართალია, იმ თავისი ოთხი კიმონოს გარდა თბილ პალტოშიც იყო გახვეული, მაგრამ, ჩანს, დიდად არ ეხალისებოდა ამ სიცივეში დგომა და ლაქლაქი და თითქმის ზურგშებრუნებულმა დასძინა:

- აბა, შენ იცი, კარგად იყავი!

- ბატონო უფროსო, ნეტავი ჩემი ძმა მორიგე ხომ არ არის? - იოკოს თვალი თოვლისაკენ გაეპარა, - გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ, გემუდარებით!

ო, რა გულისმომწყვლელი, რა მომაჯადოებელი იყო ეს ხმა! თითქოს მათრობელა ექოდ ეფინებაო თოვლის ღამეულ სუდარაში გახვეულ ქვეყანას, თან ყურში მკაფიოდ ჩაგძახოდა, ზარივით ჩაგწკრიალებდა.

აი მატარებელი დაიძრა, ქალი კი ისევ ფანჯარასთან იდგა. როდესაც ვაგონი რკინიგზის გასწვრივ მიმავალ სადგურის უფროსს გაუსწორდა, ქალმა კვლავ ხმამაღლა გასძახა:

- ბატონო უფროსო! ბატონო უფროსო! ჩემს ძმას გადაეცით, დასვენების დღე რომ ექნება, შინ წამოვიდეს, კარგი! უსათუოდ წამოვიდეს...

- ვ-ე-ე-ტყვი, ვ-ე-ე-ტყვი! - ხმამაღლა ძახილითვე გამოეპასუხა უფროსი.

იოკომ ფანჯარა დახურა და სიცივისაგან ალაკრულ ლოყებზე ხელისგულები მიიფარა.

აქ, ორი პროვინციის საზღვარზე, მთის რაიონში, დიდთოვლობას ელოდნენ. სამი თოვლსაწმენდი მანქანა გამზადებული იდგა. შვავი თუ ჩამოწვებოდა, სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ საავარიო სიგნალიზაციის ხაზი იყო გვირაბში გაჭიმული, თოვლის სახვეტად ხუთი ათასი კაცი თადარიგში ჰყავდათ. მზად იყო ორი ათასი მოხალისე ახალგაზრდისაგან შემდგარი სახანძრო რაზმიც.

სიმამურამ რომ გაიგო, იმ სასიგნალო სადგურს, სადაც იოკოს ძმა მუშაობს, შვავი და თოვლით დანამქვრა ემუქრებაო, ქალს გულისყური ვეღარ მოაშორა!

მართალია, წარმოდგენაც არა ჰქონდა, რა იყო ეს კაცი ამ ქალისა, მასთან ერთად რომ მგზავრობდა, მაგრამ კაცსაც და ქალსაც თავი ცოლ-ქმარივით ეჭირათ. კაცი, ეტყობა, ავად იყო. ავადმყოფის მიმართ კი, მოგეხსენებათ, ქალი მუდამ ყურადღებას იჩენს - უვლის, პატრონობს...

მერე მათ შორის მორიდების ზღვარი თანდათან იშლება, თანდათან ერთმანეთს ეჩვევიან, უშინაურდებიან და უცხო თვალისათვის ბოლოს ცოლ-ქმარს ემსგავსებიან.

მაგრამ სიმამურამ გონებაში ქალი თანამგზავრისაგან გამოაცალარისა, ქალი კი არა, ქალიშვილიაო - აიხირა. მთელი გზა თვალი არ მოუშორებია, როგორღაც უცნაურად უყურებდა, სულში საოცარი სინაზისმაგვარი რაღაც იგრძნო და ქალი კი არა, ქალიშვილიაო, სწორედ მას მერე დაიჩემა.

აგერ, სამი საათია ზის სიმამურა ვაგონში და თავის მარცხენა ხელს აცქერდება. უკვირს, თვითონ კი არა, თურმე მხოლოდ ეს მარცხენა ინახავს ხსოვნას იმ ქალისას, ვისთანაც ახლა, ამ მატარებლით მიიჩქარის. როგორღაც ერთბაშად მიხვდა ამას სიმამურა. ანაზდად შეიცნო, ანაზდადვე გაკრთა, გაოცდა... აკი დავიწყებოდა, აკი წაშლილიყო მის გულში სახე იმ ქალისა! და ახლა ამაოდ ცდილობდა, გაეცოცხლებინა მისი ხატება! ჩანს, ხელსაც ჰქონდა თავისი მეხსიერება, და აი, თვითონ სიმამურა კი არა, მისი მარცხენა მიისწრაფოდა ახლა იმ ქალისაკენ, რომლის სითბო და სინატიფე დღემდე შემორჩენოდა ამ თითებს... გაოგნებულმა ხელი თვალებთან მიიტანა, მერე ხელისგული ფანჯრის მინას დაუსვა და გაოცებისაგან შეცბა - მინიდან უცხო ქალის თვალმა შემოანათა.

აბა აქ გასაკვირი რა იყო - ის ყმაწვილი ქალი იქვე, მის წინ იჯდა და მინაზეც მისი ცალი თვალი იყო არეკლილი, მაგრამ ახლა სხვა საფიქრალს წაეღო სიმამურა, ამიტომაც ვერ გაიცნობიერა და ასე ამიტომ გაოცდა... ეს წუთია სულაც არაფერი მოჩანდა მინაზე, მერე თანდათან ორთქლით შეიცვარა და სიმამურამ შეცვარულ მინას ხელი რომ გადაუსვა, წკვარამი ღამე ფარდასავით აეკრა შიგნიდან განათებულ სარკმელს, მინის ზედაპირი სარკესავით ააბზინა, ჩააშიგნითა.

მხოლოდ ცალი თვალი იმზირებოდა სარკიდან, მაგრამ რა იაჯავარი კრთოდა, როგორ სხივცისკრობდა, რა საუცხოო მშვენებით ბრწყინავდა! და გზად დამდგარი კაცის მსუბუქი სევდით შეპყრობილმა სიმამურამ მინას კვლავ ხელი გადაუსვა.

ახალგაზრდა ქალი ოდნავ წინ წახრილი იჯდა, ავადმყოფს ისე დაჟინებით ჩასცქეროდა, თვალს არ ახამხამებდა. მისი გამოხედვა, მისი დაძაბული მხრები ცხადყოფდა, რა დიდი გულისხმიერებით ეკიდებოდა თანამგზავრს.

ვაჟს თავი ფანჯრის მხარეს ედო, მუხლებმოკეცილი იწვა და მუხლისთავები ქალის მკერდამდე უწევდა - მესამე კლასის ვაგონში ისინი ზუსტად სიმამურას წინ კი არა, ოდნავ გვერდით ისხდნენ, ამიტომაც მინაზე მხოლოდ ნაწილობრივ მოჩანდა მწოლიარე.

ქალი თითქმის ცხვირწინ ეჯდა. ცხადია, პირდაპირ სახეში უყურებდა, მაგრამ რატომღაც რცხვენოდა და ცდილობდა, თვალი აერიდებინა. მატარებელში რომ ჯდებოდა, ამ გოგოს ცინცხალი, ელდასავით სილამაზე მაშინვე თვალში ეცა, თუმცა იმავე წუთს მის ხელში მამაკაცის ფერმკრთალი ხელიც დალანდა და, წარამარა იქით ყურება უხერხულიაო, გაიფიქრა.

მშვიდი და უწყინარი იყო სარკეზე არეკლილი კაცის სახე, დამყოლი და თვინიერი მისი გამოხედვა. ვინ იცის, იქნებ ეს იმისი ბრალიც იყო, პირდაპირ ქალის მკერდს რომ უყურებდა.

სნეულებისაგან დაუძლურებული და უილაჯო, მთელი თავისი არსებით თუმცა ძლივს შესამჩნევ, მაგრამ, როგორიღაც სანეტარო შეხმატკბილებას, საამო ჰარმონიას გამოხატავდა. თავქვეშ შარფი ჰქონდა ამოდებული, რომლის ერთი ბოლო პირსა და ღაწვებზე ეფარა. როგორც კი შარფი კაცს ცხვირზე წამოეფარებოდა, ქალი მუდარიან მზერას არ დააცდიდა და შარფს ნაზად გაუსწორებდა, თან ისეთი უშუალო იყო, ისე წარამარა უსწორებდა ყელსახვევს, რომ გუნებაში ბრაზობდა კიდეც სიმამურა. ახლა ფეხებზე გადახურულ პალტოს შეუსწორებდა, კალთებს ამოუგებდა კიდევ და კიდევ, თან ისე ბუნებრივად, ისე გულწრფელად, ისე გულითადად ირჯებოდა, სულაც არავის დაგიდევდა, მგონი, აღარც კი ახსოვდა, სად იყო. ირგვლივ ყოველივეს გასცლოდა, გარიდებოდა, თავის იდუმალ სამყაროში ჩანთქმულიყო. სიმამურა კი უყურებდა და ასე ეგონა, სხვის უბედურებას კი არა, უცნაურ სიზმარს ვხედავ, მის ოინბაზობას ვარ აყოლილიო. ან იქნებ ასე ახირებულად იმიტომ ეჩვენებოდა, მთელ ამ ამბავს ცხადად კი არა, სარკეზე არეკლილს რომ ხედავდა?

სარკის სიღრმეში მიმწუხრის ფრთადაკრული ბუნება მოლივლივებდა...

არა, ეს თავად ბუნება კი არა, ამ ბუნების - ამ მთის, ამ მინდვრების ანარეკლი იყო და ეს ორი სურათი, ორი ანარეკლი, ისე როგორც კინოფილმში, ორმაგი კადრივით ენაცვლებოდა ერთმანეთს. არ იყო ოდნავი კავშირიც კი ფონსა და მოქმედ პირებს შორის, მაგრამ ვაგონში მჯდომი ქალ-ვაჟის მოჩვენებითი ირეალობა სრბოლაშემდგარი გარებუნების მთრთოლარე სურათებს ერწყმოდა, ერთმანეთში ირეოდა და სიმბოლოთა მისტიკურ სამყაროს ქმნიდა. ისე ძლიერი იყო ეს შეგრძნება, რომ, როცა ანაზდად შორს, მინდორში აბდღვრიალებულმა ცეცხლის ათინათმა უცხო ქალის სახეზე იფეთქა, სიმამურა აღტაცებისაგან გაშრა, გაშეშდა!

რა ხანია მზე გორაკებს იქით ჩაესვენა, გორაკების თავზე გადმომდგარი ზეცის დასალიერს კი ჯერ ისევ ვარდისფერი შუქი დასთამაშებდა. საღამოს ბინდბუნდში

მორიალე ბუნება, მართალია, ჯერ ღამის წყვდიადს არ შთაენთქა, მაგრამ სადღა იყო ფერთა ის სიკისკასე! უღიმღამოდ, მოწყენით იმზირებოდა მთა-ბარი. და მაინც, საღამოს ამ მწუხრდაკრულ ბუნებაში, ცხდია, იმ ქალის სახის გამო, ისე როგორც მოუხელთებელ გრძნობათა ნაკადში, საოცარი ჟინი და დაძაბულობა იგრძნობოდა. სახე მინაზე არეკლილი ბუნების ერთ ნაწილს ფარავდა, მის ირგვლივ გამუდმებით კრთებოდა - გაიელვებდა და გაქრებოდა ვაგონებს გამოკიდებული ველ-მინდვრების ღამეული ხატება, რის გამოც ქალის სახე გამჭვირვალე გეჩვენებოდა. თითქოს მიმწუხრით მოცული ეს მთები, ეს მინდვრები, სადღაც, მინის უკან კი არა, ამ ქალის სახეზე მოიჭავლებოდა.

არც ვაგონი იყო კარგად განათებული და არც სარკე იყო ნამდვილი - იგი არც სინათლეს ირეკლავდა, არც გამოკვეთილ ხატს აჩვენებდა...

- და აი, სარკედქცეულ ფანჯარაში მომზირალ სიმამურას ავადმყოფი თანდათან მიავიწყდა, თანდათან ღამეული ბუნების ლანქერში მოცურავე ქალის სახემ გაიხმო...

ანაზდად ქალს სახეზე მინდორში აბრდღვიალებული ცეცხლის ათინათი მოეფინა, მაგრამ ათინათმა შორეული ცეცხლის შუქი ვერ დაჯაბნა, თუმცა ვერც ცეცხლმა აჯობა საკუთარ ათინათს - ათინათმა ქალის სახე მთლიანად მოიცვა, მაგრამ ვერ აანთო, ვერ აავარვარა, ვინაიდან ეს თავად ცეცხლი კი არა, იმ ცეცხლის მხოლოდ ცივი და შორეული ნათება იყო. აი, ცეცხლის ათინათმა სარკეში არეკლილ თვალში ჩაიხედა, შიგ შუქად ჩადგა და საღამოს ბინდისფერ ტალღებში მოკიალე, იდუმალებით მოცულ ციცინათელას დაამსგავსა.

ქალს მის წინ მჯდომარე მამაკაცის დაჟინებული მზერა არ უგრძვნია, მთელი მისი ყურადღება ავადმყოფისაკენ იყო მიპყრობილი, რომც ამოეხედა, მინაზე საკუთარი სახის ანარეკლს კი არა, ფანჯარაში მომზირალ კაცს დაინახავდა და სულერთია, ვერაფერს მიხვდებოდა.

სიმამურა კი იჯდა და ქალს ჩუმად უთვალთვალებდა. ისე გაიტაცა სარკეში არეკლილი საღამური ბუნების ზღაპრულმა სამყარომ, აზრადაც არ მოსვლია, მისი საქციელი ამ ახალგაზრდა ქალის მიმართ არცთუ ისე ლამაზი და სასიქადულო რომ იყო.

იქნებ სწორედ ამ ზღაპრული ხილვებით შეპყრობილმა თავი ანაზდად რომელიღაც მოთხრობის გმირად წარმოიდგინა და როცა იმ ქალმა სადგურის უფროსთან ჭკვიანური საუბარი გააბა, კიდევ უფრო მეტი ცნობისწადილი იგრძნო მის მიმართ.

მატარებელი სადგურიდან რომ გამოვიდა, გარეთ უკვე წყვდიადი ღამე იწვა. მალე სარკეზე ჩანჩქერივით წამოსული ბუნების სურათები მიილია და უმალვე სარკემაც თავისი მაგიური ძალა დაკარგა. მართალია, ქალის ნატიფი სახე ისევ ირეკლებოდა სარკის გლუვ ზედაპირზე, მაგრამ სიმამურამ ორთქლით შეცვარული მინის წმენდას თავი ანება, ვინაიდან იმ სილამაზის, იმ სათნოებისა და მადლით სავსე ზრუნვა-

პატრონობის მიუხედავად, რასაც ქალი თავისი თანამგზავრის მიმართ იჩენდა, ეს მაინც ცივი და ხელშესახები რეალობა იყო.

მაგრამ ერთხელ კიდევ უნდა გაოცებულიყო სიმამურა, ერთხელ კიდევ უნდა ეფეთქა იმის ცნობისწადილს - ქალიც და მისი თანამგზავრიც სწორედ იმ სადგურზე ჩამოვიდნენ, სადაც თვითონ სიმამურა ჩავიდა. თითქოს რაღაც იზიდავდა, თითქოს რაღაც აკავშირებდა ამ ხალხთან, მიბრუნდა და ყურებაც კი დაუწყო. ლამის თვალებით ეკითხებოდა - მერე, მერე როგორღა მოვიქცეო?..

მაგრამ თავისი უწესო საქციელისა თვითონვე შერცხვა, თან ბაქანზე გადმოსვლისას სიცივემაც ძვალსა და რბილში დაუარა და ერთბაშად გამოაფხიზლა. მერე იმ მხარეს აღარ გაუხედავს, ორთქლმავალს წინ გადაუარა და გზა მოკლეზე გადაჭრა.

როცა ქალის მხარზე დაყრდნობილმა კაცმაც მოკლეზე გადასვლა მოინდომა, სადგურის მორიგემ ხელი გაუქნია და არ გაუშვა.

სწორედ ამ დროს სიბნელიდან საბარგო მატარებელი წამოიმართა და ქალიც და მისი თანამგზავრიც სიმამურას თვალთაგან წარიტაცა.

სასტუმროს მსახური ტანსაცმელში ისე იყო გახვეული, კაცს მეხანძრე ეგონებოდა - ყურებზე ქუდჩამოფხატულს ფეხზე რეზინის ჩექმები ეცვა.

ის ქალიც, მოსაცდელ დარბაზში რომ იჯდა და ვიღაცას ელოდა, იმ კაცივით იყო ჩაფუთნილი - ლურჯ მოსასხამში გახვეულს თავზე კაპიუშონი ეხურა.

გაღუღუნებული ვაგონიდან სითბოგამოყოლილ სიმამურას, მართალია, ჯერ სიცივე ისე არ შეეგრძნო, მაგრამ აქ, თოვლიან მხარეში ზამთარსა და თოვლობას წელს პირველად იყო და ამ თბილად ჩაცმულ-დახურული ხალხის დანახვამ ცოტა არ იყოს შეაშინა.

- ნუთუ ასე ცივა? ისე ხართ ყველანი ჩაცმულ-ჩათბუნებულები...

- დიახ, კარგა ხანია ზამთრის ტანისამოსი გვაცვია. დიდი სიცივეები დაიჭირა, განსაკუთრებით საღამოობით ყინავს, აი, თოვლს რომ გადაიღებს და ცა მოიწმინდება... ახლაც ალბათ ნულ გრადუსზე ნაკლებია.

- ნუთუ ნულზე ნაკლებია?..

სასტუმროს მსახურთან ერთად მანქანაში რომ ჯდებოდა, სიმამურამ მზერა თოვლში ჩაფლულ შენობებს მოავლო. სახურავებზე ყინულის კრიალა ლოლუები ეკიდა. უიმისოდაც პატარა, ჯუჯა სახლები თოვლში კიდევ უფრო დაბალი და მოუხეშავი ჩანდა.

მდუმარებაში გარინდებულიყო სოფელი, არსაიდან ხმა და ჩამიჩუმი არ ისმოდა.

- ჰოო, ჩანს, მაგარი სიცივეა, რასაც უნდა მიეკარო, ყველაფერი გათოშილია.

- შარშან ამ დროსაც სიცივე ლამის ქვას ხეთქავდა, ყინვამ ოცდარაღაც გრადუსამდეც კი მიაღწია...

- ეტყობა, ბარაქიანი თოვლი ეცოდინება.

- დიდთოვლობას ზოგჯერ ერთ ძიუმდე აღწევს.

- საცაა ალბათ წამოვა და წამოვა ფარტენა...

- დღე-დღეზე ველოდებით. ამ პერიოდში ასე იცის, ერთი თუ გააბა, მორჩა... ამასწინებზედაც კარგა გვარიანად მოთოვა, ყველაფერი გადაათეთრა.

- ხომ არ იცით, ის ქალიშვილი, მასწავლებლის სახლში რომ ცხოვრობდა, სხვაგან ხომ არ გადავიდა?

- არა, იქავეა, ეს-ესაა ისიც სადგურზე ტრიალებდა, აი, ლურჯმოსასხამიანი ქალი რომ იჯდა, ის არის.

- შეიძლება დავპატიჟოთ?

- დღესვე?

- ჰო, დღესვე.

- ვერ გეტყვით. ამბობდა, ბოლო მატარებლით მასწავლებლის ვაჟი უნდა ჩამოვიდესო. სადგურზეც იმის დასახვედრად მოვიდა.

უცნაურია... გამოდის, რომ ფანჯრის მინაზე არეკლილი ის უცხო ქალი იოკო იყო, ეტყობა, მასწავლებლის ავადმყოფი ვაჟი მოჰყავდა, იმ ქალის სახლის პატრონის შვილი, ვისი გულისთვისაც სიმამურა აქ, ამ თოვლიან მხარეში ჩამოვიდა...

ამის გაფიქრებაზე იგრძნო, გული როგორ შეეკუმშა. თუმცა, კაცმა რომ თქვას, ამ უცნაური დამთხვევით არცთუ ისე გაოცებული გახლდათ.

ერთბაშად მისი სული უცნაურმა წინათგრძნობამ შეძრა - აი, უკვე თვალნათლივ ხედავდა, რა უნდა მომხდარიყო იმ ქალსა, მოგონებად რომ დაურჩა მის ხელს, და იმ თვალმაცეცხლა გოგოს შორის, ცალ თვალში ალსა და ათინათს რომ ინთებდა.

ჩანს, სიმამურა ჯერ ისევ ფანჯრის მინაზე არეკლილი ზღაპრული სურათების ტყვეობაში იყო - ხომ შეიძლება, სარკეში მოლივლივე ღამეული ბუნების ის ნაკადი დროის ნაკადის სიმბოლური გამოხატულება იყოსო, - ფიქრობდა...

როდესაც სიმამურა აბანოდან გამოვიდა, სასტუმრო უკვე ძილსა და მდუმარებას მოეცვა, ვინაიდან სათხილამურო სეზონი ჯერ არ დაწყებულიყო და მთელ შენობაში მხოლოდ თითო-ოროლა კაცი თუ დაკანტიკუნტობდა. ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე შემინული კარების ზრიალი დაძველებულ დერეფანს ავსებდა. გრძელი დერეფნის

ბოლოს, მოსახვევში, ვიღაც ქალი დაინახა. ქალი ქანდაკებასავით გაუნძრევლად იდგა, კიმონოს კალთები შავად მოლაპლაპე იატაკზე ეფინა.

გრძლად დაშვებული კიმონოს დანახვაზე გუნებაში გაიფიქრა, ნეტავ გეიშად ხომ არ დადგაო და, შეკრთა სიმამურა! მაგრამ ქალს თავი მეტისმეტად ღირსეულად ეჭირა. იგი დინჯად გამოემართა სიმამურასაკენ, თავი ოდნავ დახარა, დარბაისლურად მიესალმა და მოშორებით შედგა. სიმამურამ სწრაფი ნაბიჯით გასწია ქალისაკენ. აი, ახლოს მივიდა, წინ დაუდგა, ოღონდ ხმა არ ამოუღია, სიტყვა არ დაუძრავს.

მაშინ გაღიმება სცადა ქალმა, მაგრამ შეპუდრულმა სახემ ღიმილი არ შეიშნო და მოცინარს კი არა, მოტირალს დაემსგავსა. ერთხანს გაჩუმებული იდგა, მერე უცბად გატრიალდა და პირდაპირ სიმამურას ოთახისკენ წავიდა.

რამდენმა წყალმა ჩაიარა, რა დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, სიმამურა კი ერთხელაც არ ჩამოსულა, ერთხელაც არ მოუწერია, არც დანაპირები იაპონური ცეკვების სახელმძღვანელო გამოუგზავნია. ნეტავი რას ფიქრობს, როგორ აფასებს მის საქციელს ყოველივე იმის შემდეგ, რაც მათ შორის მოხდა? გაერთო, დრო ატარა, მერე წავიდა და დაივიწყა! განა საწყენი, განა გულსაკლავი არ არის? განა სრული უფლება არა აქვს, ხმა არ გასცეს, იდგეს ასე და ელოდოს, რათა სიმამურამ უთხრას პირველმა, ბოდიში პირველმა მოუხადოს? მაგრამ ქალის გვერდით მიმავალი სიმამურა გრძნობდა, თუმცა თავი არ აუწევია და წესიერად სახეში არც კი შეუხედავს, ეს ქალი არათუ ადანაშაულებდა, მთელი თავისი არსებით მიელტვოდა, გული სითბო-სინაზითა ჰქონდა სავსე. ან კი რა უნდა უთხრას? ყოველგვარი თავის მართლება ახლა მხოლოდ უაზრობა იყო. გრძნობდა ქალის ამ უპირატესობას და დუმდა. მერე თანდათან გულში ნათელი ჩაუდგა, მთელი მისი არსება მოიცვა.

კიბესთან რომ მივიდნენ, სიმამურამ დამუჭული მარცხენა წინ გასწია.

- აი, ვის ახსოვხარ!

- მართლა?

ქალმა ხელი ჩაავლო, კიბის საფეხურებს შეუყვა და სიმამურაც თან გაიტაცა.

- ამას ვახსოვარ, არა, აი, ამას?

- არა, მარჯვენას არა, ამას, მარცხენას... - სიმამურამ მარჯვენა ხელი გაითავისუფლა, კოტაცუზე გადაფარებული საბნის ქვეშ შემალა და ქალს დამუჭული მარცხენა გაუწოდა.

- ვიცი! - წარმოთქვა ქალმა გულდინჯად, ოდნავ, სულ ოდნავ გაიღიმა, დამუჭული ხელი გაუშალა და სახეზე მიიტკბო, - ამას ვახსოვარ.

არა, ამას?

- უ, რა ცივი თმა გაქვს! არ ვიცოდი, თმის ასე გაყინვაც თუ შეიძლებოდა...

- ტოკიოში ჯერ არ მოუთოვია?

- გახსოვს, მაშინ რას მეუბნებოდი?.. აი, ხედავ, მართალი არ იყავი, ასე რომ არა, ამ თოშსა და ყინვაში აქ რა ჩამომიყვანდა, თანაც ამ ზამთრის პირას.

«მაშინ» ის-ის იყო ალპინისტური დღეები იწყებოდა. ზვავიანობას უკვე გაევლო და მთაში ხეტიალის მოყვარულები ახალშეფოთლილ მთებს შეჰფენოდნენ. ეს ის დრო გახლდათ, მაგიდიდან აკებიის ნორჩი ყლორტები რომ გაქრება.

უქმსა და უდარდელ ცხოვრებას მიჩვეულ სიმამურას აღარაფერი იტაცებდა, არაფერი აღელვებდა, ბუნება კი არა, საკუთარი თავის მიმართაც კი გულგრილი და დაუდევარი იყო. თუმცა თავადვე წუხდა თავის ამ გულარძნილობას და გრძნობებისათვის დაკარგული სიჩაუქე რომ დაებრუნებინა, პირს ხშირად იზამდა ხოლმე მთისაკენ. მაშინაც შვიდი დღე და შვიდი ღამე იხეტიალა მთა-მთა. იქიდან ცხელ წყლებზე რომ ჩამოვიდა, გეიშა მომიპატიჟეთო - ითხოვა, მაგრამ დაბეჯითებით ვერაფერი უპასუხეს: სოფელში დღეს გზის მშენებლობა დამთავრდა, აქაურებს დიდი ზეიმი და დროსტარება აქვთ, ნადიმისათვის შენობაც კი იქირავეს, აი ის, წარმოდგენები რომ იმართება და აბრეშუმის ჭია მოჰყავთ.

გეიშებიც იმ ნადიმზე იქნებიან. სულ რაღაც თორმეტ-ცამეტი გეიშაა, აბა თორმეტი გეიშა ამდენ ხალხს რას გასწვდებაო და ბოლოს ასე უთხრეს: «აქ ერთი ახალგაზრდა ქალია, მასწავლებლის სახლში ცხოვრობს, იქნებ ის დათანხმდეს და მოვიდეს, მართალია, ახლა ნადიმზეა, მაგრამ დიდხანს არ დარჩება, ერთი-ორს იცეკვებს და წამოვა!» როცა სიმამურამ იკითხა, ვინ არის, რას წარმოადგენსო, აუხსნეს, ცეკვის მასწავლებლის სახლში ცხოვრობს, მართალია, გეიშა არ არის, მაგრამ როცა რაიმე განსაკუთრებული დღეობა ან მეჯლისი იმართება, დიდი სიამოვნებით ეძახიან, მოგეხსენებათ, აქაური გეიშები აღარც ისე ახალგაზრდანი არიან, ისე ხალისით ვეღარ ცეკვავენ, ეს კი მთელი გულითა და სულით ცეკვავს, სოფელშიაც ძალიან აფასებენ. ისე, ნომერში მარტო თითქმის არასოდეს შედის, მოკლედ, ცუდი გოგო არ არისო... - დაახლოებით ასე აუხსნეს მაშინ სიმამურას.

მას კი ეჭვი ეპარებოდა, დარწმუნებული არ იყო, ნამდვილად მოვიდოდა თუ არა. მერე მოსამსახურე ქალმა ნომერში რომ შემოიყვანა, ისე გაუკვირდა, გაოცებისაგან ადგილიდანაც კი წამოიწია. გოგო კი იჯდა და მოსამსახურე ქალს გვერდიდან არ იცილებდა. ქალმა წასვლა რომ დააპირა, სახელოში ისე ჩააფრინდა, ხელიდან აღარ გაუშვა.

ქარქარა გოგო იყო, ასე გეგონებოდა, ფეხისგულებზე გავლებულ ყოველ პაწაწა ნაოჭშიაც კი თეთრი შუქი გასდიოდა და, ისევ გაკვირდა სიმამურა - თვალი თუ მატყუებს, მთაში ახალდახვითქულმა გაზაფხულმა თუ დამცადაო.

გოგო თითქმის გეიშას კვალობაზე იყო ჩაცმულ-დახურული, თუმცა ტანზე მშვენივრად მომდგარი კიმონოს ქობა იატაკზე არ დასთრევდა.

აი, ობი კი მართლაც რომ საუცხოო ეკეთა, იგი ცა და დედამიწასავით განსხვავდებოდა მთელი მისი სამოსისაგან და რატომღაც შეცოდების გრძნობას იწვევდა.

როცა ლაპარაკი მთაზე ჩამოვარდა, მოსამსახურე ქალმა დრო იხელთა და წავიდა. გოგო კი, ჩანს, კარგად არ იცნობდა ამ მხარეს, წესიერად ვერც ერთი იმ მწვერვალის სახელი ვერ დაასახელა, სოფლიდან ხელისგულივით რომ მოჩანდა. მოიწყინა სიმამურამ, ნეტავი საკე მაინც იყოსო - ინატრა, მაგრამ ერთბაშად გოგომ ენა ამოიდგა, თავისი ამბავი სულ თავიდან ბოლომდე ჩაურაკრაკა. ამ მხარეში დავიბადეო... ყველაფერს გულღიად ამბობდა, ბავშვივით გულუბრყვილოდ. ერთხანს ტოკიოში უმუშავია, მაგრამ მეურვეს გამოუსყიდია. თურმე იაპონური ცეკვის მასწავლებლობაზე ოცნებობდა...

საუბედუროდ, წელიწად-ნახევარსაც არ გაუვლია, რომ იმ კაცს სული უფლისათვის მიუბარებია... მხოლოდ მისი გარდაცვალების მერე გავიგე, ნამდვილი ცხოვრება რა არის, ვცხოვრობ ახლა ჩემს ნებაზე, როგორც ადამიანს შეეფერებაო. მაგრამ, აბა, რომელი ქალი იტყვის ყველაფერს გულახდილად? ცხრამეტი წლისა ვარო, შესახედად კი ოცდაორსაც მშვენივრად მისცემდი. ამის გაფიქრებაზე სიმამურა რატომღაც გათამამდა, ანაზდად სიტყვა კაბუკის თეატრზე ჩამოაგდო. ამ გოგოს კი თეატრიც მშვენივრად სცოდნია, ამ თეატრის მსახიობებიც, მათი ცხოვრების ასავალ-დასავალიცა და თამაშის ყაიდაც. საუბარს მონატრებული სიმამურა გატაცებით ლაპარაკობდა, გოგოც, როგორც ეს მხიარული უბნის ქალებს სჩვევიათ, თანდათან ეშხში შედიოდა, კეკლუცობდა. ჩანს, არცთუ ისე ცუდად ერკვეოდა მამაკაცის ხასიათსა და ბუნებაში.

სიმამურას, რომელსაც აზრადაც არ მოსვლია, ხომ შეიძლება ეს ქალიც გეიშა იყოსო, სრულებით განსხვავებულად, განსაკუთრებულად ექცეოდა. იქნებ ამ შვიდი დღის განმავლობაში მარტოობისაგან გაბეზრებულს ლაპარაკი სწყუროდა? იქნებ ჯერ ისევ გულში სინაზედ ჩამდგარი მთები მოქმედებდნენ მის წარმოსახვაზე? იქნებ ეს სინაზე გადაჰქონდა ამ გოგოზეც? ერთი კი ცხადი იყო - სულ უფრო მეტი თანაგრძნობით იმსჭვალებოდა, სულ უფრო მეტ სიახლოვეს გრძნობდა.

მეორე დღეს გოგომ ნომერში შეუარა.

ქალი ჯერ დამჯდარი არ იყო, ვინმე გეიშას ხომ ვერ მომიძებნიო, - მაშინვე ეს ახალა.

- როგორ თუ მოგიძებნი? - გაიოცა ქალმა.

- როგორ და, ისე! ვითომ არ იცი!

- ფუ, რა საშინელებაა! ალბათ, სიზმარშიაც ვერ წარმოვიდგენდი, ოდესმე ასეთ რაიმეს თუ მთხოვდით! ასე რომ მცოდნოდა, აქ ფეხსაც არ შემოვდგამდი!

ქალი გაბრაზებული წამოდგა და ფანჯარასთან მივიდა. ერთხანს გარსმოჯარულ მთებს გაჰყურებდა. მერე თანდათან სახეზე ცეცხლი წაეკიდა.

- ასეთი მე აქ არავინ მეგულება!

- თუ ღმერთი გწამს, ზღაპრებს ნუ იგონებ!

- ხომ გეუბნებით, აქ ასეთი არავინ არის-მეთქი! - იგი სიმამურასაკენ შემობრუნდა და იქვე, ფანჯრის რაფაზე ჩამოჯდა, - დამიჯერეთ, აქ არავინ არავის მაჭანკლობს, არაფერს აიძულებს, გეიშა ჩიტივით თავისუფალია, თავის ნებაზე ცხოვრობს. ხომ გეუბნებით, ასეა-მეთქი! თუ არ დაგიშლიათ, თუ მაინცდამაინც ასე გინდათ, აი, მოიპატიჟეთ ვინმე და თქვენ თვითონ მოელაპარაკეთ.

- შენ რომ მოლაპარაკებოდი ჩემს მაგივრად?

- ვითომ რისი გულისათვის?

- რისი და, იმისი გულისათვის, ჩემს მეგობრად რომ მიმაჩნიხარ. შენს დაყოლიებას კი იმიტომ არ ვცდილობ, მინდა ბოლომდე ასე მეგობრებად დავრჩეთ.

- მეგობრებად? - მიამიტად გაიმეორა ქალმა, მაგრამ მალე ისევ უკმეხად დააყოლა, - არა, დიდი უცნაური კაცი ხართ! ნეტავი ენა როგორ მოგიტრიალდათ, ასეთი რამ როგორ მთხოვეთ?

- ვითომ ისეთი რა ვთქვი? მთამ ჯანზე მომიყვანა, სისხლი ამიფორიაქა, ეგ არის და ეგ!.. ის კი არა, უწადილოდ შენთანაც ვერა ვარ, გელაპარაკები და თავში სააუგო აზრები მიტრიალებს.

ქალი თვალებდახრილი იჯდა, ღაწვებზე შავად დაჰფენოდა წამწამი.

სიმამურა შეჰყურებდა და აშკარა მამაკაცური კადნიერებით ავყიაობდნენ მისი თვალები. მართლაც რომ საოცრად ლამაზი წამწამები ჰქონდა ამ გოგოს, ყორნისფრთა, მიჯრით მისხმული წამწამები! მერე მარჯვნივ დახრილი სალუქი სახე წამოენთო, ღაწვისთავები შეეფაკლა.

- მაშინ რა მნიშვნელობა აქვს, ვინ იქნება, მოიპატიჟეთ ვიღაცა და ეგ არის!

- ვინ-მეთქი, აკი მაგას გეკითხები! მე ხომ აქ პირველად ვარ, რა ვიცი, ყველაზე ლამაზი ვინ არის!

- მაინც როგორი ლამაზი უნდა იყოს!

- როგორი და, ახალგაზრდა, ნორჩი. კარგია, ცოტა დაბნეულიც თუ იქნება, თან სუფთა და მწყაზარი, რაც მთავარია, ენატარტარა არ იყოს, ლაყბობა თუ მომინდება, შენთანაც კარგად ვილაყბებ!

- ჩემთან? მერედა, ვინ გითხრათ, კიდევ მოვალო?!

- ნეტავი რა სისულელეს ლაპარაკობ!

- აკი გეუბნებით, მე აქ ფეხის შემომდგმელიც აღარა ვარ!

- ხომ არ გაცდუნებ, აი, ისე, ქალებს რომ აცდუნებენ, პირიქით, მინდა ჩვენ შორის რაც შეიძლება ფაქიზი დამოკიდებულება იყოს, მეგობრული, ყოველგვარი ქვენა აზრების გარეშე.

- აი, თავხედობაც ამას ჰქვია!

- რატომ არ გესმის, ვთქვათ, ჩვენ შორის რაღაც მოხდა, რა ვიცი, ხვალ რა გუნებაზე ვიქნები, ლაპარაკი კი არა, იქნებ შენი დანახვაც არ მინდოდეს.

მე კი მთაში ამდენი ხეტიალის მერე ადამიანური საუბარი მენატრება. ხომ გამიგე, რატომაც გერიდები? ჩამოსული კაცი ვარ, ნურც ეს დაგავიწყდება!

- მართალი ხართ!

- საქმეც ის არის, რომ მართალი ვარ! ჩვენ შორის რაიმე რომ მოხდეს, ალბათ შენი თავი შენ თვითონ შეგზარდება... მე კი... ვითომ რატომ უნდა ვიყო იმასთან, ვინც შემთხვევით ხელთ მომხვდება...

ერთიც ვნახოთ, არ მომეწონა? განა არ სჯობია, შენ ამომირჩიო?

- არც იოცნებოთ! - მკვახედ მიახალა ქალმა და პირი იბრუნა, მაგრამ მალე ისევ დაეთანხმა,- რა ვიცი, იქნებ თქვენ უფრო მართალი ხართ!

- არადა, ხომ შეიძლება ჩვენი ეს კარგი მეგობრობა ერთი ხელის დაკვრით წაიშალოს!... ხინჯისა და უსიამოვნო გრძნობის მეტი გულში არაფერი დაგვრჩება.

- ჰო, მუდამ ასეა!.. მე ხომ ნავსადგურში დავიბადე. აქაც, აი, ეს ცხელი წყლებია... - ანაზდად ბავშვივით გულღიად ატიკტიკდა გოგო. - ეს მუშტრები ხომ ჩამოსული დამსვენებლები არიან. მართალია, ჯერ ახალგაზრდა ვარ, მთლად კარგად ვერ ვერკვევი, მაგრამ რამდენისგან გამიგონია, შეხვედრია ვიღაცას, მოსწონებია, გულშიაც ჩავარდნია, ის კი ისე წასულა, ვერ გამოსტყდომია...

მერე ბევრი დროც გასულა, ბევრ წყალსაც ჩაუვლია, გულიდან კი ვერა და ვერ ამოუღია, წერილებსაც თურმე ასეთები იწერებიან... ჰო, მუდამ ასეა...

ქალი ფანჯარასთან ტატამზე დაჯდა. უცნაური სახე ჰქონდა, თითქოს აი, ზის სიმამურას გვერდით და თავისი წარსული ცხოვრების სურათებს გასცქერისო.

ისეთი მიმნდობი, ისეთი ალალი თვალებით შესცქეროდა, ისე გულღიად ლაპარაკობდა, სიმამურა როგორღაც შეცბა, შეიშმუშნა - რა ადვილი მოსატყუებელიაო, - გაიფიქრა.

კაცმა რომ თქვას, ტყუილი ხომ არაფერი უთქვამს? ახლა სიმამურას მხოლოდ ქალის სხეული სწადია, ამ წადილის დაოკება სულ ერთი წუთის საქმეა, სტუმარს კი ამას ვერ შეჰკადრებს. რაც უნდა იყოს, რა წარსულიც უნდა ჰქონდეს, აშკარაა, ამ საქმის ქალი არ არის, მეტისმეტად სუფთაა, შეურყვნელი. საკმარისია შეხედო, რომ ამას მაშინვე მიხვდე.

საცაა ზაფხულიც დადგება - ამასაც ითვალისწინებდა სიმამურა - ოჯახით ჩამოვა, ამ სოფელში დაისვენებს. ეს ქალი (კიდევ კარგი, გეიშა არ არის!) მის ცოლს უამხანაგებს, იქნებ ერთი-ორი ცეკვაც შეასწავლოს, აბა ცუდი რით იქნებაო? მაგრამ ერთს ვერ ითვალისწინებდა - ამ ქალთან მეგობრობასა თუ რაღაც ამდაგვარს რომ ცდილობდა, ისე ბრმად ირჯებოდა, თითქოს თავთხელში ალალბედზე მიაბოტებს, ფონის საძებნად თავს არ იღლისო...

გონებაში ჯერ ისევ მინაზე არეკლილი საღამეული ბუნების ის სურათები უტრიალებდა, მისდა უნებურად ამ ქალთან რომ აკავშირებდა. შემთხვევით შეხვედრილ ქალს კი მხოლოდ იმიტომ როდი გაურბოდა, მარტო ამის მოსალოდნელ შედეგებზე ფიქრობდა - რა თქმა უნდა, არა.

ეს ქალიც, ისე როგორც მწუხრის ბინდში ფანჯრის მინაზე მორიალე ქალის ხატება, არც ისე რეალურად ესახებოდა.

ახსოვს, ევროპულმა ბალეტმა რომ გაიტაცა, მის სულში მაშინაც რაღაც ამდაგვარი ხდებოდა. ტოკიოს სავაჭრო უბანში გაზრდილსა და დაბადებულს ჭიპი კაბუკის თეატრში ჰქონდა მოჭრილი, თავისი ხუთი თითივით იცნობდა და უყვარდა. მერე და მერე კი, სტუდენტობის წლებში, იაპონურ ცეკვასა და პანტომიმას გადაჰყვა. ყველაფერში ასეთი იყო - უნდოდა ძირისძირობამდე ჩასწვდომოდა ცეკვის არსს, მთელი ძველი ხელნაწერები გადაქექა, დადიოდა ხან ერთ, ხან მეორე სკოლაში, ეცნობოდა ეროვნული ცეკვის გადამმუშავებლებს და ბოლოს ამ საკითხზე რაღაც ესესა თუ კრიტიკული ნარკვევის წერას მიჰყო ხელი. ასეთი გატაცების ბუნებრივი შედეგი კი ის აღშფოთება გახლდათ, ერთი მხრივ ეროვნული ცეკვის ტრადიციების ერთ წერტილზე მიძინებამ, ხოლო მეორე მხრივ იმ ტრადიციულ ხელოვნებაში რაღაც ახლის შეტანის უხეშმა მცდელობამ რომ გამოიწვია. ყოველივე აქედან გამომდინარე, უნდოდა თუ არა, ის, სიმამურა, უბრალოდ, ვალდებულიც იყო (ყოველ შემთხვევაში, თვითონ ასე მიაჩნდა), თეორიიდან პრაქტიკაზე გადასულიყო. მაგრამ, როდესაც ახალგაზრდა მოცეკვავეებმა იგი თავიანთ რიგებში მიიწვიეს, არც აცია, არც აცხელა, და ახლა ევროპულ ბალეტზე გადაინაცვლა.

ისე იყო ამ ახალი ციებ-ცხელებით შეპყრობილი, ვიღას ახსოვდა იაპონური ხალხური ცეკვა! ევროპულ ბალეტზე კი თუ სადმე წიგნი ან ფოტოსურათი მოიძევებოდა, არაფერი დაუტოვებია, ყველაფერი შეიძინა, ის კი არა, იმდენი იწვალა, აფიშები და პროგრამებიც კი მიიღო საზღვარგარეთიდან. ახლა მხოლოდ ევროპული ბალეტიღა აკლდა თავად ევროპელთა შესრულებით. თუმცა დიდად არ დაგიდევდათ ამ ამბავს, აინუნშიაც არ აგდებდა! სწორედ ეს იყო მისი გატაცების ეშხი და მარილი. ამის დამამტკიცებელი იაპონელთა მონაწილეობით შესრულებული ევროპული ბალეტისადმი სიმამურას სრული გულგრილობაც გახლდათ. სამაგიეროდ, არ იტყვი, რა იოლი იყო ასე წერა! დაიდებდა წიგნსა თუ ჟურნალს და წერდა და წერდა გამალებული! იმაზე წერა და განსჯა, რაც თვალითაც არასოდეს ენახა, ზენაარ საქმედ ესახებოდა. ო, რა სასიამოვნო იყო ოთახში ჯდომა და მშვენიერ ხელოვნებაზე მსჯელობა, წყაროსთვალივით მოდიოდა, თავისით იწერებოდა სადიდებელი ჰიმნი იმ იდუმალი ღვთაებისა. მართალია, სიმამურა თავის ამ ნაცოდვილარს კვლევას ეძახდა, მაგრამ კვლევა კი არა, ეს მხოლოდ მისი გონების წარმონასახი იყო.

იგი განსჯიდა და აფასებდა არა ცოცხალ, სისხლხორცშესხმული შემსრულებლების ხელოვნებას, არამედ ევროპული წიგნებითა და ფოტოსურათებით გაცხოველებულ ფანტაზიას. კვლევას კი არა, ეს რაღაც შორეულსა და უცნობ შეყვარებულზე ჭმუნვას უფრო ჰგავდა. მიუხედავად ამისა, ხანდახან მაინც წაჯღაბნიდა რაიმე საყველპურო წერილს ევროპული ბალეტის თაობაზე და, ასე განსაჯეთ, ამ საქმის მცოდნედაც კი ითვლებოდა. კაცი, რომელსაც ამქვეყნად სხვა საქმე და საზრუნავი არაფერი გააჩნდა, მთელ თავის სიამოვნებას ამ საქმეში ჰპოვებდა. ესეც კია, თვითონვე დასცინოდა საკუთარ თავს ამის გამო.

და აი, თავისი ეს ცოდნა დღეს პირველად გამოადგა - ცეკვაზე საუბრით ქალის გული მოინადირა. ეგ არის, ქვეცნობიერად ამ ქალსაც ისევე ეკიდებოდა, როგორც იმ ევროპულ ბალეტს.

სწორედ ამიტომ იყო, თავისდა უნებურად მისი ცხოვრების მტკივნეულ ადგილს რომ შეეხო, ყარიბის ოდნავი სევდით შეპყრობილს ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს ამ ქალის მოსატყუებლად, მის მოსაღორებლად იჭერდა თადარიგს.

- გესმის, ჩვენ შორის ყველაფერი თუ ასე დარჩება, ერთმანეთთან თავს მაშინაც კარგად ვიგრძნობთ, ცოლ-შვილთან ერთად დასასვენებლად რომ ჩამოვალ.

- ჰო-ო-ო... მივხვდი...

ყველაფერს მივხვდი...

ქალს ხმა ჩაუწყდა, ჩაეფერფლა, მერე კეკლუცად, ნამდვილი გეიშასავით გაიღიმა, - ასეთი დამოკიდებულება მეც ძალიან მომწონს, რაც უფრო უბრალოა ურთიერთობა, მით უფრო ხანგრძლივია.

- რა თქმა უნდა!..

მაშ, მომიყვან, არა?..

- ახლავე?

- ჰო, ახლავე...

- პირდაპირ მაოცებთ! სად წავიდე, ვის რა ვუთხრა ახლა, ამ შუადღისას?!

- ასე თუ გაწელე, ბებრუხანების მეტი არავინ დაგვრჩება.

- როგორ გეკადრებათ, ასე როგორ ლაპარაკობთ! ნეტა ვიცოდე, რა ხდება მაგ თქვენს გონებაში?! აქაოდა, ცხელ წყლებზე ვარო, ასე გგონიათ, აქ ყველას სინდის-ნამუსი აქვს დაკარგული? მე კი ვფიქრობ, ჭკუათმყოფელმა კაცმა საკმარისია ამ ჩვენს სოფელს თვალი ერთი უბრალოდაც გადაავლოს, რომ მაშინვე მიხვდეს, ეს რომ ასე არ არის.

აშკარად ეტყობოდა, გაღიზიანებული იყო. მერე კი, როცა სიმამურამ თავს უფლება მისცა და ისევ გამოთქვა ეჭვი ამის თაობაზე, ერთბაშად იფეთქა, მაგრამ ბოლოს მაინც აუხსნა, - აკი გითხარით, აქაური გეიშა ჩიტივით თავისუფალია. ოღონდ მუშტართან პატრონის ნებართვის გარეშე თუ დარჩა, პატრონი პასუხს არაფერზე აგებს. სულ სხვაა, როცა ეს პატრონის ნებართვით ხდება - რაც უნდა დაემართოს, რაც უნდა მოუხდეს, ყველაფერზე თვითონ პატრონივეა პასუხისმგებელი.

- ვითომ ისეთი რა უნდა მოხდეს?

- რა უნდა მოხდეს და, ხომ შეიძლება ქალი დაფეხმძიმდეს, ათასი რამ ჭირი და სენი შეეყაროს!

თავის სულელურ შეკითხვაზე სიმამურას თვითონვე გაეცინა და გუნებაში გაიფიქრა - რა გასაკვირია, ამ ყრუ სოფელში, ამ უკაცურ მთებში გამოკეტილი ქალი ასეთი არხეინი და ყურწაგდებული იყოსო.

იქნებ მიმიკრიისადმი თანდაყოლილი იმ საოცარი მიდრეკილების წყალობით, ზერელე, ქარიფანტია კაცს რომ ახასიათებს, სიმამურა მუდამ განსაკუთრებულ ალღოს ამჟღავნებდა იმ ხალხის ადათისა და ზნე-ჩვეულების მიმართ, სადაც ან რა ხალხშიაც მოხვდებოდა. ამ უბრალო, ერთი შეხედვით პურაძვირ სოფელსაც მან მაშინვე შეამჩნია ერთგვარი სილაღე და გულხალვათობა. მერე და მერე გამოირკვა, მთელ იმ თოვლიან მხარეში იგი თურმე ყველაზე იღბლიანი სოფელი იყო.

რკინიგზა სულ რაღაც ორიოდე წლის წინ გაეყვანათ. მანამდე კი ეს ცხელი წყლები ახლომახლო სოფლელებს გარდა თურმე არც არავინ იცოდა, არც არავინ მკურნალობდა. ძნელად თუ ვინმე ეწვეოდა იმ დაწესებულებას, რომლის ფარდაზეც «სასაუზმე» ან «რესტორანი» ეწერა, ვინაიდან ეს ჩიკრიკელა, უთვალიო შენობები, მათი ძველმოდური, შეჭვარტლული სიოძები სულაც არაფრით შეესადაგებოდა ამ

სახელწოდებებს. გარდა იმ სასაუზმისა და რესტორნისა, თითო-თითო გეიშა საწვრილმანოებსა და საშაქარლამოებშიც ჰყავდათ, თუმცა არც მათი პატრონები ჰგავდნენ მხიარული დაწესებულების ნამდვილ მფლობელებს. სოფლის სხვა გლეხების მსგავსად, ისინიც მინდორში მუშაობდნენ, იმ გლეხებივით ისინიც მიწას ხნავდნენ და თესავდნენ. ჩანს, არც გეიშები აფასებდნენ მაინცდამაინც თავიანთ მდგომარეობას და მეჯლისში ეს ახალგაზრდა ქალი თუ წაეხმარებოდათ, თავს ჯავრით არ იკლავდნენ. ვინ იცის, იქნებ იმასაც უწევდნენ ანგარიშს, ის ქალი მასწავლებლის სახლში რომ ცხოვრობდა.

- მაინც რამდენი ხართ?

- ვინ, გეიშა? მგონი, თორმეტი ან ცამეტი უნდა ვიყოთ.

- ჰოდა, თქვი ახლა, ვის დავუძახოთ? ჰო, ჰო, სახელი მითხარი! - სიმამურა წამოდგა და ღილაკს ხელი დააჭირა.

- მე ახლა წავალ, კარგი? - თქვა ქალმა.

- მერედა აქ უშენოდ რა უნდა გავაკეთო?

- სულაც არ მეპიტნავება აქ ჯდომა და ამ ამბების ყურება! - ქალმა ისე წარმოთქვა ეს სიტყვები, თითქოს ხელის აქნევით თავიდან შეურაცხყოფას იშორებსო, - წავედი...

ნუ წუხხართ, სულ ხომ არ მივდივარ, ხშირად შემოგივლით.

მაგრამ, სწორედ ამ დროს ოთახში მსახური ქალი შემოვიდა და ვითომც არაფერი, ისევ დაჯდა. მსახურმა რამდენიც არ ჰკითხა, ვინ გნებავთ, ვის დავუძახოო, ვერავინ დაუსახელა.

მალე გეიშაც მოვიდა. პატარა გოგო იყო, თექვსმეტი-ჩვიდმეტისა თუ იქნებოდა... სიმამურამ ერთი კი შეხედა და მთელი ის ნდომა და წადილი, მთიდან ჩამოსვლის მერე ასე რომ გვემდა და აწვალებდა, ერთბაშად სადღაც გაქრა. გულს სევდა შემოაწვა, მოიწყინა. როგორმე თავისი უგუნებობა რომ დაეფარა, ისეთი სახე მიიღო, ვითომ ამ ჯერ ისევ ბავშვურ, მკლავებგატრუსულ მიამიტ გოგოს უყურებსო, სინამდვილეში იჯდა და მის ზურგს უკან, ფანჯარაში, მწვანედ მოხასხასე მთებს გაჰყურებდა. ახლა ლაპარაკის ხალისიც აღარ ჰქონდა.

ნამდვილი მიყრუებული სოფლის გეიშა იყო. როცა კომაკომ ჩათვალა, მე აქ უკვე ზედმეტი ვარო და წავიდა, სიმამურას მაშინ კი აშკარად წაუხდა გუნება. ახლა მხოლოდ იმაზეღა ფიქრობდა, ეს გოგო თავიდან როგორ მოეშორებინა. მერე ერთბაშად გაახსენდა, ფოსტაში რომ უნდა წასულიყო და იმ ახალგაზრდა გეიშასთან ერთად ოთახიდან გავიდა.

მაგრამ სასტუმროდან გამოსულმა მზერა შენობის უკან აღმართულ, ახალგამოფეთქილი ფოთლებით გადაბიბინებულ, მწვანედ მოღაღანე მთას ჰკიდა.

მთა ანდამატივით იზიდავდა, ეძახდა, თავისკენ უხმობდა სიმამურას და გზა-ბილიკის განურჩევლად იგი ზევით-ზევით შეუყვა მთის კალთას.

უცბად მისი ხმამაღალი ხარხარი გაისმა, თუმცა სასაცილო, კაცმა რომ თქვას, არაფერი იყო.

ბოლოს სასიამოვნო დაღლილობა იგრძნო, მობრუნდა, კიმონოს კალთები ობიში ჩაიტანა და დაღმართზე სირბილ-სირბილით რომ დაეშვა, ფეხებთან ორი ყვითელი პეპელა აუფარფატდა.

პეპლები ნელა მიიწევდნენ ცისკენ, მაღლა, სულ მაღლა, ბოლოს ფრთებს ფერი გაუმკრთალდა, მთის კამკამა ჰაერს თეთრი ლაქასავითღა დააჩნდა.

- რა იყო, რა დაგემართათ? - კომაკო კრიპტომერიის ჩრდილში იდგა, - ისე გულიანად იცინით...

- გადავიფიქრე, გესმის, გადავიფიქრე! - ისევ ახარხარდა სიმამურა.

- მართლა?

ქალმა კაცს ანაზდად ზურგი აქცია, კრიპტომერიის ხეივანს შეერია... მალე სიმამურაც უსიტყვოდ მიჰყვა ქალს უკან.

სინთოურ ტაძართან ქალი ძაღლის ხავსმოკიდებული ქანდაკების გვერდით, ბრტყელ ქვაზე ჩამოჯდა.

- გრილი ადგილია, შუა ზაფხულშიაც კი გრილი სიო უბერავს...

- რაო, ყველა აქაური გეიშა ისეთია, როგორიც ესაა?

- მე მგონი, კი... თუმცა, მასზე ცოტა უფროსებს შორის ლამაზებიც ურევია.

მშრალად, უხალისოდ თქვა ქალმა და თავი რომ დახარა, კისერზე კრიპტომერიის ბინდისფერი სიმწვანის ანარეკლი აუთამაშდა.

კრიპტომერიებს ზევით, სულ ზევითა და ზევით აეტოტებინათ სწორი, ლატანივით აქნილი შტოები.

როგორადაც უნდა მოგენდომებინა, მთელი ტანითაც რომ გადახრილიყავი, ხელები კლდისათვის მიგებჯინა და ისე აგეხედა ხისათვის, კენწერომდე თვალს მაინც ვერ ააწვდენდი. წიწვის მუქ სიმწვანეს ცა თაღივით გადაეხურა, მის ქვეშ ოდნავ, სულ ოდნავ მღეროდა სიჩუმე.

სიმამურა ბებერი კრიპტომერიის ზროზე ზურგმიყრდნობილი იჯდა. რატომღაც ჩრდილოეთით ხეს ტოტები გახმობოდა და ღეროში მარგილებივით ჩარჭობილი, აქეთ-იქით შავად გაჩხიკული როკები ზეცის მრისხანე იარაღს მიაგავდა.

- არა, გესმის, როგორ შევცდი! - თქვა სიცილით სიმამურამ, - მეგონა ყველა აქაური გეიშა ლამაზია-მეთქი.

რატომ? რატომა და იმიტომ, მთიდან ჩამოსვლისას პირველად შენ რომ შეგხვდი...

თქვა და მხოლოდ ახლაღა მიხვდა, საქმე რაშიაც იყო - მართალია შვიდ დღეს მთაში დაგროვილი ენერგია გამოსავალს ეძებდა, მაგრამ, თუ არა ეს ქალი, წადილით ასე არ აივსებოდა.

ქალი კი იჯდა და დაჟინებით გასცქეროდა ჩამავალი მზის სხივებში მოლაპლაპე შორეულ მდინარეს... და, ქალმაც და კაცმაც, თავი ორივემ უხერხულად იგრძნო...

- ოი, თქვენ ალბათ მოწევა გენდომებათ! - თქვა ქალმა. ცდილობდა, რაც შეიძლება უშუალო ყოფილიყო. - იცით, მაშინვე უკან შემოვბრუნდი, თქვენ კი უკვე ნომერში აღარ იყავით.

ნეტავი სად წავიდა-მეთქი, გავიფიქრე... ანაზდად ფანჯარაში დაგინახეთ - სულ კისრისტეხით არბოდით ფერდობზე... იცით, ისეთი სასაცილო იყავით! მერე გავიხედე, სიგარეტი დაგვიწყებოდათ... დავავლე ხელი და წამოვიღე.

ქალმა კიმონოს სახელოდან სიგარეტი გამოაძრო, კაცს მიაწოდა და თან ასანთს მოუკიდა.

- ძალიან ცუდად კი გამომივიდა იმ გოგოსთან...

- დიდი ამბავი!.. მუშტრის საქმეა, როცა უნდა მოიყვანს და როცა უნდა გაუშვებს.

ყურთასმენას ქვის კალაპოტში მოდუდუნე მდინარის ხმაური სწვდებოდა, კრიპტომერიის ხეებს შორის კალთებზე ჩრდილმოხშირებული მთები იმზირებოდნენ.

- მერე რომ შეგხვდები, ხომ გულს დამაკლდება, დრო შენსავით ლამაზ ქალთან რომ არ გავატარო?

- ნეტავი რაებს მელაპარაკებით! არა, მაინც რა ჯიუტი კაცი ხართ!.. - ბრაზით, დამცინავად წარმოთქვა ქალმა.

მაგრამ იმ ახალგაზრდა გეიშას მოსვლის შემდეგ მათ დამოკიდებულებაში რაღაც აშკარად შეიცვალა.

როგორც კი სიმამურასთვის ნათელი გახდა, იმთავითვე თურმე ეს ქალი მეწადა, მხოლოდ ამ ჩემი უშნო ჩვეულების გამო ვუტრიალებდი გარშემო, ჩემი ხასიათის გამო ვედებოდი ღობე-ყორესო, საკუთარი თავი შესძაგდა. სამაგიეროდ, იმ წუთის მერე, ხეივნიდან რომ დაუძახა, მის თვალში ქალი კიდევ უფრო გალამაზდა, კიდევ უფრო შორეული, ჰაეროვანი და კამკამა გახდა.

მართალია, მისი ნაზი, ქანდაკი ცხვირი ერთი შეხედვით თითქოს უსიცოცხლო მოგეჩვენებოდა, თითქოს ისეთი ეშხი და მიმზიდველობა ვერა ჰქონდა, სამაგიეროდ მშვენიერი, მდუმარების დროსაც საოცრად მეტყველი, მთრთოლარე ბაგეები წითლად უხასხასებდა.

უცნაურია, სიმამურას იგი რატომღაც ბეჭდად შეკრულ, სისხლისფერ წურბელას აგონებდა... ეს მათრობელა ბაგეები ნაოჭით დაღარული ან გაცრეცილ-ფერჩატეტკილი რომ ყოფილიყო, იქნებ უსიამოვნოდაც კი მოგჩვენებოდა, მაგრამ, ო, რა ნამი უბრწყინავდა, რა გულწარმტაცად უღაღანებდა! ისეთი სწორი, თარგში მოყვანილივით თვალის ჭრილი ჰქონდა, კაცს უცნაურადაც კი მოგეჩვენებოდა. არც ძალიან ხშირი, არცთუ ისე მაღალი წარბები ცისარტყელებს მიუგავდა. ოდნავ ყვრიმალწამოზრდილი სახის გვრემანობა ჩვეულებრივი, თითქოს მომრგვალო უფრო იყო, სამაგიეროდ ფაიფურივით მოკალმული სახის კანი თეთრად უქათქათებდა, ოდნავი ვარდისფერი დაჰკრავდა. ჰქონდა საოცრად ნაზი, ბავშვივით ნატიფი კისერი და იქნებ ამის გამო იყო, იგი მხოლოდ სილამაზით კი არა, პირველყოფილი სიწმინდითა და სიფაქიზით რომ გაოცებდა.

- შეხეთ, რამდენი მუმლი დაგვესია!

ქალი წამოდგა, კიმონოს კალთებს ხელი ჩამოუსვა, ჩამოიბერტყა.

უკვე აუტანელი გამხდარიყო ამ მდუმარებაში დარჩენა - უხერხულობის გრძნობა სულ უფრო ეუფლებოდა ორივეს, სახეზე ჩრდილივით ეფინებოდა.

საღამოს ათი საათი იქნებოდა, ქალმა დერეფნიდანვე ხმამაღლა რომ დაუძახა და ნომერში მთვარეულივით შემოლასლასდა. ფეხზე ძლივსღა იდგა - საცაა დაეცემაო... მერე მაგიდასთან უღონოდ დაეშვა და წყალს ხმაურით რომ დაეწაფა, მაგიდაზე ჭურჭელი აწკრიალდა.

ამ საღამოს ძველი ნაცნობები შემხვდნენ - შარშან ამ დროს, მახსოვს, სწორედ სათხილამურო სადგურზე გავიცანი...

უღელტეხილი გადმოუვლიათ... სასტუმროში მიმიპატიჟეს, უარი აღარ ვუთხარი, მერე გეიშებიც მოვიდნენ, დიდი დროსტარება და მხიარულება გაჩაღდა, დამათვრესო...

ქალი ლაპარაკობდა, ენა არ გაუჩერებია, თან ლამის იქცეოდა, თავს ძლივს იმაგრებდა: - ახლა წავალ, უხერხულია, ალბათ მეძებენ... მერე ისევ აქ მოვალ, კარგი?

თქვა და წამოდგა, ბარბაცით გავიდა ოთახიდან.

ზუსტად ერთი საათის შემდეგ დერეფანში კვლავ არეული ნაბიჯის ხმა გაისმა. ჩანს, ქალი მოდიოდა, თან კედლებს აწყდებოდა. იქნებ თავს ვერ იმაგრებდა და ეცემოდა კიდევაც.

- სიმამურა-სან, სიმამურა-სან! - მოისმა ქალის ხმამაღალი ძახილი, - სიმამურა-სან, ვერაფერს ვხედავ, გესმით, ვერაფერს ვხედავ!

ეს იყო გაშიშვლებული სულის ძახილი, ძახილი დიაცისა, რომელიც მამაკაცს უხმობდა.

ამას კი ნამდვილად არ ელოდა სიმამურა. თან ისე ხმამაღლა ეძახდა, ალბათ მთელ სასტუმროს ესმოდა. იგი დაბნეული წამოდგა ლოგინიდან.

სწორედ ამ დროს ქალი სიოძის ჩაეჭიდა, ქაღალდი გაიხა და თვითონ იგი ზედ სიმამურას მკერდზე მიზავდა.

- ა-ა, აი, თურმე სად ყოფილხართ!

კაცს მკლავები შემოაჭდო, მასთან ერთად ტატამზე ჩაიჩოქა.

- არა, მთვრალი არ გეგონოთ... ცუდად ვარ... ძალიან ცუდადა ვარ... გონება კი ნათელი მაქვს, ჰო, ჰო, დღესავით ნათელი... უჰ, როგორ მწყურია! ნეტავი რა მრჯიდა, ის საშინელი ვისკი რაღაზე დავლიე... სულ თავში მირტყამს! ვაი, როგორ მტკივა!..

ქალი ლაპარაკობდა და თან თავზე ხელს ისვამდა.

ფანჯრებს მიღმა წვიმის ხმაურმა იძალა.

როდესაც სიმამურამ მკლავი ოდნავ მოადუნა, ქალი ერთბაშად მოეშვა, თუმცა სიმამურასათვის ხელი არ გაუშვია, იწვა ასე მკლავებშემოჭდობილი და კაცს სულ უფრო ეკვროდა.

მისი მჭიდროდ შეკრული დალალები კაცს ღაწვებზე უსიამოვნოდ ედებოდა, სტკენდა. კაცმა ხელი კიმონოს საყელოში ნელა ჩაუცურა და ყურში რაღაც ჩასჩურჩულა... ქალმა გულხელი დაიკრიფა, მკლავები ღობესავით აიფარა - ეს კაცი, მგონი, რაღაცას მიპირებსო, მაგრამ სიმთვრალისაგან ძალაგამოცლილი მკლავები ისევ უღონოდ ჩამოუშვა:

- ნეტავ რის მაქნისები ხართ!.. არაფრის ძალა და ღონე აღარ შეგწევთ, ვის რაში სჭირდებით... - თავისთვის წაიბურტყუნა და საკუთარ ხელს უცბად კბილებით დასწვდა.

გაოცებული სიმამურა ქალს ეცა - ქალს ხელზე დამღასავით დარჩენოდა ნაკბენი.

იგი უკვე ყურადღებას აღარ აქცევდა სიმამურას ხელებს - შეეძლოთ თავის ნებაზე ემოქმედათ. მერე განაცხადა, ახლა მე რაღაც უნდა დავწეროო და იმ ხალხის სახელების წერას მოჰყვა, ვინც მოსწონდა, თეატრისა და კინოს მსახიობთა ოცი თუ ოცდაათი სახელი ჩამოწერა, მერე სიმამურას სახელს მისდგა და წერა და წერა.

სიმამურას ხელისგულებქვეშ გარინდებულ მკერდს თანდათან სითბო ჩაეღვარა.

- მადლობა ღმერთს... - თქვა წყნარად სიმამურამ.

ანაზდად ქალის მიმართ საოცარი სინაზე იგრძნო, სწორედ ისეთი, უმწეო ბავშვის მიმართ რომ იგრძნობ.

მაგრამ ქალი ისევ ცუდად გახდა, ლოგინიდან წამოხტა, ოთახის კუთხეში იატაკზე მიიკუჭა.

- არ შემიძლია, არა, არ შემიძლია, შინ უნდა წავიდე...

- ვერ ატყობ, ფეხზე ძლივსღა დგახარ...

ხომ ხედავ, გარეთაც რა თავსხმაა...

- ფეხშიშველა წავალ, გავცურავ...

- ბევრს ნუ ლაპარაკობ!.. ბოლოს და ბოლოს, თუ აღარ დაგიშლია, ავდგები და გაგაცილებ.

...გორაკზე წამომდგარ სასტუმროს წინ ციცაბო ბილიკი ჩაუდიოდა.

- ობი გაიხსენი, ჯობია ცოტა ხანს დაწვე, გონს მოხვიდე.

- არა, ეგ არ მიშველის, ჩემი თავის ამბავი ხომ ვიცი... ეს პირველი ხომ არ არის...

ქალი დაჯდა, წელში გაიმართა, სუნთქვა კი მაინც უჭირდა, სულს ვერა და ვერ ითქვამდა. მერე ფანჯარა გამოაღო, მაგრამ ვერც ამან უშველა.

- შინ, შინ უნდა წავიდე!.. - დროდადრო ისე წამოიყვირებდა, თითქოს საკუთარ ნებისყოფას ებრძოდა.

ამასობაში შუაღამეც წამოვიდა.

- ნეტავი რას უზიხართ, ხომ გეუბნებით, დაწექით-მეთქი...

უკვე მესამე საათი იყო.

- შენ რაღას იზამ?

- რა უნდა ვქნა, ვიჯდები, როგორც ვზივარ, ცოტა რომ მომეშვება, წავალ, ვიდრე ინათებს, შინ უნდა ვიყო.

ქალი არ ამდგარა, სიმამურასთან მიჩოჩდა და სახელოზე მოქაჩა.

- ხომ გითხარით, დაწექით-მეთქი! დაწექით და დაიძინეთ, მე ყურადღებას ნუ მომაქცევთ.

როდესაც სიმამურა ლოგინში ჩაწვა, ქალი მაგიდის კიდეს მკერდით ჩამოეყრდნო და წყალი დალია.

- ადექით, გესმით, ახლავე ადექით!

- ბოლოს და ბოლოს, გამაგებინე, რა გინდა!

- თუმცა არა, იწექით...

- კარგი ახლა, გეყოფა!

სიმამურა წამოდგა, ქალს ხელი მოჰკიდა, მიიზიდა.

ქალი შებრუნდა, თავი მოარიდა, მერე ერთბაშად მოტრიალდა, კაცს ბაგეზე დაეწაფა, მაგრამ წამის უსწრაფესადვე მოშორდა და თითქოს ინანიებს, თითქოს საკუთარ ტკივილებს შესჩივისო, წყნარად ჩაიბუტბუტა:

- არა, არ შეიძლება! განა თვითონ არ თქვით, ბოლომდე მეგობრებად დავრჩეთო...

ისე სერიოზულად ამბობდა ამ სიტყვებს, სიმამურას გული აუჩვილდა. ვიდრე ხედავდა, ქალი ნებისყოფას როგორ ძაბავდა, თავს როგორ ებრძოდა, ყოველგვარი ნდომა და წადილი დაეკარგა.

ლამის ისიც კი იფიქრა, იქნებ ჯობდეს, ნათქვამი ბოლომდე გავიტანო, მიცემულ სიტყვას არ ვუღალატოო.

- მე კი არაფერს ვინანებდი, ჰო, ჰო, არაფერს არ ვინანებდი! იმნაირი კი არ გეგონოთ... აკი თვითონ ამბობდით, ჩვენ შორის ყველაფერი მალე დამთავრდებაო.

სიმთვრალისაგან თითქმის ვერც კი ვეღარაფერს გრძნობდა.

- მე ხომ არა ვარ დამნაშავე... დამნაშავე თქვენა ხართ... ეს თქვენ წააგეთ... თქვენ გამოიჩინეთ სისუსტე... - ბუტბუტებდა ქალი თავისთვის.

მერე თითქოს მოზღვავებულ სიხარულს უკანასკნელი წინააღმდეგობა უნდა გაუწიოსო, კბილებით კიმონოს სახელოს ჩააფრინდა.

ერთხანს დამშვიდებული, დამცხრალ-დაყუჩებული იწვა.

მერე თითქოს რაღაც მოაგონდაო, გულმწყრალად წარმოთქვა:

- დამცინით, არა? ხომ დამცინით?

- ნეტავი საიდან მოიტანე.

- ვიცი, გუნებაში მაინც დამცინით, განა არ ვიცი... ახლა თუ არა, მერე აუცილებლად დამცინებთ, - ქალმა თავი ბალიშში წარგო და ერთბაშად ატირდა.

მერე ტირილი ისევე ერთბაშად შეწყვიტა, როგორც დაიწყო. ანაზდად საოცრად ნაზი, ალერსიანი გახდა. ისე დაწვრილებით ჰყვებოდა თავისი ცხოვრების ამბებს, თითქოს

საკუთარ თავს სიმამურას აბარებსო. იმაზე კი, რაც ეს-ეს არის მათ შორის მოხდა, კრინტი არ დაუძრავს, სიტყვა არ დასცდენია.

- ოი, სულ ენად არ გავიკრიფე! ყველაფერი დამავიწყდა...

თქვა, დაბნეულად გაიღიმა და - ვიდრე ცაში ნათელი ჩადგება, სახლში უნდა ვიყოო:

- ჯერ ნანათიც არ არის, ჩვენთან კი ამ დროს მთელი სოფელი ფეხზეა.

მერე რამდენიმეჯერ წამოდგა და ფანჯარაში გაიხედა.

- ბნელა, სახეზე ვერავის გაარჩევ, თან წვიმს კიდევაც. მინდორში დღეს ალბათ არავინ გავა...

ნელა იცრიცებოდა მრუმე ღამე, წვიმასა და დელგმაში ნელა იკვეთებოდა სასტუმროს წინ აღმართული მთების კონტური. მალე სახლის სახურავებიც დააჩნდა მთის ფერდობებს, ქალი კი ჯერ ისევ სიმამურას ნომერში იყო.

ბოლოს მოსამსახურეების ადგომის დრომ რომ მოაღწია, თმა გაისწორა და წასვლა დააპირა. იმის შიშით, არავინ დამინახოსო, სიმამურას სასტუმროს გასასვლელამდე მიცილების ნებაც კი არ დართო, აჩქარებით, თითქმის სირბილით გავიდა კარებში.

იმავე დღეს სიმამურა ტოკიოში გაემგზავრა.

- ყველაფერი ის ტყუილია... ყველაფერი, რაც მაშინ მითხარი, ტყუილია. ასე რომ არა, ამ სიცივე-ყიამეთში აქ არ ჩამოვიდოდი... ისიც მინდა იცოდე, არასოდეს დამიცინიხარ, არც მერე...

ქალმა თავი ასწია. სახე, რომელიც ეს-ესაა სიმამურას ხელისგულებში ჰქონდა წარგული, ცეცხლივით წამოენთო.

ჩანს, სიმამურას სიტყვებმა მაშინდელი ამბავი გაახსენა, თითქოს ჩახჩახა სინათლით თვალმოჭრილი ცდილობს პირსმომდგარი სიცილი შეიკავოსო, სახე დაემანჭა, გაბრაზებულმა თავი უცბად ძირს დახარა, კიმონოს საყელო ოდნავ გადაეწია და სიმამურამ დაინახა, სიწითლემ კისერს როგორ ჩაუარა, ზურგს როგორ დაუყვა; ასე ეგონა, ვნების ოფლში გაწურული ქალი მის წინ თავით ფეხამდე დედიშობილა იდგა. ამ გრძნობას ყველაზე უფრო ქალის თმის ფერი უათკეცებდა - კუნაპეტივით შავი თმა ნაზი და ღეროწმინდა როდი იყო, პირიქით, მამაკაცის თმასავით მსხვილი ღეროები მძიმედ ელაგა ერთმანეთზე და ისე ლაპლაპებდა, თითქოს თმა კი არა, რაღაც შავი მინერალი ყოფილიყოს.

ვიდრე კაცი ამ თვალიერებაში იყო გართული, ქალმა ხელი კოტაცუზე გადებულ ფიცარზე დაუშვა და თითებზე რაღაცის გამოთვლას მოჰყვა.

- მაინც რას ითვლი? - იკითხა კაცმა.

ქალმა არაფერი უპასუხა.

- ოცდასამი მაისი...

- ჩაილაპარაკა მერე თავისთვის.

- აჰ, აი თურმე რა! მაშ გაინტერესებს, რამდენი დღე გავიდა, არა?.. ივლისიცა და აგვისტოც, იცოდე, ოცდათერთმეტ-ოცდათერთმეტით არის!

«ას ოთხმოცდაცხრამეტი დღე... ას-ოთხმოცდა-ცხრამეტი!..»

- არა, მაინც როგორ დაიხსომე, ზუსტად ოცდასამი მაისი რომ იყო?

- როგორ და უბრალოდ, დღიურში ჩავიხედე!

- დღიურში? რაო, დღიურებს წერ?

- ჰო... მიყვარს, ძველ დღიურებს რომ გადავხედავ, ეგ არის, ხანდახან მრცხვენია, მე ხომ არაფერს ვმალავ.

- დიდი ხანია?

- დაახლოებით იმ დღიდან, ტოკიოში მიმტანად რომ დავიწყე მუშაობა. მახსოვს, ქაღალდის საყიდელი ფული არ გამაჩნდა. სამაგიეროდ ის ჩემი იაფფასიანი საერთო რვეულები ისე მქონდა ჩაწიკწიკებული... ვიწრო, ერთმანეთზე მიჯრილი სტრიქონები, წვრილი ხაზები...

მერე, როცა ქაღალდის ყიდვა შემეძლო, ისე ლამაზად აღარ ვწერდი, გულს ვეღარ ვუდებდი. უწინ ჯერ ძველ გაზეთებზე ვვარჯიშობდი, ახლა ეგრევე გაკრიალებულ ქაღალდზე ვიწყებ... ფული თუ გაქვს, დიდად აღარ დასდევ, არაფერს უფრთხილდები...

- ყოველთვის წერ?

- დიახ. ყველაზე საინტერესო წლევანდელი და კიდევ ის ჩანაწერებია, თექვსმეტი წლისა რომ ვიყავი. მოვალ მეჯლისიდან, ჩავიცვამ ღამის კიმონოს, დავჯდები და ვწერ. მერე გავა დრო, ჩაიკითხავ შენს ნაწერს და ხედავ, ჩაგძინებია ამ ადგილას.

მე ხომ შინ მუდამ გვიან ღამით ვბრუნდები!

- საინტერესოა...

- ხანდახან გამოვტოვებ კიდევაც, ყოველდღე არ ვწერ.

ისეთი გამოყრუებული ადგილია, აქ ხომ ყველა მეჯლისი ერთმანეთს ჰგავს... წელს ბედმა მიმტყუნა, ისეთი რვეული ვიყიდე, ყოველ გვერდზე თარიღი აწერია... ზოგჯერ კი წერაში ისე გავერთობი, რვეულის გვერდი აღარ მყოფნის.

ქალის ნათქვამმა ძალიან გააოცა სიმამურა. კიდევ უფრო გაოცდა, როცა გაიგო, თხუთმეტი წლიდან ყოველ წაკითხულ მოთხრობასა და რომანს ვაკონსპექტებ, რამდენიმე ათეული საერთო რვეული უკვე დაკონსპექტებული მაქვსო.

- საკუთარ შთაბეჭდილებებსაც თუ იწერ?

- არა, საკუთარი შთაბეჭდილებების წერა არ შემიძლია, ავტორის გვარს, წიგნის სათაურს, მოქმედ პირთა სახელებს და მოკლე შინაარსს ვიწერ.

- მერედა მაგას რა აზრი აქვს?

- რა ვიცი, შეიძლება არცა აქვს...

- ეგ ხომ ამაო შრომაა?..

- ალბათ ასეა! - ქალმა თავი მხიარულად დაუქნია და სიმამურას დაკვირვებით შეხედა.

და აი, სიმამურას ხმამაღლა უნდოდა ეთქვა, რატომღაც ერთხელ კიდევ უნდოდა ეთქვა - «ამაო შრომააო», რომ ერთბაშად უცნაურმა სიმშვიდემ მოიცვა; თოვლის რეკვასავით ჩუმი და ამო იყო ეს სიმშვიდე - ამ ქალის მონატრება, ლტოლვა ამ ქალისადმი. იცოდა, განა არ იცოდა, იგი მისთვის «ამაო შრომა» რომ არ იყო! უნდოდა მაინც ეთქვა, მაინც პირში მიეხალა ეს სიტყვები, ვინაიდან ასე ეგონა, ყოველივე ზედმეტისაგან განწმენდდა, ამ მშვენიერ ქალს კიდევ უფრო მშვენიერსა და მიმზიდველს გახდიდა.

როცა ამბობდა, «მოთხრობა» ან «რომანიო», მისი ბაგეებიდან წარმოთქმულ ამ სიტყვებს არაფერი ჰქონდა საერთო იმასთან, რასაც ლიტერატურა ჰქვია. აქ, ამ მიყრუებულ სოფელში, აქაური ქალები რაიმეს თუ წაიკითხავდნენ, ეს მხოლოდ ქალთა ჟურნალი იყო, სხვა მეტის არც თავი ჰქონდათ, არც სურვილი. ეს ქალი კი ყველაფერს კითხულობდა - ალბათ განურჩევლად, რაც ხელში მოხვდებოდა, ალბათ არცთუ ისეთი დიდი წვდომითა და გაგებით.

სასტუმროში თვალი რა წიგნისა ან ჟურნალისთვისაც არ უნდა მოეკრა, წამაკითხეთო - მაშინვე ითხოვდა. კაცმა რომ თქვას, მის მიერ დასახელებულ ავტორებს შორის იყვნენ ისეთებიც, რომელთა სახელები საერთოდაც არ გაეგო სიმამურას. ეგ კია, როცა ქალი წაკითხულ წიგნზე ლაპარაკობდა, უცნაური კილო გაერეოდა, როგორიღაც ბეჩავი და საცოდავი გახდებოდა. იტყოდი, ვიღაც ალალი, უანგარო მათხოვარი უფიქრალ-უგონებლად მიღებული გასაკითხის ამბავს ჰყვებაო. მისთვის მთელი ეს წანაკითხი როგორიღაც დაუგემოვნებელი, უცნაური და უცხო იყო. ნეტავი სიმამურაც თავს ასე

ხომ არ გრძნობდა, როდესაც ევროპულ ბალეტზე მსჯელობდა, ბალეტზე, რომლის ასავალ-დასავალიც მხოლოდ საზღვარგარეთული გამოცემების მეშვეობით იცოდა?.. ქალი არანაკლები სიამოვნებით ლაპარაკობდა იმ ფილმებსა და პიესებზეც, რომლებიც მას არასოდეს ენახა! ეტყობა ყურისმგდებელსა და მოსაუბრეს იყო მონატრებული.

ალბათ დაავიწყდა, ას ოთხმოცდაცხრამეტი დღის წინ სწორედ ასეთმა მომხიბლავმა საუბარმა რომ აუბნია თავგზა და აიძულა, თვითონვე ჩავარდნოდა ამ უცხო კაცს მკლავებში. ასეა თუ ისე, თავისსავე მიერ წარმოთქმული სიტყვები თუ ამ სიტყვებისაგან წარმოქმნილი ხატებანი ახლა მას კვლავ უფრო მეტი ჟინით აღავსებდნენ.

ყმაწვილ ქალს, ჩანს, ქალაქური გასართობები ენატრებოდა, მაგრამ როგორიღაც აბსტრაქტული იყო ეს მონატრება, გულუბრყვილო, განუხორციელებელ ოცნებად ქცეული; უფრო უბრალო გულნაკლულობა, ვიდრე ქედმაღლური ჭმუნვა ქალაქად ცხოვრებას მიჩვეული კაცისა, რომელიც იძულებული გამხდარა, სადღაც, მიყრუებულ პროვინციაში უმიზნოდ და უშინაარსოდ გაატაროს სიცოცხლის დღეები. სხვათა შორის, თვითონ ქალი, მგონი, სრულებითაც არ წუხდა თავის ახლანდელ ცხოვრებაზე, სიმამურას გულს კი ყოველივე ეს უცნაური სევდით ავსებდა, თავისი თავისთვისაც უფლება რომ მიეცა, საკუთარ ცხოვრებასაც რომ ჩაფიქრებოდა, თქვენ წარმოიდგინეთ, თავადაც ალბათ ასე გადავარდებოდა გრძნობებში, თუმცაღა მისი ხასიათისთვის ეს სრულიადაც უცხო რამ ხილი გახლდათ. თვითონაც იმ დასკვნამდე მივიდოდა, ჩემს ცხოვრებას არავითარი აზრი და მიზანი არა აქვსო. მაგრამ მის წინ მჯდომარე ახალგაზრდა ქალი ისეთი სიცოცხლით სავსე, ისეთი ქორფა და კამკამა იყო, როგორც ეს ცინცხალი მთის ჰაერი.

ასე თუ ისე, სიმამურამ ამ ქალზე აზრი იცვალა; მასზე ახლა გაცილებით უკეთესი შეხედულებისა იყო, მაგრამ, როცა გაიგო, გეიშა გამხდარაო, რატომღაც გაუჭირდა, ენა ვეღარ მოატრიალა იმის სათქმელად, აქ რისთვისაც ჩამოვიდა.

ახსოვს, სიმთვრალისაგან არაქათგამოცლილი ქალი საკუთარ ხელებზე როგორ ბრაზობდა, რატომ არ მემორჩილებიანო, მკლავზე როგორ იკბინა:

«ნეტავი რის მაქნისები ხართ!.. არაფრის ძალა და ღონე აღარა გაქვთ.

ვის რაში სჭირდებით!..»

ფეხზე ძლივსღა იდგა, თავს ძლივს იმაგრებდა.

მერე ის დღე გაახსენდა, ლოგინში რომ აუჯანყდა:

«მე კი... მე არაფერს ვინანებდი... ჰო არაფერს ვინანებდი. ისეთი კი სულაც არა ვარ... ჰო, ჰო, მე ისეთი ქალი სულაც არ ვარ...»

სიმამურა შეყოყმანდა... ქალი თვალის დახამხამებაში ფეხზე იყო, იგი გადარეულივით ეცა ფანჯარას და მატარებლის საყვირის შორეულ ხმას მიაყურა.

ქალი უარყოფდა კაცს.

- ნული საათია. სამგზავრო მატარებელი დედაქალაქში მიდის...

- თქვა მან, სიოძი გასწია, მერე ფანჯარა უხეშად გამოაღო და რაფაზე ჩამოჯდა.

ოთახს ერთბაშად ცივი ჰაერი მოასკდა. ახლა უკვე ქარის ღამეულ სტვენასავით ისმოდა შორს, შორს გაჭრილი მატარებლის კივილი.

- სულელო, ხომ ხედავ, სიცივეა!

სიმამურაც წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა - ქარი უკვე აღარ სტვენდა...

მკაცრი და პირქუში იყო ღამეული ბუნების სურათები. თოვლით დაფარული დედამიწა თითქოს ყინულის მარწუხებში მოქცეულა, ტკაცატკუცით სკდებაო. ცას მთვარე არ ანათებდა, სამაგიეროდ მირიად თვალანკარა ვარსკვლავებს თეთრად გადაეჭრელებინა თავანი. ისე ახლოს იყვნენ ვარსკვლავები, ისე ბდღვრიალებდნენ, თითქოს ცას მოსწყდომიან, სურვილდაუოკებელნი დედამიწისკენ მოისწრაფიანო. რაც უფრო ახლოვდებოდნენ, რაც უფრო ძირს ეშვებოდნენ ვარსკვლავები, მით უფრო ზევითა და ზევით იწევდა ცარგვალი, მით უფრო შავად იქუფრებოდა ღამე. უკუნეთ სიბნელეში ჩამდნარიყო საზღვრად დამდგარი მთების კონტური, უსწორმასწორო ნაკვეთი ამ მთებისა.

მხოლოდ შავად ჩაბინდული მასა ილანდებოდა უთვალავი ვარსკვლავით მოჭედილი ცის კალთაზე, ოდნავ, სულ ოდნავ.

როცა მიხვდა, სიმამურა ჩემკენ მოდისო - ქალმა თავი ფანჯარაში გაყო და მთელი მკერდით რაფას გადაეკიდა: მისი ეს საქციელი ქალური რიდი და მოკრძალება კი არა, დაუზავებელი უგულებელყოფა იყო.

«აი, ისევ დაიწყო»...

- გაიფიქრა კაცმა გუნებაში.

შავად ჩაქუფრულ მთებს წუთით თოვლის სითეთრე გადაეფინებოდა და მაშინ არაამქვეყნიურ, კაეშნის აღმძვრელ ხატებად წამოიმართებოდა ის მთები. არ იყო არავითარი თანხმობა, არავითარი ჰარმონია ამ მთებსა და ვარსკვლავებით მოჟიკჟიკებულ თავანს შორის!

სიმამურა ქალს კისერზე მიესათუთა.

- გაცივდები, ნახე, რა გაყინული ხარ!

შეეცადა ფანჯრის სახელურისათვის ხელი გაეშვებინებინა, მაგრამ ქალი სახელურს კიდევ უფრო მაგრად ჩაეჭიდა და ხმაჩამქრალმა თქვა:

- შინ უნდა წავიდე!

- თუ ასეა, რაღას უცდი!

- აი ცოტა ხანს ვიჯდები და...

- მე მაშინ აბანოში შევალ, ცხელ წყალში ჩავწვები.

- არა, არა, არ წახვიდეთ, ცოტა ხანს კიდევ იყავით.

- თუ ქალი ხარ, დახურე ეგ ფანჯარა!

- მოდი ვისხდეთ, ასე, აი ასე... ცოტა ხანს, სულ ცოტა ხანს...

სადღაც, კრიპტომერიის წარაფს გაღმა, სოფელი იყო შეფენილი. სადგურში ფარნები ციმციმებდნენ და თვალებს ისე სასოწარკვეთით ახამხამებდნენ, საცაა ყინვისაგან წკრიალ-წკრიალით დასკდებიანო.

ასე არასოდეს შესცივნია სიმამურას. რასაც ხელს შეახებდა - ქალის ღაწვები, ფანჯრის მინები თუ დაბამბული ხალათის სახელოები - ყველაფერი, ყველაფერი გაყინული იყო.

ბოლოს ტატამზე ფეხი გაუცივდა და სიმამურას ისევ ცხელ წყალში ნებივრობა მოესურვა: - ავდგები, მარტო წავალო, - გადაწყვიტა.

- დამაცადე, მეც წამოვალ, - თქვა ქალმა და ახლა უკვე მორჩილად გაჰყვა უკან.

როდესაც ქალი აბანოს წინა ოთახში სიმამურას გახდილ ტანსაცმელს კალათაში ალაგებდა, ოთახში ვიღაც მამაკაცი - სასტუმროს ერთ-ერთი მდგმურთაგანი შემოვიდა. სიმამურას წინ გაქვავებული, სირცხვილისაგან შეცბუნებული ქალი რომ დაინახა, უმალ დასძინა:

- აჰ, უკაცრავად!..

- არა უშავს, მობრძანდით, მე აგერ, მეორე განყოფილებაში გავალ, - თქვა სიმამურამ, ტანსაცმლის კალათას ხელი წამოავლო და თითივით შიშლიკანა ქალთა განყოფილებაში გავარდა.

მაშინვე ქალიც ფეხდაფეხ აედევნა: - «აბა ამ უცხო ადამიანმა რა იცის, იქნებ სულაც ცოლია ამ კაცისა!..» სიმამურას უკან არ მიუხედავს, თბილი წყლით სავსე აუზში ჩახტა და იმავ წუთს მთელ სხეულში ისეთი სასიამოვნო სიმსუბუქე იგრძნო, ლამის ხარხარი ატეხა.

მერე წყალი ონკანიდან პირში ჩაიგუბა, ყელში გამოივლო.

ნომერში რომ დაბრუნდნენ, ქალმა თავი ოდნავ გადაიწია, ნეკა თითით თმა შეისწორა და სულ ერთადერთი სიტყვა წარმოთქვა:

- მოწყენილობაა!

შავი თვალები ჰქონდა, უცნაურად შავი თვალები! «იქნებ მხოლოდ სანახევროდ იყვნენ გახელილნი?..» - სიმამურა ქალთან ახლოს, სულ ახლოს მივიდა: თურმე გრძელ, მიჯრით მისხმულ წამწამებს ჩაეშავებინა ქუთუთო!

მთელი ღამე ქალს ნერვები დაწყვეტაზე ჰქონდა - თვალი არ მოუხუჭავს, წუთით არა სძინებია.

სიმამურამ კი თვალი მხოლოდ მისი ობის შარიშურზე გაახილა.

- მაპატიე, ასე ადრიანად რომ გაგაღვიძე. ჯერ ნანათიც არ არის... აბა ერთი შემომხედე, - თქვა ქალმა და სინათლე ჩააქრო, - რას იტყვი, მიცნობს ვინმე?

- ამ სიბნელეში ვინ უნდა გიცნოს!

- არა, არა, კარგად შემომხედე, - ქალმა ფანჯარა გამოაღო, - ხედავ, ყველაფერი ჩანს... ეჰ, რაც არის, არის, წავედი...

დილის სუსხით აკანკალებულმა სიმამურამ ბალიშიდან თავი წამოსწია - ცა ჯერ ისევ ჩაშავებული იყო, ურიჟრაჟო... მხოლოდ მწვერვალებს ეპარებოდა აისი, ჩუმად, ფეხაკრეფით.

«აბა ასე უთენია გარეთ ვინ გამოვა? გლეხი ამ დროს მინდორში ვერაფერს გააკეთებს, აი, მთაში თუ წავა ვინმე... - ქალი ოთახში ბოლთას სცემდა და ხმამაღლა მსჯელობდა, უკან ობის ჩამოშლილი ბოლო დასთრევდა, - ტოკიოს მატარებლით არავინ ჩამოსულა, ისე რომ, კარგა ხანს არავინ ადგება»...

აი, ქალმა ობიც შეიკრა, მაგრამ ოთახში კვლავ მთვარეულივით დაბორიალობს, ადგება, მერე ისევ დაჯდება, ხან ერთ კუთხეშია, ხან მეორეში, წამდაუწუმ ფანჯარას მიადგება და გარეთ იყურება. ახლა იგი იმ შეშინებულ ნადირსა ჰგავს, დილის მოახლოება რომ იგეშა და დაფეთებული აქეთ-იქით აწყდება.

ისეთი სახე აქვს, ასე გგონია, მის არსებაში რომელიღაც შორეულ, იდუმალებით მოცულ ინსტინქტებს ეჩინოს თავი.

აი, ინათა კიდევაც. ახლა უკვე გარკვევით ჩანდა, ქალს როგორ ავარდისფრებოდა ღაწვები, ისეთი ხასხასა ფერი ჰქონდა, სახე ისე უღაღანებდა - სიმამურა გაოცდა.

- როგორ აგფერადებია ლოყები, გცივა?

- განა სიცივის ბრალია, პირი დავიბანე, ფერ-უმარილი მოვიცილე.

ქალი საწოლის თავთან მდგარ სამკარიან სარკეს მიუჯდა:

- მანამდე ვითრიე ფეხი, ვიდრე არ დამათენდა...

სიმამურამ ქალს გახედა და თავი მხრებში ჩარგო.

სარკეში თეთრად ჩაფენილი თოვლის ფონზე ალისფრად გიზგიზებდა ქალის სახე - ო, რა სილამაზე იყო, რა ენით უთქმელი, პირველხილვასავით უბიწო, ურიოშო სილამაზე.

ალბათ ჰორიზონტიდან მზე თუ ამოიწვერა - ანაზდად სარკეში თოვლი აკაშკაშდა, ცივი ალი ააციაგა... თოვლის ამ ცივ ბზინვარებაში კიდევ უფრო შავად ჩაქუფრულიყო ქალის ყორნისფრთა, კუნაპეტი თმა, მელნისფერი ლაპლაპი გაჰქონდა.

აუზებიდან გადმოსული ცხელი წყალი ზვავიანობისათვის სახელდახელოდ გათხრილ რუებში ჩადიოდა. მთავარი შესასვლელის წინ რუიდან წყალი გადმომსკდარიყო და პაწაწა ნაკადულივით მოლიკლიკებდა. აკიტის ჯიშის შავი, უზარმაზარი ქოფაკი ლოდზე აფოფხილიყო და იმ პატარა ნაკადულიდან წყალს სლაფავდა. სასტუმროს კედლის ჩაყოლებით საკუჭნაოდან ახლახან გამოტანილი თხილამურები იყო ჩარიგებული, თხილამურებს ცხელი ორთქლის მოტკბო, ძლივს შესამჩნევი სუნი ასდიოდა. კრიპტომერიის ტოტებიდან თოვლი გუნდ-გუნდად ცვიოდა, საერთო საბანაოს სახურავს ეყრებოდა და ზედ ედღაბნებოდა.

«...მალე, ასე ახალი წლის წინა დღეებში ამინდი აირევა, ქარბუქები დაიწყება, ამ გზას სულ დაანამქრავს...

სტუმრები მთიულურ ჰაკამებსა და რეზინის ჩექმებში გამოეწყობიან, მოსასხამებსა და თავშლებში ჩაიფუთნებიან. იმ დროისათვის თოვლი ლამის ერთ ძიოუმდე მიაღწევს...» - ამბობდა ქალი და ფანჯარაში იყურებოდა. ცა ახალი შეცისკრებული იყო.

ახლა სიმამურა თავქვე მიუყვებოდა იმ გზას. გზის ნაპირას მაღლად გაკიდებული ბავშვის სახვევები შრებოდა. სარეცხსა და დედამიწას შორის ქათქათა თოვლით გადათეთრებული მთები გარინდულიყვნენ. ლუკლუტაკი თოვლის თეთრ საფარს ჯერ არ დაეფარა და ისევ მწვანედ ხასხასებდა.

ბრინჯის მინდვრებს თხილამურებზე შემდგარი გოგობიჭობა მოსდებოდა.

როდესაც სიმამურამ გზის პირ-პირ ჩაყოლებული სოფლისაკენ შეუხვია, ყურში რაღაც წვიმის შრიალისმაგვარი ხმა ჩაესმა.

ლავგარდნებზე საყვარლად წკრიალებდა ლოლუები.

აბანოდან მომავალმა ქალმა სახურავზე ჩამოსათოვლად ასულ კაცს ახედა:

- მანდ ხარ, იქნებ ჩვენიც ჩამოგეთოვლა?

და კაშკაშა მზის სინათლეზე თვალებმოჭუტულმა ქალმა შუბლზე სველი პირსახოცი გადაისვა (ალბათ, სათხილამურო სეზონზე ცოტაოდენი ფულის გასაკეთებლად ჩამოსული კელნერი ქალი თუ იყო).

იქვე, შორიახლოს ზეთის საღებავებით მინებმოხატული სასაუზმის შენობა იდგა.

სახურავი მიბრეც-მობრეცოდა, ფანჯრებზე ნახატი გადახუნებოდა.

სახლების უმეტესობა წვრილი ყავრით იყო დახურული. მზის მხარეს, თოვლშემდნარ სახურავებზე, შავად იმზირებოდა ადგილ-ადგილ ყავრის დასამაგრებლად დალაგებული, გამუდმებული ქარისა და ყინვისაგან შავად ჩაჟალტამებული ქვები და ეს მომცრო, დაბალსახურავიანი ჩრდილოური სახლები თავადაც ამ ჩაყურსულ-ჩაჟამებულ ლოდებს ჰგავდა.

გზაზე ჯგროდ გამოსული გოგო-ბიჭები ჟივჟივებდნენ - რუიდან ყინულის ვეებერთელა ნაჭრებს ამოიღებდნენ და შარაზე ისროდნენ. ყინული წკრიალ-წკრიალით იფშვნებოდა, პაწაწინა, ბზინვარე ნამსხვრევებად იფანტებოდა. ეტყობა, ძალიან მოსწონდათ ბავშვებს ეს თამაში - ყინულის ეს ზიმზიმა ნაპერწკლები... მყუდროს მიფიცხებული სიმამურაც გაფაციცებული შეჰყურებდა, მაინც რამსისქე ყინულიაო, - უკვირდა. კარგა ხანს იდგა ასე, ბავშვების თამაშსა და ჟივილ-ხივილს აკვირდებოდა.

ცამეტ-თოთხმეტი წლის პატარა ქალი ზურგით ქვის გალავანს მიყრდნობოდა და გამალებით ქსოვდა. ტანთ მთიულური ჰაკამა ეცვა, შიშველი ფეხები მაღალ გეტებში ჰქონდა წაყოფილი, სიცივისაგან დაწითლებული ფეხის ქუსლები დასკდომოდა.

იქვე, გვერდით, სამიოდე წლის გოგონა ფიჩხის კონაზე იჯდა და ბაწრის გორგალს ბეჯითად უმარჯვებდა. ამ ცეროდენა გოგოცუნასა და პატარა ქალს შორის გაბმული ეს გაცვეთილ-გაფხეკილი შალის ნართიც კი თითქოს საოცარ შუქსა და სითბოს გამოასხივებდა.

შვიდი-რვა სახლის მოშორებით თხილამურების სახელოსნოდან შალაშინის შარიშური ისმოდა. სახელოსნოს წინ, გზის გადაღმა, რომელიღაც სახლის ლავგარდანქვეშ გეიშები შეჯგუფებულიყვნენ - ასე, ექვსნი-შვიდნი იქნებოდნენ. ქალები იდგნენ და რაღაცას ლაპარაკობდნენ. ის-ისაა სიმამურამ გაიფიქრა, შეიძლება კომაკოც აქ იყოსო, რომ დაინახა კიდევაც. ამ დროს ქალმაც გამოიხედა, ჯერ შეცბა, გაინაბა, მერე ერთბაშად დამშვიდდა, დარბაისლური იერი მიიღო.

«ნეტავი არაფერი დაიტყოს, არ გაწითლდეს», - გაიფიქრა სიმამურამ.

მართლაც, ქალს მარტო სახე კი არა, ყელ-კისერიც წითლად აუფორაჯდა და ნაცვლად იმისა, მიბრუნებულიყო, კაცისათვის თვალი აერიდებინა, თავი უხერხულად ჩაქინდრა, მერე ნელა მოტრიალდა და გზად მიმავალ სიმამურას მზერა გაადევნა.

- ერიჰაა, საცაა ლოყები მეც წითლად წამომიხურდება! - სიმამურამ ქალს აჩქარებული ნაბიჯით ჩაუარა, მაგრამ კომაკო უკან გამოეკიდა.

- ნეტავი რას დადიხართ, ვერ ხედავთ, რა უხერხულ მდგომარეობაში მაგდებთ!..

- მე კი არა, შენ მაგდებ უხერხულ მდგომარეობაში... იფ, არ გამოიშალნენ ქუჩაში ფარასავით, კაცი შიშით გზაზე ვერ გაივლი! თქვენ რა, სულ ასე ქუჩაში ხართ გამოფენილები?

- არა, სადილის მერე გამოვდივართ.

- ვითომ ეს გაწითლება და უკან გამოდევნება რაღა იყო?

- დიდი ამბავი! - მკვახედ მიახალა კიდევ უფრო წამოწითლებულმა კომაკომ და შეჩერდა, გზის პირას წამოყელყელავებულ ატმის ხეს მოეხვია:

- იქნებ ჩემთან შემოიაროს-მეთქი.

- ახლოს ცხოვრობ?

- ჰო, აგერ, ახლოს.

- დღიურებს თუ მაჩვენებ, წამოვალ.

- უნდა დავწვა!.. იმ დღიურებს რომ დავწვავ, მხოლოდ მაშინ მოვკვდები დამშვიდებით.

- შინ რომ ავადმყოფი გყავს?

- ძალიან საქმეში ჩახედული კაცი ბრძანებულხართ, ყველაფერი გცოდნიათ!

- განა შენ არ იყავი, გუშინ საღამოს მატარებელს რომ დახვდი? ტანთ ლურჯი სამოსელი გემოსა. მე და იმ ავადმყოფმა კი ერთი ვაგონით ვიმგზავრეთ, თითქმის გვერდიგვერდ ვისხედით. ვიღაც ახალგაზრდა ქალი ახლდა, ვიფიქრე, ალბათ ცოლი თუა-მეთქი, ისე გულდაგულ უვლიდა, ისე ესათუთებოდა, ვუყურებდი და აღტაცებას ვერ ვფარავდი. ალბათ, აქედანაც თან ახლდა?

- რატომ გუშინ საღამოსვე არ მითხარი? - თქვა გაბრაზებით კომაკომ.

- მაშ ცოლია იმ ვაჟისა?

ქალმა არაფერი უპასუხა.

- ვითომ გუშინ საღამოს რატომ არ მითხარი?.. რომ იცოდე, რა აუტანელი კაცი ხარ...

სიმამურას ქალის უკმეხი სიტყვა-პასუხი არ მოეწონა - განა ისეთი რა ვუთხარი, რა ვაწყენინე, ალბათ ხასიათი აქვს ასეთიო, მაგრამ კომაკო რომ არ იქნა და აღარ დაშოშმინდა - რატომ მაშინვე არ მითხარი, რატომ გაჩუმდიო, მისი ეს ახირებული საქციელი როგორღაც გულში მოხვდა.

დიახ, დღეს დილას სარკეში თეთრად ჩაფენილმა თოვლმა, იმ თოვლისფერ სარკეში აგიზგიზებულმა კომაკოს სახემ ვაგონის ფანჯარაზე არეკლილი ის ყმაწვილი ქალი, ის გზა, ის ბინდისფერი სურათები გაახსენა... მაგრამ, რატომ, რატომ უნდა ეთქვა ყოველივე ეს კომაკოსთვის?!

- ანდა, რა ვუყოთ, რომ ავადმყოფია, ოთახში ხომ არავინ უვარდება?..

კომაკომ ქვითკირის დაბალ გალავანს აუარა.

მარჯვნივ თოვლით გადაფითრებული ბაღჩა იყო, მარცხნივ, მეზობელი სახლის ჩასწვრივ, ერთრიგად ჩამწკრივებული ატმის ხეები იდგა. სახლის წინ კვლები იყო, კვლებს შუა, ლოტოსის გამოსაყვან პატარა ტბორში, რომლის ნაპირებშიაც ტბორიდან ამოყრილი ყინულის ნამტვრევები ელაგა, წითელი წანრები დაცურავდნენ. სახლიც ისე იყო დრომოყრილი, როგორც ეს ერთრიგად დაწალიკებული ბებერი ატმის ხეები. დამპალ ყავარზე თოვლი ადგილ-ადგილ შემდნარიყო და ტალღა-ტალღა ეშვებოდა ლავგარდნისაკენ.

მიწურ წინკარში ცხვირი შეყო თუ არა, ნესტმა და სიცივემ ძვალსა და რბილში დაუარა; სიბნელეში ჯერ ხეირიანად ვერც კი გარკვეულიყო, რომ უკვე ზევით, კიბეზე ექაჩებოდნენ. ძველ, ადამისჟამინდელ კიბეს საფეხურების ნაცვლად კადონები ჰქონდა გადებული. თავად ოთახი კი სხვა არა იყო რა, თუ არა სახლის ყოვლად ჩვეულებრივი სხვენი.

- ამ ოთახში უწინ აბრეშუმის ჭია გამოჰყავდათ.

- ნეტა ვიცოდე, მთვრალი რომ მოდიხარ, ამ კიბეზე როგორ არ გორდები?

- ზოგჯერ ვგორდები კიდევაც, მაშინ ზევით აღარ ამოვდივარ, მივეფიცხები იქვე, ქვევით, კოტაცუს და ვიძინებ.

კომაკომ ხელი საფარქვეშ შეყო, კოტაცუ მოსინჯა და ნაღვერდლის შემოსატანად გავიდა.

სიმამურამ ოთახს თვალი მოავლო - უცნაური ოთახი იყო, ერთადერთი ფანჯარა სამხრეთისაკენ გადიოდა.

გაახლებული, ღია ფერის წვრილუჯრიანი სიოძი სახეში შემოგჩახჩახებდა, სუფთა, ბრინჯის საწერქაღალდგადაკრული კედლები შემოგცინოდნენ. მაგრამ ოთახში ფეხს შედგამდი თუ არა, უმალ ისეთი გრძნობა დაგეუფლებოდა, თითქოს ქაღალდის პატარა კოლოფში იჯექი. იატაკისკენ დაქანებული ჭერი, უფრო სწორად, სახურავის

ქვედა პირი გულზე კაეშანივით დაგაწვებოდა... «ნეტავი ამ კედელს იქით რა არის?» - გაიფიქრა უცებ სიმამურამ, ასე ეგონა, ოთახი ეგრევე ჰაერში იყო გამოკიდებული.

ირგვლივ საოცარ სისუფთავეს დაევანებინა, თითოეული კუთხე-კუნჭული კრიალებდა, კედლებსა და ძველთაძველ ტატამს - ყველაფერს ქარქარი გაჰქონდა.

«კომაკო ამ ოთახში ცხოვრობს...

ადრე აქ აბრეშუმის ჭია გამოჰყავდათ... ამ ქალსაც სხეული აბრეშუმივით ფაფუკი და სრიალა აქვს...»

ოთახში კოტაცუ იდგა. კოტაცუს ბამბის ზოლიანი ქსოვილი ეფარა, ზუსტად ისეთი, ამ მხარეში მთიულურ ჰაკამებს რომ იკერავენ...

ერთმანეთს მხარს ვერ უბამდა, ერთმანეთს ვერ ესადაგებოდა ხებუერას ძველი, მაგრამ ძვირფასი, მერქნის ნატიფსახეებიანი კომოდი, ალბათ ტოკიოს სახსოვარი და მის გვერდით - უბრალო, იაფფასიანი ტრიუმო; სამაგიეროდ, წითელი, საგულდაგულოდ გალაქული ზარდახშა მართლაც რომ საუცხოო რამ გახლდათ. ერთ კედელზე მუსლინის ფარდაჩამოფარებული ფიცრები, ალბათ, წიგნის თაროები იყო მიჭედებული.

კედელზე კიმონო ეკიდა, ეს ის კიმონო იყო, ქალს გუშინ საღამოს რომ ეცვა. გადახსნილი კალთებიდან შიგნითა კიმონოს ალისფერი სარჩული ანათებდა.

მალე კომაკო უკანვე ამობრუნდა, ხელში ნაღვერდლით სავსე აქანდაზი ეჭირა.

- ავადმყოფის ოთახიდან წამოვიღე, ამბობენ, ცეცხლს არაფერი ეკარება, ყოველთვის სუფთააო...

მერე საგულდაგულოდ დავარცხნილი თავი კოტაცუსკენ დახარა - ჩანავლულ ცეცხლს ქექავდა და თან ავადმყოფის ამბავს ჰყვებოდა: - «ნაწლავების ტუბერკულოზი აქვს, დიდი ხანი არ არის, რაც დაბრუნდა, უნდა სიცოცხლის ბოლო დღეები თავის მშობლიურ სოფელში გაატაროს, ამ მიწაში დაიმარხოს».

- მშობლიურიო, ამას ისე, სიტყვაზე ამბობენ, სინამდვილეში ეს სოფელი მხოლოდ დედულეთია. დედამისი გეიშა იყო, საპორტო ქალაქში მუშაობდა. სამსახურის ყავლი რომ გაუვიდა, იმ ქალაქშივე დარჩა და ცეკვის მასწავლებლობას მიჰყო ხელი. ჯერ ოცდაათი წლისაც არ იყო, დამბლა რომ დაეცა და სოფელს დაუბრუნდა. თან ცხელ წყლებზედაც ვიმკურნალებო, - ალბათ ამასაც ფიქრობდა.

ამ ერთი ვაჟის მეტი არავინO გააჩნდა. ბავშვობიდანვე ბიჭი ტექნიკით იყო გატაცებული. მალე ერთ მესაათესთან მოეწყო; მართლაც, სამუშაო შესანიშნავი გამოდგა და გადაწყვიტა, იმ ქალაქში დარჩენილიყო, მაგრამ არ გასულა დიდი დრო,

რომ თავი ტოკიოში ამოყო - თან მუშაობდა, თან ღამის სკოლაშიაც დადიოდა. ხომ წარმოგიდგენიათ, რა დღეში უნდა ყოფილიყო, რა ჯაფა დაადგებოდა... ჰოდა, როგორც ჩანს, ორგანიზმმა ვერ გაუძლო - ახალგაზრდა კაცია, ეს-ეს არის ოცდაექვსისა გახდა»...

სულმოუთქმელად ჩამოაჭიკჭიკა კომაკომ. იმ ქალიშვილზე კი, მასწავლებლის ვაჟთან ერთად რომ მგზავრობდა, სიტყვა არ დაუძრავს, არც ის უხსენებია, თვითონ რა უნდოდა ამ სახლში, აქ რატომ ცხოვრობდა.

მაგრამ ეს ორიოდე სიტყვაც საკმარისი აღმოჩნდა, რათა სიმამურას თავი მშვიდად ვეღარ ეგრძნო, დამშვიდებით ვეღარ მჯდარიყო ამ თითქოსდა ჰაერში გამოკიდებულ უცნაურ ოთახში, საიდანაც კომაკოს ხმა, ასე გეგონებოდა, ლაღად, დაუბრკოლებლად მიფრინავდა ოთხსავ მხარეს.

ის-ისაა სიმამურას კარის ზღურბლზე უნდა გადაებიჯებინა, რომ მისი ყურადღება სიბნელეში თეთრად მოკიაფე საგანმა მიიპყრო - ხებუერასაგან გამოთლილი სიამისენის ბუდე რატომღაც ჩვეულებრივზე მოზრდილი ეჩვენა, ნეტავი როგორ დაათრევს ამ უშველებელ ყუთსაო, - გაიფიქრა გუნებაში და გამჭვარტლულმა ფუსუმამაც გაიწია, ზარივით წკრიალა, საოცრად მომხიბვლელი ხმა გაისმა:

- კომა-ტიან, შეიძლება გადავაბიჯო?

სიმამურას ახლაც ყურში ედგა ის ხმა... ეს ის ხმა იყო, იმ ღამეს მატარებლის ფანჯრიდან სადგურის უფროსს რომ უხმობდა - ეს იოკოს ხმა იყო.

- შეიძლება! - მოკლედ მოუჭრა კომაკომ.

და მთიულურ ჰაკამაში გამოწყობილმა ქალიშვილმა იოლად გადააბიჯა ბუდეში ჩადებულ სიამისენს, ხელში ღამის ჭურჭელი ეჭირა.

სადგურის უფროსთან მისი გუშინდელი საუბრისა და ამ მთიულური ჰაკამის მიხედვით აშკარად ჩანდა, იოკო ამ კუთხის მკვიდრი უნდა ყოფილიყო.

საოცარი გოგო იყო, არაჩვეულებრივად მომხიბვლელი. მთიულურ ჰაკამაზე ჩალისფერი, შავფართოზოლიანი ბამბის სარტყელი ეკეთა, სარტყელიდან ღია ფერის ობი მოუჩანდა და იგი საოცრად ეხამებოდა გრძელსახელოებიან მუსლინის კიმონოს. წელიდან მუხლებამდე გვერდებში ჩახსნილი ჰაკამა მოხდენილად ებერებოდა თეძოებზე, თუმცა ბამბის ხეშეში, ხამი ქსოვილი, ეტყობა, არც ისე იოლი მოსაარშიებელი იყო. ქალის ეს ჩაცმულობა კაცს რატომღაც აწყნარებდა, გულზე ეფონებოდა...

მაგრამ იოკო წუთითაც არ შეჩერებულა, აჩქარებით გაიარა წინკარი და სიმამურას ერთი, ერთადერთი გამგმირავი მზერა ესროლა.

გარეთ რომ გამოვიდა, ასე ეგონა, იმ გოგოს გამჭოლი, შორეულ ნათებასავით ცივი მზერა კვლავაც მის სახეზე კრთოდა. ვერ იქნა, თავიდან ვერ მოიშორა ეს გრძნობა. გაახსენდა, რა აღტაცებული იყო, მინაზე არეკლილ იოკოს თვალში შორს, მინდვრად აბდღვიალებული ცეცხლის ანაშუქი რომ ჩაჯდა, ცეცხლმა თვალის გუგა რომ გაანათა და ზღაპრული მშვენებით რომ აავსო... ეს ალბათ იოკოს დანახვამ გაახსენა სიმამურას.

ამან კი სარკეში თეთრად ჩაფენილი თოვლის ფონზე კომაკოს ვარდისფრად ახასხასებული, ცინცხალი სახე მოაგონა.

სიმამურამ ნაბიჯს უმატა. მართალია მაინცდამაინც სხარტი და მოქნილი ფეხების პატრონი არ იყო, მაგრამ მთაში ხეტიალის დიდი ტრფიალი კი გახლდათ. საკმარისია მთა სადღაც თვალსაწიერზე გამოჩენილიყო, უმალვე თავისდა უნებურად ფეხს აუჩქარებდა... სიმამურას, კაცს სალოსსა და მეოცნებეს, აზრადაც არ მოსვლია, საღამური ბუნებისა თუ იმ თოვლიანი დილის ამრეკვლელი ეს ორივე სარკე სხვა რომ არა იყო რა, თუ არა კაცის ხელით შექმნილი ჩვეულებრივი მინა. მისთვის იგი ამ დედაბუნების, ამავე დროს რომელიღაც უცხო, რომელიღაც შორეული სამყაროს ნაწილს წარმოადგენდა.

თავად კომაკოს ოთახიც კი, საიდანაც ეს-ეს არის გამოვიდა, ახლა მას ისეთივე უცხოდ და შორეულად ეჩვენა. ეს ამბავი თვითონაც უკვირდა სიმამურას. გორაკზე რომ ავიდა, თვალი მასაჟით მკურნალ ქალს მოჰკრა და ისეთი გაფოთებული ეცა, თითქოს ერთადერთი ხსნა და გამოსავალი ახლა მისთვის ეს ქალიღა იყო.

- მასაჟს ხომ ვერ გამიკეთებთ?

- მართალი გითხრათ, არ ვიცი, მოვასწრებ თუ არა...

ნეტავი რომელი საათია?

ქალმა ჯოხი იღლიაში ამოიდო, უბიდან სახურავიანი ჯიბის საათი ამოაძრო და ციფერბლატი თითებით მოსინჯა.

- ორი საათი და ოცდათხუთმეტი წუთია. ოთხის ნახევარზე სადგურს გაღმა უნდა ვიყო, აქედან კარგა მოშორებით... ისე, ცოტა რომ დავიგვიანო, არაფერი უჭირს.

- მიკვირს, დროს ასე როგორ იგებთ?

- როგორ უნდა ვიგებდე, საათს მინა არ აქვს...

- ნუთუ შეხებით არჩევთ ციფრებს?..

- არა, შეხებით არა...

ქალმა საათი ისევ ამოიღო, სახურავი ახადა, - აი, აქ თორმეტია, აქ ექვსი, თორმეტსა და ექვს შორის სამია... რა თქმა უნდა, ყოველთვის ზუსტად ვერ ვიგებ, მაგრამ, არ მახსოვს, ორ წუთზე მეტი როდისმე შემშლოდეს.

- საოცარია... ამ ოღროჩოღრო გზაზე როგორღა დადიხართ, ნუთუ ფეხი არ გისხლტებათ?

- წვიმიან ამინდში ქალიშვილი მაკითხავს, საღამოობით კი ქვევით, სოფელში ვმუშაობ...

მოდი და ნუ გაგეცინება, თურმე სასტუმროს ქალები ლაყბობენ, ქმარი არ უშვებსო.

- ბავშვები ალბათ მოზრდილები გეყოლებათ?

- დიახ, უფროსი გოგონა ცამეტი წლის გახდა.

ამ ლაპარაკ-ლაპარაკით ისინი უკვე სიმამურას ნომერში ავიდნენ. ქალი ერთხანს გაჩუმებული მუშაობდა, მერე დაფიქრებულმა თავი იმ მხარეს მიაბრუნა, საიდანაც სიამისენის შორეული ხმა ისმოდა.

- ნეტავ ვინ უკრავს?

- როგორ, თქვენ ხმაზედაც არჩევთ, რომელი გეიშა უკრავს?

- გააჩნია ვინ არის...

ისეთი ფაფუკი სხეული გაქვთ, გეტყობათ, ფუფუნებაში ნაცხოვრები კაცი ხართ!

- მაშ ძალიან არა მაქვს ქონი მოკიდებული?

- აქა-იქ ცოტა კი მოგრევიათ, აი, მაგალითად, კისერზე... გეტყობათ, საკეს დიდად არ ეტანებით.

- ასე ყველაფერს როგორ ხვდებით?

- სამი მუშტარი მყავს, სამივენი თქვენი ტანადობისანი არიან.

- ვითომ რა ისეთი ტანადობაც მე მაქვს?!

- ასე მგონია, კაცი თუ საკეს არ სვამ, მთელი გულითა და სულით ვერასოდეს მოილხენ, არც ალბათ მოსაგონებელი დაგრჩება რაიმე...

- თქვენს ქმარს, ეტყობა, ეყვარება დალევა?

- ნუ იტყვით! არ ვიცი, რა ვქნა, რა მოვუხერხო.

- ნეტავი ვინ არის, ძალიან უგერგილოდ კი აჟღარუნებს.

- მართალი ბრძანდებით...

- თქვენ თვითონ თუ უკრავთ?

- კი, როგორ არა, ცხრა წლიდან მასწავლიდნენ, მაგრამ აი გავთხოვდი და ეს თხუთმეტი წელიწადია საკრავი ხელში აღარ ამიღია.

«უსინათლოებს ასაკი, როგორც ჩანს, ნაკლებად ეტყობათ», - გაიფიქრა სიმამურამ და დასძინა:

- ის, ვინც ბავშვობიდან სწავლობს, ცხადია, უკეთესად უკრავს.

- დიახ, მაგრამ სადღაა ის ხელები, მარტო ამ ჩემი საქმისთვის თუღა გამოდგება. სმენა კი მუსიკოსისა მაქვს, ხანდახან ვუსმენ სიამისენს, აი, ისე, როგორც ახლა, და გულს მეყრება. აფსუს, რა გოგო ვიყავი... - ქალმა თავი ისევ იმ მხარეს მიაბრუნა, სიამისენს მიაყურა, - ალბათ, ფუმიტანია, ასეა, კაცს თვალსა და ყურში პირველად ის მოხვდება, რაც ყველაზე კარგია ან ყველაზე უხეირო.

- ნუთუ აქ რიგიანად არავინ უკრავს?

- როგორ არა, ერთი გოგოა, კომა-ტიანი, სულ ახალგაზრდა ქალია, მაგრამ ნამდვილ მუსიკოსს არ ჩამოუვარდება.

- ჰოო...

- არ იცნობთ კომა-ტიანს? დიდებულად უკრავს... რა ქნას, ამ მიყრუებულ მთაშია მომწყვდეული.

- არა, არ ვიცნობ, მაგრამ გუშინღამ ცეკვის მასწავლებლის ვაჟი და მე ერთი მატარებლით ჩამოვედით...

- ნეტავი უკეთესად თუა?

- რა ვიცი, არა მგონია.

- ამბობენ, აი ეს კომაკო წლეულ ზაფხულს გეიშად სწორედ მაგის გულისათვის დადგაო.

ხომ მოგეხსენებათ, კაცს საავადმყოფოში რამდენი ფული სჭირდება... ნეტავი რატომ ჩამოვიდა?

- მაინც ვინ არის, რას წარმოადგენს ეგ კომაკო?

- იმ ვაჟის დანიშნულია, ამბობენ, სულ თან ჰყვება, თავს არ იზოგავსო... მე თუ მკითხავ, კარგადაც იქცევა, მომავალში დაუფასდება.

- დანიშნული?!

- რა ვიცი, ასე ამბობენ.

სიმამურასათვის ეს ამბავი სრულიად მოულოდნელი იყო. კომაკოს ბედზე ამ ქალის საუბარიცა და თავად კომაკოს ბედისწერაც, იმ ყმაწვილი ქალისა, რომელიც გეიშად მხოლოდ იმიტომ დადგა, ავადმყოფი საქმროსთვის მოევლო, ისე ბანალური მოეჩვენა, დაჯერება უჭირდა, ალბათ საკუთარ აზროვნებაში არსებული რომელიღაცა ზნეობრივი ბარიერი თუ უშლიდა.

და მაინც, უნდოდა ყველაფერი გაეგო კომაკოს შესახებ, მაგრამ ქალმა სიტყვა აღარ გააგრძელა.

«მაშ, კომაკო ცეკვის მასწავლებლის შვილზე ყოფილა დანიშნული... იოკო ალბათ იმ ვაჟის ახალი შეყვარებულია. ვაჟი დღესა თუ ხვალ სასიკვდილოდ არის განწირული...» - და სიმამურას გულში კვლავ ის ნაცნობი სიტყვები გახმიანდა: «ამაო გარჯა...» კაცმა რომ თქვას, განა ამაოდ არ ირჯებოდა კომაკო, გეიშად თავმოყიდულიც კი სინდისსა და სიტყვას რომ არ ღალატობდა, მომაკვდავი კაცის მკურნალობაზე რომ ზრუნავდა?

აი, ვნახავ კომაკოს და ეგრევე პირში ვეტყვი, ეგ შენი შრომა სულ ტყუილია, ამაოდ ირჯები-მეთქი, მაგრამ კომაკოს ახლა უკვე სულ სხვა თვალით უყურებდა, კიდევ უფრო მშვენიერი, ფიფქივით სუფთა და სპეტაკი ეჩვენებოდა.

მკურნალი ქალი წავიდა, სიმამურა კი ისევ ისე იწვა და თავის მოჩვენებით სიმკაცრესა და გულცივობას თავდავიწყებით იგემოვნებდა. სახიფათო იყო ეს გულცივობა, საშიში რისკის სუნი უდიოდა.

და აი, ერთბაშად ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს ყინულის გარსში ეხვეოდა: თურმე ფანჯარა დარჩენოდა ღია - ეს მხოლოდ მერეღა შეამჩნია სიმამურამ.

მწუხრის თალხი ეფინებოდა სოფლის მახლობლად მოჯარული მთების კალთებს, მწუხრის ცივი საღებავებით იფერებოდა ფერდობები. მხოლოდ ჩამავალი მზით განათებული, შორს გამდგარი მთების თოვლიანი მწვერვალები ელავდნენ საღამოს ლურჯ ბინდბუნდში.

მალე მთის კალთებზე ჩრდილი უფრო ჩაიბინდა. ბოლოს მზის მიმქრალი ანასხლეტი უკანასკნელად გაეთამაშა ყველაზე მაღალი მთის კენწეროს და ახლა უკვე ვარდისფერმა დაფიონმა მოაზამბახა მთებს გადაღმა ჩაკიდული დასალიერი.

მდინარის სანაპიროებზე, საცურაო სადგურსა და ტაძრის შემოგარენში შავ ლაქებად ჩატბორილიყო ადგილ-ადგილ, ჯგუფ-ჯგუფად გაზრდილი კრიპტომერია.

ის-ისაა, სულის წამღები სევდა ეუფლებოდა სიმამურას, რომ ოთახში მზის ნათელი სხივივით კომაკო შემოიჭრა.

სასტუმროში სათხილამუროდ ჩამოსული ტურისტების დამხვედრ კომიტეტს თათბირი ჰქონდა, თათბირის შემდეგ ნადიმი გაიმართა, მეც დამპატიჟესო, - თქვა ქალმა.

მერე კოტაცუსთან მიჯდა, ფეხები საფარქვეშ შეაწყო და ანაზდად სიმამურას ღაწვებზე ხელი მოუთათუნა.

- უცნაურია... ასე ფერმკრთალი რატომ ხარ? - ფაფუკ ლოყაზე მიესიყვარულა: - სულელო...

ეტყობა, ცოტა ნასვამი უნდა ყოფილიყო.

მერე, მოგვიანებით, ნადიმიდან მობრუნებული პირდაპირ იატაკზე ჩაჯდა.

- არ ვიცი... არაფერი არ ვიცი... თავი მტკივა, ოი, როგორ მტკივა...

ქალს თვალსა და ხელს შუა საოცარი სისწრაფით ეკიდებოდა სიმთვრალე.

- მწყურია, წყალი მომაწოდე!

აინუნშიაც არ აგდებდა, კოხტად დავარცხნილი თმა რომ ეშლებოდა, იწვა ტატამში თავწარგული, ატკრეცილ ლოყებზე ხელისგულებს იჭერდა. მერე უცბად წამოჯდა, სახეზე მალამო გადაისვა - პუდრგაცლილი ღაწვები ისე უღაღანებდა, თვითონვე სიცილის გუნებაზე დადგა, კარგა ხანს გულიანად იკისკისა.

მერე სიმთვრალემ ისევე უცბად გაუარა, როგორც დაეწყო, მხრები შეციებულივით შეარხია - მთელი აგვისტო საშინლად ვიტანჯებოდი, ნერვები დაწყვეტაზე მქონდა. მეშინოდა, ჭკუაზე არ შევმცდარიყავი. სულ რაღაცაზე ვფიქრობდი, სულ რაღაც მაწუხებდა, არ ვიცოდი კი - რა. თითქოს არც მეძინა, თან სულ ნაირ-ნაირ სიზმრებსაც ვხედავდი. ვერც ვსვამდი, ვერც ვჭამდი, მუშტარს რომ შევხვდებოდი, მაშინ თუ მოვერეოდი თავს. რამდენჯერ ყოფილა, ვზივარ მთელი დღე ერთ ადგილას გაუნძრევლად და ტატამში ნემსს ვურჭობ, დღისით, მზისით, გაგანია სიცხეშიო.

- მაინც, რომელ თვეში წახვედი გეიშად?

- ივნისის თვე იყო...

ისე, სულ ადვილი შესაძლებელია ახლა ჰამამაცუშიაც მეცხოვრა.

- ქმართან?

კომაკომ თავი დაუქნია.

- ერთი ჰამამაცუელი კაცი შემომიჩნდა, გასაქანს არ მაძლევდა, ცოლად წამომყევიო, მეხვეწებოდა, მე კი ვყოყმანობდი, არ ვიცოდი, რა მექნა, როგორ მოვქცეულიყავი.

- თუ არ მოგწონდა, რაღას ყოყმანობდი?

- უ-უ, რა საზიზღარი ხარ! აბა, როგორ უნდა გავთხოვილიყავი, როცა ჩემი საქმე მთლად წესრიგში ვერ იყო!

- ჰმ...

- შენ კი, გეტყობა, ძალიან არასერიოზული კაცი ხარ.

- იმ ჰამამაცუელ კაცთან რაიმე ურთიერთობა თუ გქონდა?

- ძალიან არ ვიყოყმანებდი, რაიმე ურთიერთობა რომ მქონოდა?! სულ მემუქრებოდა, გასაქანს არ მოგცემ, ყველანაირად ხელს შეგიშლი, სულერთია, ვერავის გაჰყვებიო.

- ვითომ ჰამამაცუდან ხელი როგორ უნდა შეეშალა? ახლოა თუ რა! ნუთუ მართლა გაღელვებს ასეთი სისულელეები?

თითქოს საკუთარი სხეულის სითბოთი ტკბებაო, კომაკო ერთხანს გარინდული იწვა, მერე ისე, სხვათა შორის წარმოთქვა:

- მეგონა, ორსულად ვარ-მეთქი.

ახლა რომ მაგონდება, ლამის სიცილით ვკვდები!..

იგუდებოდა, სიცილს ძლივს იკავებდა. მერე ბავშვივით მოიკუნტა, ორივე ხელით სიმამურას კიმონოს საყელოში მისწვდა.

და აი, ოდნავ ჩაჭუტული თვალებივით ახლაც შავად უპრიალებდა წამწამთა სიხშირისაგან შავჩრდილჩამდგარი ქუთუთოები.

*

მეორე დღეს სიმამურამ თვალი რომ გაახილა, კომაკო ხიბატიზე დაყრდნობილი იჯდა და ძველი ჟურნალის ყდაზე რაღაცას გამალებით წერდა.

- წარმოგიდგენია, სახლში ვერ წავსულვარ. მოსამსახურე ქალი რომ არ შემოსულიყო, ნაღვერდალი რომ არ შემოეტანა, ალბათ მაშინაც ვერ გავიღვიძებდი. ვაი, სირცხვილო!.. მზე უკვე სიოძის მოსდგომოდა.

- კი მაგრამ, რა დროა?

- რა დროა და, რვა საათია.

- საბანაოდ ხომ არ წავსულიყავით? - თქვა სიმამურამ და ლოგინიდან წამოდგა.

- რას ლაპარაკობთ?! თქვენ გინდათ, ვინმემ ახლა დერეფანშიაც დამინახოს?!

ამწუთას ქალი ნამდვილი კდემამოსილების განსახიერება იყო.

სიმამურა აბანოდან რომ დაბრუნდა, კომაკოს თავზე პირსახოცი წაეკრა და ოთახის ლაგებით იყო გართული.

მაგიდის ფეხები და ხიბატიც კი საგულდაგულოდ გაეპრიალებინა, მერე ჩვეული მოძრაობით მაყალში ნაცარი მოასწორა.

სიმამურა ტატამზე წამოწვა, ფეხები კოტაცუს საფარქვეშ შეაწყო და პაპიროსს მოუკიდა. ძირს დაცვივნული ფერფლი კომაკომ მაშინვე ხელსახოცით მოწმინდა და სიმამურას საფერფლე მიაწოდა. კაცმა უზრუნველად გაიცინა.

გაიცინა კომაკომაც.

- აი, გათხოვდებდი და ქმარს გულს გაუწყალებ.

- ნუთუ გულს გიწყალებ? რა ვქნა, ასეთი დავიბადე, ყველანი დამცინიან. ჭუჭყიანი სარეცხიც საგულდაგულოდ რომ არ დავკეცო, გული არ მომითმენს.

- ამბობენ, თუ გინდა, ქალის ხასიათი გაიგო, იმის კომოდში უნდა ჩაიხედოო.

როცა საუზმეზე დასხდნენ, მთელი ოთახი უკვე მზის ჩახჩახა სხივებით იყო გაბდღვრიალებული. ცოტა რომ მოთბა, კომაკომ ლაჟვარდისფრად მოხავერდებულ უძირო ცას ახედა:

- რა შესანიშნავი ამინდია! ნეტავი, ცოტა ადრე ავმდგარიყავი, შინ დროით წავსულიყავი, სიამისენზე წამემეცადინა. ასეთ ამინდში საკრავსაც სხვა ხმა, სხვა ჟღერადობა აქვს.

თითქოს თოვლის მარმაშში გახვეულანო, რძისფრად მიმკრთალებულიყვნენ შორს გამდგარი მთები.

სიმამურას იმ ქალის ნათქვამი გაახსენდა და სთხოვა, აქ დაუკარიო.

- კი, რატომაც არა, - არ იუარა კომაკომ, - შინ დავრეკავ, გამოსაცვლელ ტანსაცმელსა და ნაგაუტას* ნოტებს მოვატანინებ.

«ნუთუ ტელეფონია იმ სახლში?» - გაიფიქრა სიმამურამ და გუნებაში კვლავ იოკოს თვალები წარმოუდგა.

- ალბათ ის ქალიშვილი თუ მოიტანს?

- ჰო, ალბათ.

- გავიგე, მასწავლებლის ვაჟიშვილზე ყოფილხარ დანიშნული.

- ღმერთო დიდებულო! მაინც როდის გაიგე, როდის მოასწარი?

- როდის გავიგე და გუშინ.

- დიდი უცნაური კაცი ხარ... მაშ რატომ გუშინვე არ მითხარი? - ახლა უკვე გულღიად იღიმებოდა კომაკო.

- ძნელია ასეთი რამ უთხრა ადამიანს, ვის მიმართაც გულგრილი არა ხარ!

- ვიცი, განა არ ვიცი, ამას ისე, გულსგარეთ ლაპარაკობ... ვერ ვიტან ამ ტოკიოელებს. პირზე სულ ტყუილები გაკერიათ!

- ხომ ხედავ, როგორც კი იმისი ამბავი ვახსენე, სიტყვა ბანზე ამიგდე.

- სრულებითაც არა! მერედა დაიჯერე?

- რა თქმა უნდა, დავიჯერე.

- აი ახლაც ტყუი! მე ხომ ვიცი, არ დაგიჯერებია!

- როგორ გითხრა...

ცოტა არ იყოს, უცნაურად მომეჩვენა. აკი იმასაც ამბობენ, გეიშადაც საქმროს გულისათვის წავიდა, უნდოდა ავადმყოფის სამკურნალოდ ფული მოეგროვებინაო.

- საშინელებაა, ნამდვილი მე-ლო-დრა-მა... არა, დანიშნული არ ვყოფილვარ. თუმცაღა ასე ბევრს ეგონა. რაც შეეხება გეიშად წასვლას, ის აქ არაფერ შუაშია, მინდოდა ჩემი ვალი მომეხადა.

- შენ რა სულ ქარაგმებით მელაპარაკები!

- მაშინ გარკვევით გეტყვი. იყო დრო, მასწავლებელი ოცნებობდა, მისი ვაჟიშვილის ცოლი გავმხდარიყავი, თუმცა ამაზე ერთი სიტყვაც არასოდეს უთქვამს. მე და მისი ვაჟიშვილი, უბრალოდ, ვხვდებოდით მის ამ სურვილს, ეგ არის და ეგ, სხვა ჩვენს შორის არაფერი ყოფილა...

- ესე იგი, ბავშვობის მეგობრები ხართ.

- დიახ...

ტოკიოში სამუშაოდ რომ მივდიოდი, მარტო ის მაცილებდა, ეს მე ჩემს პირველსავე დღიურში მაქვს ჩაწერილი.

- ალბათ საპორტო ქალაქში რომ დარჩენილიყავით, ახლა ცოლ-ქმარი იქნებოდით.

- არ ვიცი, არა მგონია.

- ვითომ?

- კაცმა რომ თქვას, შენ რა გაღელვებს?.. ისე, ალბათ, დიდი ხნის სიცოცხლე აღარ უწერია.

- მართალი რომ გითხრა, ცუდია, ღამღამობით შინ რომ არ ათენებ.

- მე თუ მკითხავ, ცუდი ის არის, შენ რომ ლაპარაკობ ამაზე. მოქცევით კი - ჩემი ნებაა, როგორც მოვიქცევი, ამას თვითონ ის მომაკვდავიც ვერ დამიშლის.

რაღა უნდა ეთქვა სიმამურას!

ეგ არის, კომაკოს არც ახლა დასცდენია სიტყვა იოკოს შესახებ.

რატომ, მაინც რატომ?

როგორც ყოველთვის, თავის უცნაურ ვარაუდებში გართული სიმამურა ამ წუთშიაც სადღაც ზეცაში დაფრინავდა.

- კომა-ტიან, კომა-ტიან, - გაისმა წყნარი, წკრიალა ხმა... ის ხმა... ხმა იოკოსი...

- გმადლობთ, იოკო-სან, მოვდივარ! - ამ სიტყვებით კომაკო გვერდითა ოთახში გავიდა, - მარტო ხარ, იოკო-სან? ამსიმძიმე მარტომ როგორ მოათრიე?

ჩანს, იოკომ არაფერი უპასუხა, სიტყვის უთქმელად გატრიალდა.

კომაკომ მესამე სიმი მოუშვა, ისევ მოუჭირა - ააწყო სიამისენი. ესეც საკმარისი იყო, რათა მიხვედრილიყო სიმამურა, როგორ ამღერდებოდა საკრავი ამ ლამაზი ქალის ხელში. და აი ბუნკის ეპოქის (1804-1818 წლები) მემუსიკის კინეია იასიტის დაახლოებით ოცამდე ნაწარმოები მისთვის ნამდვილი აღმოჩენა იყო.

იგი მან იმ სავარჯიშო ნოტებში ნახა, ეს-ეს არის, კომაკომ კოტაცუზე რომ დადო.

სიმამურამ ნოტები ხელში აიღო, გაშალა...

- ეს ნაწარმოები შენ თვითონ შეისწავლე?

- მაშ რა უნდა მექნა?

- კი მაგრამ, მასწავლებელი ხომ სახლში გყავს?

- ნეტავი დამბლადაცემულ ქალს მაგისი თავი სადა აქვს!

- სიტყვით მაინც აგიხსნის.

- საქმეც ის არის, რომ ვერ ამიხსნის, ენა არ ემორჩილება, ცეკვაში კიდევ რაღაცას ახერხებს, მარცხენა ხელს იშველიებს, სიამისენს კი, ყურები მისკდებაო - ახლოსაც ვერ იკარებს.

- მერედა არჩევ დიაკრიტულ ნიშნებს?

- კი, როგორ არა.

- ალბათ ნოტებით მოვაჭრენი კმაყოფილები არიან.

ხუმრობა ხომ არ არის, ვიღაც დილეტანტი კი არა, ნამდვილი გეიშა აკითხავთ ნოტებისთვის.

- ცეკვა ტოკიოში ვისწავლე, სიამისენზე დაკვრა კი არავის უსწავლებია, რაღაც თუ დამავიწყდა, მომგონებელი არავინ მყავს, მხოლოდ ნოტების იმედზე ვარ.

- სიმღერა? სიმღერის საქმე როგორღა გაქვს?

- ცუდად. საცეკვაო სიმღერებს, კიდევ ჰა და ჰა, ვახერხებ. ახალ სიმღერებსაც რადიოში ვუსმენ და ვიხსომებ, ოღონდ წარმოდგენა არ მაქვს, როგორ ვმღერი, ალბათ ძალიან სასაცილო თუ ვარ. მოხუც მუშტრებთან ხმა მიწყდება, სამაგიეროდ ახალგაზრდებთან ისე ავჭიკჭიკდები...

თქვა კომაკომ და თვითონვე შეცბა. მერე წელში გაიმართა და სიმამურას ისე შეხედა, თითქოს იმღერეო, - სთხოვდა, ან ელოდა, საცაა სიმამურა პირს გახსნის და სიმღერას წამოიწყებსო.

სიმამურა კი ერთბაშად შიშმა შეიპყრო.

სავაჭრო უბანში გაზრდილს ბავშვობიდანვე უყვარდა კაბუკი, უყვარდა იაპონური ეროვნული ცეკვა, შესანიშნავად იცოდა ნაგაუტას თქმულებანი. სიმღერა კი არასოდეს უსწავლია.

ნაგაუტას გახსენებაზე თეატრის საცეკვაო სცენა გაახსენდა, სად ისა და სად ეს გეიშას გვერდით გატარებული ვახშამიო, - ცხვირი აიბზუა.

- ო, რა საძაგელი ხარ! ასე ძნელად მოსავლელი მუშტარი მე ჯერ არასოდეს შემხვედრია, შენ გვერდით თავს მუდამ ეულად და დაკარგულად ვგრძნობ.

კომაკომ ქვედა ტუჩი მოიკვნიტა, მაგრამ მაშინვე ხელში სიამისენი აიღო და ნოტების რვეული ისე საყვარლად, ისე მოხდენილად გადაშალა...

- ეს ნოტები ამ შემოდგომაზე ვისწავლე.

ეს «კანძინტიო» იყო.

და აი, ლოყები გაუცივდა სიმამურას, გული გაუჩერდა, სხვა ყველა საფიქრალისაგან დაცლილი გონება გაუნათდა - მუსიკის ხმატკბილი ჰანგებით აივსო. ახლა იგი დამარცხებული და დათრგუნვილი კი არა, განადგურებული იყო. კრძალვასა და მოწიწებას მოეცვა მისი გული, მონანიებაში იძირებოდა მისი სული, სადღა იყო ის ნებისყოფა! ისღა დარჩენოდა, კომაკოს ნებას დამორჩილებოდა და სიხარულით ფრთაშესხმული მელოდიის ხმატკბილ ნიაღვარს გაჰყოლოდა.

- დიდი ამბავი, - ცდილობდა საკუთარი თავი თვითონვე შთაეგონებინა, - ერთი ცხვირმოუხოცავი გეიშაა, ეგ არის და ეგ! უკრავს ამ უგვან ოთახში და თავი ისე უჭირავს, ვითომ სადმე დიდ სცენაზე იყოს!.. - კომაკო კი ხან სხაპასხუპით მიაყრიდა

ტექსტს, ხან ფრაზას გამოტოვებდა, ამ ადგილას რიტმი ოდნავ შენელებულიაო, - იტყოდა; მერე სულ თავი აიწყვიტა, ხმა ზარივით ააწკრიალა, ისე ლაღად, ისე გულისწამღებად ააჟღერა სიამისენი - ნეტავი სადამდეღა უნდა მივიდესო - შიშის ზარმა დაზაფრა სიმამურა. მერე მხარ-თეძოზე წამოწვა და მოჩვენებითი გულგრილობით ხელი თავქვეშ ამოიდო.

როცა ქალი «კანძინტიოს» დაკვრას მორჩა, შვებით ამოისუნთქა სიმამურამ. და აი ეს მშვენიერი ქალი, ვაი და ვაი, რომ მასზე იყო შეყვარებული... ამის გაფიქრებაზე ერთბაშად საშინელმა სევდამ მოიცვა, გული მუნათით აევსო...

- როცა ასეთი ჰაერია, როცა ასეთი დღეა, საკრავსაც სხვა ხმა აქვს...

დიახ, მართალს ამბობდა კომაკო - აქ ყველაფერი სხვანაირი, ჰაერიც კი განსხვავებული იყო...

არ იყო არც თეატრის კედლები, არც მაყურებელი, არც ქალაქის მტვერი... და რეკდა ზამთრის ამ კამკამა დილას აჟღერებული ჰანგი, ლაღად, ფრთაშესხმული მიქროდა თოვლით დაფარული მწვერვალებისაკენ.

ძალა ამ ქალის დაკვრისა მისი სულის ძალა იყო, რომელსაც იგი პლექტრის დარტყმაში ატანდა.

სულ მარტო უკრავდა, მარტო მეცადინეობდა - ამას იგი მიჩვეული იყო, წარმოდგენა არ ჰქონდა, ამ უკიდეგანო მინდვრებს, ამ ზვიად მთებს რომ იყო ჩაზიარებული, ამ დიად ბუნებასთან რომ იყო ერთობაში. ალბათ ამიტომაც ჰქონდა ასეთი საოცარი ძალა მისი პლექტრის დარტყმას. დიახ, ქალი მუდამ მარტო იყო... სწორედ ეს მარტოობა, დამთრგუნველი მარტოობისავე სევდა-მწუხარებისა, ჰბადებდა ამ ქალის არსებაში უჩვეულო ძალასა და ნებისყოფას. იქნებ ჰქონდა კიდევაც რაიმე ჩვევა სიამისენზე დაკვრისა, მაგრამ იმისათვის, რომ მარტო, სრულიად დამოუკიდებლად, მხოლოდ ნოტებით დაუფლებოდა რთულ მუსიკალურ ნაწარმოებს, გაეთავისებინა და ასე ლაღად, ასე თავისუფლად აეჟღერებინა, უჩვეულო გულმოდგინება და განსაკუთრებული ნებისყოფა იყო საჭირო.

მიუხედავად ამისა, სიმამურასათვის ეს მხოლოდ ამაო გარჯა, ამაოებათა ამაოება იყო. იგი მხოლოდ სიბრალულს იწვევდა მის გულში, ვითარცა მიუღწევლისკენ სწრაფვა დაუოკებელი.

მაგრამ იმ ბგერებში, კომაკოს საკრავიდან რომ ამოჰქონდა, ცხადდებოდა თვითმყოფადი არსი და ღირებულება ამ ქალის ცხოვრებისა. სიმამურა, რომელიც მხოლოდ მთლიანობაში აღიქვამდა მუსიკას და რომელიც არცთუ ისე კარგად ერკვეოდა სიამისენზე დაკვრის უნატიფეს წვრილმანებში, სწორედ რომ ყველაზე შესაფერისი მსმენელი იყო კომაკოსათვის.

როდესაც ქალმა მესამე პიესა - «მიიაკადორი» დაუკრა, იქნებ თავად პიესის იმ კეკლუცი სინაზის გამო, ახლა უკვე მთელ ტანში ჭიანჭველები აღარ უვლიდნენ სიმამურას. იგი როგორღაც დაამებული, დაშოშმინებული იჯდა, კომაკოს თვალს ვეღარ აშორებდა და სულ უფრო მეტად და მეტად იმსჭვალებოდა სიახლოვის ნეტარი გრძნობით.

ქალს აგზნებული სახე უბრწყინავდა, თითქოს ჩურჩულებდა - აქა ვარ, აჰა, აქა ვარო! ნამიანსა და ნატიფ ბაგეზე კბილთა ანაშუქი, ასე გგონია, მაშინაც დასთამაშებდა, როცა არც იცინოდა, არც ლაპარაკობდა. და ამ ბაგეებში, ისე როგორც მთელ მის სხეულში, იყო საოცრად დიდი ცდუნება და ხიბლი საოცარი. არცთუ ისე მაღალ, გადაკალმულ წარბებქვეშ თარგში მოყვანილივით სწორჭრილიან, მშვენიერ თვალებში ცისკრის შუქი ჩასდგომოდა. საშურველი უმანკოებით, ბავშვური გულუბრყვილობით იმზირებოდნენ ახლა ეს თვალები.

პუდრაგაცილებული სახის კანი, რომელიც იქ, დედაქალაქის მხიარულ უბანში განატიფებოდა, მერე კი აქაურ მთის ჰაერს აეღაღანებინა, გაფცქვნილი ხახვივით უკრიალებდა.

იგი წელში გამართული იჯდა და ახლა ისე ჰგავდა უბიწო ქალწულს, როგორც არასოდეს.

მერე ერთი პიესა - «ურასიმაც» დაუკრა. ამ პიესას ახლა ვსწავლობო, თქვა, მიზრაფი სიმებქვეშ უსიტყვოდ შეაცურა და ჯდომის ნირი იცვალა - მოშილიფდა.

ერთბაშად სურვილის სიომ დაჰბერა ქალისაგან.

სიმამურას ხმის ამოღების თავი არა ჰქონდა, ჩანს, არც კომაკოს აინტერესებდა მისი აზრი - ახლა იგი მთელი გულითა და სულით ხარობდა.

- შეგიძლია სმენით მიხვდე, რომელი გეიშა უკრავს?

- რა თქმა უნდა.

რა ბევრნიც ეგენი არიან, სულ რაღაც ოციოდე თუ იქნება. «დოდოიცუს» დაკვრისას ხომ სულ ადვილია მათი გამოცნობა, შესრულების მანერა ყველაზე უფრო სწორედ ამ პიესაში ჩანს.

კომაკომ სიამისენი ისევ აიღო, მუხლში ოდნავ მოხრილი, განზე გამდგარი ფეხის ნაკუთალზე დაიდო, თეძოები ოდნავ მარცხნივ გასწია, ტანი მარჯვნივ გადმოხარა.

- პატარა რომ ვიყავი, ასე ვსწავლობდი.

სიამისენის ყელს თვალდაუხამხამებლად მიაჩერდა და გაუწაფავი ხელით შესრულებულ მელოდიას ნამდვილი ბავშვური ხმით აჰყვა:

- კუ-რო-კაა-მიი-ნო...

- პირველად, ალბათ, «კუროკამი» შეისწავლე?

- აჰა...

- თავი დაუქნია ქალმა.

ბავშვობაშიც ალბათ ასე პასუხობდა კომაკო.

ამის შემდეგ ღამით სიმამურასთან რომ დარჩებოდა, დილდილობით, ვიდრე ცაში ნათელი ჩადგება, გინდა თუ არა შინ უნდა მივასწროო, - უწინდებურად აღარ ჩქარობდა.

ხანდახან სასტუმროს პატრონის სამი წლის გოგონა მოადგებოდა. «კომა-ტიაან», - დაუძახებდა გოგონა და ბოლოში ხმას გაუწვრილებდა. კომაკო გაიგონებდა თუ არა ამ ხმას, დასტაცებდა ბავშვს ხელს, თავისთან ჩაიწვენდა და იყვნენ ორივენი ერთ მხიარულებასა და სიცილ-ტკრციალში. მერე კი, ასე თორმეტი საათისთვის, ჩაავლებდა ხელში ხელს და მასთან ერთად აბანოსკენ გასწევდა.

ბანაობას რომ მორჩებოდნენ, თან სველ თმას უვარცხნიდა, თან ამბობდა:

- ეს პატარა გოგოცუნა, სადაც ვინმე გეიშას დაინახავს, მაშინვე ზედ მიაფრინდება, კომა-ტიანო, - დაუძახებს და თან ბოლოში ხმას აუწევს... სადაც კი იაპონურ ყაიდაზე დავარცხნილი ქალის სურათს თვალს მოჰკრავს, ყველას კომა-ტიანს ეძახის.

მე ხომ ბავშვები ძალიან მიყვარს, ეტყობა, ეს ამანაც იგრძნო... - კიმი-ტიან, წამოხვალ კომა-ტიანთან სათამაშოდ?

კომაკო ის იყო წამოდგა, რომ აუღელვებლად ისევ ტალანში დადგმულ სელის სავარძელში ჩაჯდა.

- ოჰ, ეს დაუდეგარი ტოკიოელები! ჯერ არც კი გათენებულა, ესენი კი უკვე თხილამურებით დასრიალებენ!

სიმამურას ოთახის ფანჯრიდან მთის სამხრეთი კალთა - მოთხილამურეთა საყვარელი ადგილი მოჩანდა.

კომაკოს სიტყვებზე კოტაცუსთან მიმჯდარი სიმამურაც შემობრუნდა და იმანაც მთისაკენ გაიხედა. თხლად მოკიდებული თოვლი მიწას ძლივს ფარავდა. შავ სათხილამურო კოსტიუმში გამოწყობილი რამდენიმე ახალგაზრდა მთის ძირას ტერასებად განლაგებულ ბაღჩებში დასრიალებდა. თოვლი ისე თხლად იდო, ბაღჩებშუა დაგდებულ მიჯნებსაც ვერ ფარავდა. უშნოდ, უგერგილოდ დაფლატუნობდნენ მეთხილამურეები.

- დღეს კვირაა, სტუდენტები იქნებიან...

- შესანიშნავ სპორტულ ფორმაში კი არიან, - როგორღაც თავისთვის ჩაილაპარაკა კომაკომ, - ამბობენ, ციგურაობის დროს მუშტარი მოციგურავე გეიშას თუ შეხვდება, პირდაღებული შეჰყურებს, ვერა ცნობსო. გასაგებიც არის - გეიშა ხომ მზისაგან ისეა დამწვარი... საღამოს კი წაისვამს პუდრს და...

- გეიშებიც ალბათ საციგურაო ფორმაში არიან?

- არა, მთიულური ჰაკამები აცვიათ. ზოგჯერ ვახშამზე მუშტარი გეიშას პაემანს დაუნიშნავს: «ხვალ საციგურაოდ ერთად ხომ არ წავსულიყავით?..» პირდაპირ საშინელებაა! არა, წელს საციგურაოდ არავისთან წავალ... ახლა კი ნახვამდის. კიმი-ტიან, წავიდეთ... ამაღამ ალბათ მოთოვს.

თოვლის წინ, საღამოობით, მუდამ ასეთი სუსხიანი სიცივე იცის.

სიმამურა იმ დაწნულ სავარძელში ჩაჯდა, საიდანაც ეს-ეს არის კომაკო წამოდგა. სათხილამურო ფერდობის ნაპირ-ნაპირ, ციცაბო ბილიკზე შინისკენ მიმავალ კომაკოს მოჰკრა თვალი, გვერდით ხელჩაკიდებული გოგონა მიჰყვებოდა.

მალე მზით გაბრწყინებულ ცას ღრუბელი წამოერია, ჩრდილებმა მთის კალთები დააჭრელა. შუქ-ჩრდილი წუთი-წუთ ირეოდა - ცივი, კაეშნის აღმძვრელი იყო ჩრდილისა და სინათლის ეს თამაში. მალე ჩრდილმა მინდორიც გადაფარა. თვალი ახლა ახლომახლო შემოგარენს მოავლო სიმამურამ - თეთრი ჭირხლი მოსდებოდა ფანჯრებს ქვემოთ გადაფეთქილ, ბამბუკის ბიჯგებშეყენებულ ქრიზანთემებს; სახურავზე თოვლი შემდნარიყო, წკაპაწკუპით, წვეთ-წვეთად დიოდა ნაჟური.

იმ ღამეს თოვლი კი არა, ჯერ სეტყვა წამოვიდა, მერე სეტყვას წვიმა მოჰყვა.

წამოსვლის წინ, ნათელ, მთვარიან ღამეს, სიმამურამ ერთხელ კიდევ იწვია კომაკო.

- გავისეირნოთ, - განაცხადა ანაზდად ქალმა, სიმამურა ჯიკავ-ჯიკავით წამოაგდო კოტაცუდან და თითქმის ძალისძალად გაიყვანა ქუჩაში.

უკვე შუაღამე იყო.

თოშჩამდგარ სოფელს ეძინა. კომაკომ კიმონოს კალთები შეიბრუნა და ობიში შეიკეცა. გზა მოყინული იყო, ცისფერ ყინულზე ფოლადის დისკოსავით ბრწინავდა მთოვარე.

- მოდი, სადგურში წავიდეთ.

- ხომ არ გაგიჟდი! მთელი ერთი რი უნდა გაიარო, სადგურში რომ მიხვიდე და იქიდან უკანვე წამოხვიდე.

- გავა ერთი დღე, ორი, სამი...

მერე შენ წახვალ... რა იქნება, მივიდეთ, სადგურს შევხედოთ.

სიცივემ ძვალსა და რბილში დაუარა სიმამურას.

ნომერში რომ დაბრუნდნენ, კომაკომ ერთბაშად მოიწყინა, თავჩაქინდრული კოტაცუსთან მიჯდა, ხელები საფარქვეშ შეყო, მოიბუზა.

ძილის წინ საბანაოდაც არ წასულა.

ოთახში მხოლოდ ერთი ხელი ლოგინი იყო დაგებული. ლეიბის ბოლო კოტაცუს სწვდებოდა, საბნის კიდე კოტაცუზე გადახურული საფარის ერთ კიდეს ფარავდა. თავჩაქინდრული კომაკო ლოგინის მეორე მხარეს იჯდა.

- რა დაგემართა?..

- შინ უნდა წავიდე...

- ნეტავი რას სულელობ...

- ცოტა ხანს ასე ვიჯდები... შენ დაწექი.

- ასე უცბად რა მოხდა, რა დაგემართა? ვითომ რატომ უნდა წახვიდე?

- არა, არ წავალ, დილამდე ასე ვიჯდები.

- კარგი ახლა, გეყოფა ცელქობა!

- ვცელქობ? აზრადაც არ მომსვლია!

- მაშინ დაწექი.

- არა, არ შეიძლება.

- კარგი ახლა, დაწექი, - თქვა სიცილით სიმამურამ, - ხომ გეუბნები, ხელს არ გახლებ-მეთქი.

- არა.

- სულელო. მაშინ ასე რას მორბოდი?

- უნდა წავიდე.

- კარგი, იჯექი, ოღონდ არ წახვიდე.

- აღარ შემიძლია, გესმის, გული მტკივა! შენ ხომ მიდიხარ, შენ ხომ შენს სახლში მიდიხარ, ტოკიოში... გული მიკვნესის, გესმის, გუ=ლი მიკვნესის...

- კომაკომ სახე საბანში წარგო.

«გული უკვნესის... საკუთარი უმწეობა გულს უკლავს - რა ქნას, რა იღონოს, თუკი ეს ჩამოსული კაცი შეუყვარდა, სად, სად ეძებოს გამოსავალი? იწვის ამ ქალის გული, ცეცხლში იფერფლება...» - ფიქრებმა გაიტაცა სიმამურა.

მერე კარგა ხანს გაჩუმებული იჯდა.

- წადით, გემუდარებით, მალე წადით.

- მე ხომ ხვალ ნამდვილად ვაპირებ წასვლას.

- წასვლას? როგორ თუ წასვლას?! - კომაკო ერთბაშად თითქოს გამოფხიზლდა, თავი ასწია.

- მაშ რა ვქნა? როდემდე დავრჩე?

ქალი ჯერ გაოგნებული მიაჩერდა, მერე გაბრაზებულმა წამოიძახა:

- უბედურებაც ეგ არის... შენ, შენ... აი, ეგ არის უბედურება...

მერე გადარეულივით წამოხტა, სიმამურას ეცა, კისერზე მკლავები შემოაჭდო.

- გესმის შენ, რას ამბობ?! ადექი, ახლავე ადექი! - ქალი გონებაზე აღარ იყო. იგი შლეგიანივით დაემხო სიმამურას გვერდით, ლოგინზე.

მერე თვალები რომ გაახილა, ცრემლი მარგალიტებივით უბრწყინავდა ნამიან წამწამებზე.

- წადი, ხვალ უსათუოდ წადი, - თქვა და შუბლიდან თმა გადაიგდო.

მეორე დღეს სიმამურა სამი საათის მატარებელს უნდა გაჰყოლოდა. იგი უკვე წასასვლელად ემზადებოდა, საგზაოდ ევროპულ კოსტიუმს იცვამდა, რომ სასტუმროს მსახურმა ქალმა კომაკო დერეფანში გაიხმო. მერე გაიგონა, მხოლოდ თერთმეტი საათი იანგარიშეთო, - კომაკომ მოსამსახურე ქალს როგორ უთხრა.

მალე ანგარიშიც მოიტანეს.

სიმამურამ ანგარიშს დახედა და მიხვდა, ყველაფერი წუთი წუთზე იყო გაანგარიშებული - როდის ხუთ საათზე წავიდა კომაკო, როდის ხუთ საათამდე, როდის თორმეტზე და როდის თორმეტ საათამდე.

კომაკომ პალტო ჩაიცვა, ყელზე თეთრი შარფი მოიხვია და სიმამურას სადგურზე გასაცილებლად გაჰყვა.

როგორმე დრო რომ გაეყვანა, სიმამურა შინაურებისთვის რაღაც წვრილმანების ყიდვას მოჰყვა - ლიანას დამარილებული ნაყოფი, დაკონსერვებული ლოკოკინა...

დრო კი ნელა გადიოდა.

ვაგზლის მოედანზე ბოლთას სცემდა და უკვირდა, თვალს სივრცე რომ არ ჰყოფნიდა, აქაურობა ასე მთებში რომ იყო ჩაჭედილი. ამ დაღვრემილი, პირქუში მთების ფონზე ქალის შავი თმა რატომღაც სევდას ჰგვრიდა, საოცრად ცუდ გუნებაზე აყენებდა.

მხოლოდ ერთ ადგილას, მდინარის ქვემო წელთან, ვარაყივით დაჰფენოდა მზის თეთრი ლაქა მთის კალთას.

- რაც ჩამოვედი, მგონი, თოვლმა იმატა...

- ორი დღე გადაბმულად თუ ითოვა, თოვლის სიმაღლე ექვს სიაკუმდე ააღწევს... მესამე დღესაც თუ არ გადაიღო, მაშინ კი, აგერ, ელექტროფარანს ხომ ხედავ, თოვლით დაიფარება... მერე შენზე ფიქრებში გართული, დაბნეულ-დარეტიანებული ამ თოვლში უგზო-უკვლოდ რომ ვივლი, წამოვედები მაგ მავთულებს და თავს ხეირს არ დავაყრი.

- ნუთუ ასე დიდი თოვლი იცის?

- ამბობენ, აგერ, მეზობელ დაბაში თოვლს რომ დადებს, გაშიშვლდებიან გიმნაზიელები და საერთო საცხოვრებლის მეორე სართულიდან შიგ თავდაყირა ცვივიანო...

- კარგი იქნებოდა, ჩამოვსულიყავი, ამ თქვენი თოვლის მზით დავმტკბარიყავი... მაგრამ საახალწლოდ სასტუმრო ალბათ ისეა გაჭედილი, კაცი შიგ ცხვირს ვერ შეყოფს. ზვავები რომ წამოვა, ნუთუ გზას არ ხერგავს, მატარებლებს არ აჩერებს?

- გეტყობათ, ხელგაშლილად ცხოვრობთ, - ამბობდა კომაკო და თან სახეში შეჰყურებდა, - რატომ ულვაშს არ მოუშვებთ?

- ულვაშს? ჰო... სწორედ ვაპირებდი კიდევაც.

სიმამურამ სუფთად გაპარსულ ღაწვებზე ხელი ჩამოისვა - ალბათ ბაგეებს ჩაყოლებული ეს შთამბეჭდავი ნაკეცები თუ აძლევს ჩემს გაფაქიზებულ სახეს ამ ვაჟკაცურ იერს, ალბათ ამის გამო თუ მოვწონვარ კომაკოს, ამის გამო თუ აქვს ჩემზე ასეთი წარმოდგენაო.

- შენ კი პუდრს მოიშორებ თუ არა, თითქოს ეს-ეს არის ამ წუთის გაპარსულიაო.

«რას ჩხავის ყვავი, პირშავი, ნეტავი კი რას დამჩხავის...» - წაულექსა კომაკომ.

- მცივა! - ქალმა ცას შეხედა და მოიბუზა.

- მოსაცდელ დარბაზში ხომ არ შევსულიყავით, ღუმელთან ხომ არ გავმთბარიყავით?

და აი, უცბად ქუჩაში იოკოს მოჰკრეს თვალი.

მთიულური ჰაკამა ეცვა, გიჟივით, თავქუდმოგლეჯილი მორბოდა სადგურისკენ.

- კომა-ტიან, კომა-ტიან! იუკიო-სანს, გესმით, იუკიო-სანს რაღაც ემართება., - კომაკოს მხრებში ისე ჩააფრინდა, როგორც შეშინებული ბავშვი დედის კალთას, თავის ერთადერთ იმედსა და თავშესაფარს. სულს ძლივს ითქვამდა.

- წამოდით, გეხვეწებით, ჩქარა წამოდით!

კომაკომ თვალები დახუჭა, თითქოს თავს ეძალება, ცდილობს, ბეჭებში გამდგარ ტკივილს მოერიოსო, სახეზე მიტკლისფერი დასდებოდა. მერე ერთბაშად თავი ჯიუტად გააქნია:

- არა, ვერ წამოვალ, არ შემიძლია, მუშტარი უნდა გავაცილო.

სიმამურა გაოცებული იყო.

- რის გაცილება, ახლავე წადი.

- არა, არ შემიძლია! მე ხომ არ ვიცი, ოდესმე ჩამოხვალ თუ არა!

- ჩამოვალ, როგორ არ ჩამოვალ!

იოკოს არაფერი ესმოდა, სლუკუნით ამბობდა:

- სასტუმროში დავრეკე, მითხრეს, სადგურზეაო, მაშინვე აქეთ გამოვქანდი. იუკიო-სანი გეძახით!

აცრემლებული იოკო მკლავზე ექაჩებოდა კომაკოს, კომაკო ჯიუტობდა, თუმცა თქმით არაფერს ამბობდა, მერე უცბად ხელი გამოჰგლიჯა:

- თავი დამანებე!

და ერთი-ორი ნაბიჯი გადადგა, შეტორტმანდა, ყელში რაღაცამ ისე წაუჭირა, თითქოს უნდა აღებინოსო, თვალები აუცრემლდა, ღაწვებზე კანი აებურძგლა.

იოკო დაბნეული მისჩერებოდა კომაკოს. უმარტივეს ნიღაბს მიუგავდა საოცრად სერიოზული, მაგრამ არაფრისმთქმელი, არაფრისგამომხატველი სახე - არც გაოცების, არც მრისხანების, არც მწუხარების...

სახეზე ნირი არ შესცვლია, იგი ერთბაშად სიმამურას მიუბრუნდა და მკლავში სწვდა.

- ძალიან გთხოვთ, გამოუშვით!

- რა თქმა უნდა, გამოვუშვებ! - სიმამურამ ხმას აუწია, - ახლავე შინ წადი, გესმის, ახლავე სახლში წადი-მეთქი, სულელო!

- ნეტავი თქვენ ვინ გეკითხებათ! - მკვახედ მოუჭრა კომაკომ და შეეცადა ჩამოეშორებინა მისთვის იოკო.

სიმამურას სადგურთან გაჩერებულ ავტობუსზე უნდა მიეთითებინა, რომ იგრძნო, ხელი, რომელზედაც მთელი ძალით და ღონით ჩასჭიდებოდა იოკო, საშინლად დაჰბუჟებოდა და ბოლოს ესღა უთხრა:

- თქვენ წადით, ამას კი ახლავე, აი, იმ მანქანით გამოვუშვებ... ასე როგორ შეიძლება, ხალხი დგას და გიყურებთ.

იოკომ თავი დაუქნია.

- თუ შეიძლება, მალე... - ამ სიტყვებზე იგი გატრიალდა და გაიქცა.

რა გულწრფელი და უშუალო იყო ყოველი მისი მოქმედება, რა სადა და უბრალო მისი საქციელი. სიმამურამ მიმავალ ქალს თვალი გაადევნა და სრულიად უადგილოდ გაიფიქრა: «ნეტავი ეს გოგო მუდამ ასეთი სერიოზული რატომ არის?»

ჯერ ისევ ყურებში ედგა იოკოს საოცრად მომხიბვლელი, გულის წამღები ხმა, უნაზეს ექოდ რომ ეფინებოდა თოვლით თავშემოსილ შორეულ მწვერვალებს.

- სად მიდიხართ! - შეაჩერა კომაკომ შოფრის საძებრად მიმავალი სიმამურა, - არ წავალ-მეთქი, ხომ გითხარით!

და აი, კაცმა ერთბაშად ნამდვილი ფიზიკური მძულვარება იგრძნო ამ ქალის მიმართ.

- მე არ ვიცი, რა ურთიერთდამოკიდებულებაა თქვენ სამს შორის, მაგრამ ერთი კი ცხადია - მასწავლებლის ვაჟიშვილი ახლა უკანასკნელ დღეშია. ნუთუ არ გესმის, რომ სწორედ ამიტომ გამოგზავნა ეს გოგო?! რაღას უყურებ, ახლავე წადი, გულგახსნილი წადი... აბა, წარმოიდგინე, რა მოგივა, ახლა რომ მოკვდეს, აი, ახლა, ვიდრე ჩვენ აქ ვდგავართ და ვკინკლაობთ. მერე ხომ მთელი შენი ცხოვრება უნდა ინანო!.. ნუ ჯიუტობ, ყველაფერი აპატიე.

- არა, არა, თქვენ რაღაც გეშლებათ!

- მაგრამ გაიგე, განა მხოლოდ მან, მხოლოდ მან ერთმა არ გაგაცილა, როდესაც გაყიდული ტოკიოში მიდიოდი? შენ ხომ ეს შენი დღიურის პირველსავე გვერდზე გაქვს ჩაწერილი. მაშ როგორ შეგიძლია, არ გამოემშვიდობო იმ კაცს, როცა იგი სამუდამოდ მიდის ამ ქვეყნიდან?! ახლა კი წადი, ახლავე წადი, დაე, შენ იყავი მისი ცხოვრების უკანასკნელი ფურცელი...

- არა, არ შემიძლია, მომაკვდავს ვერ შევხედავ, - თქვა კომაკომ და ამ სიტყვებში საოცარი სიცივეც იყო და საოცრად დიდი სიყვარულიც...

სიმამურა დაიბნა და შეყოყმანდა.

- ამის შემდეგ დღიურის წერას ვეღარ შევძლებ... ავდგები და დავწვავ, სულ ერთიანად დავწვავ, - ბუტბუტებდა სახეწამოწითლებული კომაკო, - მომისმინე... მე მგონი, გულისხმიერი ადამიანი უნდა იყო, თუ ასეა, თუ შენ ნამდვილად გულწრფელი კაცი

ხარ, ვიცი, არ დამცინებ, ჩემს დღიურს შენ გამოგიგზავნი, რაც არის, მთლიანად გამოგიგზავნი...

შენ ხომ კეთილი და გულისხმიერი ადამიანი ხარ...

სიმამურას გული აუჩვილდა, გრძნობა მოერია, გაურკვეველმა მღელვარებამ მოიცვა, თითქოს ირწმუნა კიდევაც, ამქვეყნად ყველაზე გულწრფელი, ყველაზე გულისხმიერი ადამიანი ვარო. იგი უკვე აღარ სთხოვდა კომაკოს, გინდა თუ არა, შინ წადი, მომაკვდავი ინახულეო.

ამ დროს მათ სასტუმროს მსახური მიუახლოვდა - ხალხს უკვე ბაქანზე უშვებენო, - მოახსენა.

აქაურების გარდა მატარებელში არავინ ასულა, არც არავინ ჩამოსულა.

სულ რამდენიმე კაცი თუ იქნებოდა - ზამთრის ტანსაცმელში გახვეულნი, პირქუშნი.

- ბაქანზე არ გამოვალ, ნახვამდის!

კომაკო მოსაცდელი დარბაზის ფანჯარასთან იდგა. ფანჯრის საგდულები ჩაკეტილი იყო და ვაგონიდან ასე გეგონებოდა, სოფლის უბადრუკი საბაყლოს ფანჯარაში გადმოდგმულ მინის ბინძურ ყუთში ერთადერთი უცხო რამ ნაყოფი იყო ჩარჩენილი.

მატარებელი დაიძრა თუ არა, მოსაცდელი დარბაზის მინებს იქით სინათლე აბრდღვიალდა. «ახლა მისი სახეც აცისკროვნდება ამ ელექტრონიაღვარში...» - გაიფიქრა სიმამურამ, მაგრამ სახემ მხოლოდ წუთით გაიელვა, მხოლოდ წუთით წაიგიზგიზა საოცრად წითელმა, წითელმა ღაწვებმა, აი, ისე, როგორც მაშინ, თოვლით გადაქათქათებულ სარკეში და უმალ გაქრა.

და კვლავ სიმამურასათვის ეს ფერი იყო ის საზღვარ-სამანი, რომლის იქითაც უკვე აღარ არის ამქვეყნიური რეალობა და სინამდვილე.

მატარებელი სასაზღვრე მთის ჩრდილო კალთას აუყვა, გრძელ გვირაბში შევიდა. ჩამავალი მზის შუქმიმქრალი სხივები ერთბაშად თითქოს სიბნელემ შთანთქა, ჟამგადასულმა ვაგონებმა თითქოს თავისი ძველი ჯავშანი განიახლა... გვირაბიდან გამოსული მატარებელი გვერდი-გვერდ მიჯრით აყუდებულ, მწუხრის ბინდდაკრულ მთებს შუა დაეშვა - თოვლის ნასახიც არსად იყო სასაზღვრო მთის პირაქეთა კალთებზე.

მდინარის დასწვრივ მიმავალი გზა გაშLლილ მინდორზე გაჭრილიყო. მთის კორტოხებზე გადმომდგარი მთოვარე თეთრად დაჰქათქათებდა ხეობათა ჰარმონიულ ხვეულებს - მთვარის ნათელი შუქი დასდგომოდა ცისკენ აზიდულ მთას თხემით ძირამდე.

მთა იყო ამ პირქუში, უნიათო ბუნების ერთადერთი მშვენება და ლაზათი. მალე ფეხაკრეფით ჩამომდგარმა დაისმა მთების უსწორმასწორო კონტურით მოხატა ზეცის ლურჯი ხავერდი. ზამთრის ის ცივი ციაგი ჯერ არ შესდგომოდა თეთრად კი არა, ახლა უკვე ღია ყვითლად მოკამკამე ღამის მნათობს. ცაში ფრინველის ჭაჭანებაც არსად იყო.

იქ, სადაც მარჯვნივ და მარცხნივ შორს გაზიდული მთების კალთებს მდინარისაკენ გაევაკებინა, ელექტროსადგურისმაგვარი, თოვლივით ქათქათა შენობა იდგა. ვაგონის ფანჯრებიდან მხოლოდ ეს თეთრი შენობა ირჩეოდა ზამთრის ამ ბინდჩამდგარ, სიცოცხლემიძინებულ ბინდბუნდში.

ვაგონის მინები თანდათან ორთქლით შეიცვარა.

ბინდში იძირებოდა ფანჯრებს იქით აცერებული დაბლობი. რაც უფრო ეძალებოდა ბინდი გარემოს, მინაზე მით უფრო გარკვევით ირეკლებოდა ვაგონში მსხდომთა ნახევრად გამჭვირვალე ხატება... და იყო ისევ ის თამაში სარკისა და ამ ღამეული, მწუხრით მოცული ბუნებისა.

მატარებელი არაფრით ჰგავდა ტოკიოს მაგისტრალის მატარებლებს - ადამისჟამინდელი, მინგრეულ-მონგრეული ძველებური ყაიდის ეს სამი თუ ოთხი ვაგონი, ეს აბჟუტებული სინათლე...

სიმამურა ირგვლივ ვეღარავის ამჩნევდა, ყოველივეს განეშორა, გათავისუფლდა, დროისა და სივრცის შეგრძნება გაქრა მისი გონებიდან, მისი სხეული უმიზნოდ დაეხეტებოდა სადღაც, ირეალურ სამყაროში, ბორბლების ერთფეროვან კაკუნს თანდათან ქალის ხმა ეწნოდა.

ქალი ლაპარაკობდა - მოკლე იყო, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ქალის სიტყვები, დამმოწმებელი მისი სისხლსავსე ცხოვრებისა... ისეთი სისხლსავსე ცხოვრებისა, რომ სიმამურა გულდამძიმებული უსმენდა. თანდათან ხმა სულ უფრო შორდებოდა, სულ უფრო შორსა და შორს მიიწევდა. მისი ეს შორეული ჟღერა ახლა უკვე დვრინვით მიჰყვებოდა გზად დამდგარი კაცის სევდას.

«ალბათ უკვე სულიც დალია იუკიომ. ნეტავი მიუსწრო კი კომაკომ სასიკვდილო სარეცელზე მწოლიარეს?..

მაინც რატომ ჯიუტობდა, შინ წასვლა რატომ არ უნდოდა?.. მაინც რატომ?»

მგზავრები ცოტანი იყვნენ.

სულ ორნი - ორმოცდათიოდე წლის მამაკაცი და ღაწვებღაღანა ახალგაზრდა ქალი. ისინი ერთმანეთის პირისპირ ისხდნენ და ერთთავად ლაპარაკობდნენ და ლაპარაკობდნენ. ქალს სავსე მხრებზე შავი შარფი ჰქონდა მოხვეული. შეხედავდი თუ არა, თვალში უმალვე მისი საუცხოო სახის ფერი გეცემოდა. იგი ოდნავ წინ

გადახრილი იჯდა, ყურადღებით უსმენდა მოსაუბრეს და ცოცხლად, გადამეტებული ხალისით პასუხობდა.

«ალბათ, შინაურები არიან, შორეულ მოგზაურობაში თუ იყვნენ».

მაგრამ აი, მატარებელი სადგურზე გაჩერდა, იქ, სადაც მომცრო ვაგზლის უკან ძაფსართავი ფაბრიკის მილი აღმართულიყო. კაცმა თაროდან ლაფნის კალათი სასწრაფოდ ჩამოიღო და ვაგონის ფანჯრიდან პლატფორმაზე ჩაუშვა.

- აბა, კარგად იყავით! შემთხვევა თუ მოგვეცა, იქნებ კიდევ შევხვდეთ ოდესმე, - თქვა კაცმა და ვაგონიდან გავიდა.

სიმამურას ლამის ცრემლი მოერია.

ეტყობა, ამ ქალთან თუ იყო, ახლა შინ ბრუნდებაო, - გაიფიქრა.

აზრადაც არ მოსვლია, ეს ქალი და კაცი შემთხვევით გაცნობილი მგზავრები თუ იყვნენ. კაცი, როგორც ჩანს, კარდაკარ მოსიარულე ვაჭარი ან რაღაც ამდაგვარი უნდა ყოფილიყო.

«ტანსაცმელს გაუფრთხილდი, კალათში არ ჩაკეცო, კედელზე არ ჩამოკიდო, ჩრჩილმა სწორედ ამ დროს იცის გამრავლება, კვერცხებს სწორედ ამ დროს დებს», - გაახსენდა ცოლის სიტყვები სიმამურას. მართლაც, სასტუმროს ნომერში ფარვანა შუშაბანდის კარნიზზე ჩამოკიდებულ ნათურას ეტანება, ეკვრის. მეორე ოთახშიც რაღაც მოყვითალო მღილი დაფუთფუთებს, პატარაა, მაგრამ დიდმუცელა.

მწერსაცავბადურებიანი ჩარჩოები ჯერ კიდევ ფანჯრებში დგას. ბადურაზე გარედან ღია მწვანე, ფრთაგამჭვირვალე მწერი ზის, მწერს კვიპაროსის ქერქისფერი, ნაზი, ღინღლივით ულვაში აქვს. ფანჯრის ბადურებს გადაღმა, ჩამავალ მზის სხივებში, შორეული მთები ლივლივებენ. შემოდგომას წითელ-ყვითლად გადაუჭრელებია ფერდობები.

ფერთა ამ ზეიმში მხოლოდ ფანჯრის ბადურაზე ფერგადასულ ლაქასავით მიწებებულ მწერს არ აჩნია სიცოცხლის ნიშანწყალი და მხოლოდ ის ერთი პაწაწინა წერტილიღა შერჩენია მუქი მწვანე, სადაც ფრთა ფრთას ეფარება. აი, შემოდგომის ნიავმა დაბერა და ციცქნა ფრთები აუთრთოლა, ქაღალდის ფურცელივით ააცახცახა.

«მკვდარია თუ ცოცხალი?» - გაიფიქრა სიმამურამ და ბადურას წკიპურტი გაჰკრა. მწერი არ შერხეულა. მაშინ მუშტი დაარტყა ბადურას - მწერი ჯერ ხიდან ჩამოვარდნილი ფოთოლივით წამოვიდა და მალე ისევ ფარფატით აიჭრა ჰაერში.

სიმამურამ სივრცეს თვალი გაადევნა - შორს, კრიპტომერიის ტყის ფონზე, ნემსიყლაპიების ქარავანი მოფრინავდა, თითქოს ბაბუაწვერების კორიანტელი აშლილაო, ჰაერში ბოლო აღარ უჩანდა.

«ეს რა ურიცხვ-უთვალავნი არიან?!

ნეტავი პირდაპირ კრიპტომერიის ტოტებიდან ხომ არ მოედინება ეს მდინარე?»

სიმამურა მოჯადოებულივით გაჰყურებდა ფერდობზე ვერცხლისფრად გადაპენტილ ლესპადეზას.

სასტუმროს საბანაოდან რომ გამოვიდა, სადარბაზოს შესასვლელთან ხელზე მოვაჭრე რუსის ქალი დაინახა. «აი, საოცრება, ნეტავი ამ მივარდნილ მთებში რამ ამოიყვანა?» - სიმამურა ქალთან ახლოს მივიდა - ვნახოთ, რა აქვს, რით ვაჭრობსო, მაგრამ - ჩვეულებრივი იაპონური პირის მოსართავი და ნაირ-ნაირი თმის სამკაული - ეგ იყო და ეგ.

ქალი, ასე, ორმოციოდე წლისა იქნებოდა, წვრილ-წვრილი ნაოჭებით დაღარული სახე შავად ჩასტეტკოდა, სავსე ყელ-კისერზე თეთრი შუქი გადასდიოდა.

- აქ რამ მოგიყვანათ?

- მე?.. მე რამ მომიყვანა? - ქალმა კითხვა შეუბრუნა და ისე ჩაფიქრდა, თითქოს არ იცისო, რა უთხრას, რა უპასუხოსო.

მერე გაშლილი საქონელი სასწრაფოდ წამოკრიფა.

ძველ, ჩამოძონძილ ქვედა კაბას ფერი და სახე აღარ ემჩნეოდა, მგონი, ევროპულ ყაიდაზე იყო შეკერილი. ფუროსიკიში* გამოკრული უზარმაზარი ფუთა ზურგზე მოიგდო, აი ისე, იაპონელებს რომ სჩვევიათ და წავიდა - ფეხზე ტუფლები ეცვა.

სასტუმროს დიასახლისმა, რომელიც იქვე იდგა და უყურებდა, ქალმა საქონელი როგორ აკრიფა, სიმამურა კანტორაში შეიპატიჟა. კერის პირას მათკენ ზურგშექცევით ვიღაც წარმოსადეგი ტანადობის ქალი იჯდა. მათ შესვლაზე ქალი წამოდგა, საგვარეულო გერბამოქარგული შავი ძვირფასი კიმონოს კალთა შეისწორა.

სიმამურამ ქალი მაშინვე იცნო - ეს ის გეიშა იყო, სათხილამურო სადგურის ფოტორეკლამაზე კომაკოსთან ერთად გადაღებული რომ ნახა - ორივე თხილამურებზე იდგა, ორივეს მთიულური ჰაკამა და საღამოს კიმონო ეცვა. მართალია, არც ისე ახალგაზრდა, მაგრამ არაჩვეულებრივად ლამაზი, თავადური აღნაგობის ქალი იყო.

სასტუმროს პატრონს ტკბილგულიანი მოგრძო ფუნთუშები ხიბატიზე გადებულ რკინის მაშებზე დაეწყო და აფიცხებდა.

- ხომ არ მიირთმევთ? ეს ძღვენი ერთი სასიხარულო ამბის გამო მოგვართვეს... გემო მაინც გაუსინჯეთ!

- რაო, ამ ქალმა თავისი ხელობა ხომ არ მიატოვა?

- ჰო, მიატოვა.

- ტანადი ქალია.

- თავისი ყავლი შეასრულა და ამ ამბის აღსანიშნავად უნდა ნაცნობ-მეგობრები მოინახულოს.

ისე, დიდი ქარი კი უქროდა თავის დროზე!

სიმამურამ ცხელ ფუნთუშას სული შეუბერა და პირში დაძველებული ნამცხვრის მომჟავო გემო იგრძნო.

ფანჯრებს ქვემოთ ჩამავალ მზის სხივებში წითლად ღუოდა მწიფე ატამი, მისი ანარეკლი კერიის თავზე დამაგრებულ გრძელ, ნემსკავიან ბამბუკის ჯოხს სწვდებოდა.

სიმამურა გაოცებული გაჰყურებდა მთის კალთაზე მომავალ ქალს. ქალს ზურგით რომელიღაც გრძელღეროიანი, გრძელსაგველა მცენარის უშველებელი კონა მოჰქონდა.

- ნუთუ ლესპადეზაა?

- რა ბრძანეთ? ა-ა, არა, მისკანტია.

- მისკანტიო? მაშასადამე, ეს მისკანტია?..

რკინიგზის სამინისტროს მიერ მოწყობილ ცხელი წყლების სარეკლამო გამოფენაზე არის ერთი პავილიონი, რომელიც სწორედ აი ამ მისკანტით არის გადახურული. ამბობენ, მთელი ის პავილიონი ვიღაც ტოკიოელმა კაცმა შეისყიდაო.

- ესე იგი, მისკანტია... - თავისთვის ჩაილაპარაკა სიმამურამ.

«მაშ ეს მისკანტია, აგერ, იმ მთაზე? მე კი ლესპადეზა მეგონა».

სიმამურა მატარებლიდან რომ ჩამოვიდა, თვალი მაშინვე ყვავილებით თეთრად გადაფეთქილმა მთის კალთამ მოსტაცა. მთელი ფერდობი ვერცხლისფრად მობიბინე ყვავილს წაელეკა. თითქოს მცენარე კი არა, კონა-კონა წამოსული მზის სხივები იყო, შემოდგომის, მაგრამ საოცრად უხვი, ხასხასა მზის სხივები... სიმამურას აღტაცებისაგან გული ყელში მოებჯინა.

მაგრამ ახლოს რომ შეხედა, ახლა უკვე სულ სხვაგვარი ეჩვენა მცენარე - იგი აღარაფრით ჰგავდა იმ თეთრ ყვავილებს, მზესავით რომ მოსდებოდნენ შორეული მთის კალთებს.

უშველებელი გუდურის ქვეშ ქალი თითქმის აღარ ჩანდა.

მცენარის ბოლოები წამდაუწუმ ციცაბო გზის აქეთ-იქით ჩაყოლებულ ქვის ყორეს ედებოდა.

სიმამურა ნომერში დაბრუნდა, მეორე, ათსანთლიანი ნათურით ოდნავ განათებულ ოთახში ის დიდმუცელა მწერი შავად გალაქულ კალათზე მიცოცავდა, როგორც ჩანს, კვერცხებს დებდა. ლავგარდანქვეშ არიალებული ფარვანები დეკორატიულ ფარანს აწყდებოდნენ.

ჯერ ისევ დღის სინათლეზე ამღერდნენ ჭრიჭინობლები.

აჭრიალდნენ კუტკალიები.

კომაკო ცოტა მოგვიანებით მოვიდა.

დერეფანში კართან შედგა, კაცს სახეში მიაჩერდა.

- რატომ, რატომ ჩამოხვედი?

- შენთან ჩამოვედი...

- ცარიელი სიტყვებია, ვიცი, გულში სხვას ფიქრობ. ვერ გიტანთ ამ ტოკიოელებს, ყველანი მატყუარები ხართ, - ქალი ჩამოჯდა, - არასოდეს, არასოდეს აღარ გაგაცილებ... - თქვა თითქმის ჩურჩულით.

- რახან ასეა, ამჯერად ისე წავალ, შენ არ გაგაგებინებ, ჩუმად გაგეპარები.

- არა, რას ამბობ! სადგურზე აღარ გაგაცილებ-მეთქი, მე მხოლოდ ამის თქმა მინდოდა.

- იმ კაცს რა მოუვიდა?

- მოკვდა, სხვა რა უნდა მოსვლოდა.

- ვიდრე ჩემთან, სადგურზე იყავი?

- მაგას რა მნიშვნელობა აქვს... ვერასოდეს წარმოვიდგენდი, გაცილება ასე გამიჭირდებოდა... თერთმეტ თებერვალს მაინც სად იყავი, მაშინ მაინც რაღად მომატყუე? მე კი სულ გელოდი და გელოდი! მორჩა, ამიერიდან მე შენ აღარაფერს დაგიჯერებ.

თორმეტი თებერვალი - «მინდვრიდან ფრინველთა განდევნის დღე» ანუ «ტორიო» - აქაური საბავშვო დღესასწაულია. ათი დღით ადრე სოფლის გოგო-ბიჭები ჩაიცვამენ ნამჯის ჩექმებს და თოვლის სატკეპნად ახლომახლო მინდვრებს მოეფინებიან.

მერე ამ დატკეპნილი თოვლიდან დიდრონ, ორი სიაკუს სიგრძე-სიგანის აგურებს მოჭრიან და სამი კენის სიმაღლის თოვლის ტაძარს ააგებენ. თოთხმეტ თებერვალს ცოტა რომ მოსაღამოვდება, მოიტანენ სოფელში მოგროვებულ სიმეს*, დაახორებენ ტაძრის წინ და ჭიაკოკონას ააგიზგიზებენ (ამ სოფელში ახალ წელს პირველ თებერვალს ზეიმობენ, ისე რომ, საახალწლო მორთულობა თოთხმეტ თებერვლამდე ძლებს). ამის შემდეგ ბავშვები ტაძრის სახურავზე ადიან, ჟივჟივებენ, ერთი ჟივილ-ხივილი გააქვთ, თან «ტორიოის» მღერიან. მერე ტაძარში შევლენ, სანთლებს ანთებენ, იმ ღამეს იქვე გაათენებენ, მეორე დღეს დილაადრიან ისევ ტაძრის სახურავზე ადიან და ისევ «ტორიოის» დასძახიან.

ყველაზე დიდი თოვლი აქ, ამ მხარეში სწორედ ამ დროს იცის. აუცილებლად ჩამოვალ, დღეობაზე აქ ვიქნებიო, - შეპირებული იყო სიმამურა.

- სამუშაო უკვე მიტოვებული მქონდა. საახალწლოდ მშობლებთან წავედი, თოთხმეტი თებერვლისათვის კი დავადე თავი და უკანვე გამოვბრუნდი. მეგონა, აუცილებლად ჩამოხვიდოდი.

ასე რომ მცოდნოდა, ცოტა ხანს კიდევ დავრჩებოდი, ცოტას მივხედავდი...

- რაო, ცუდად ხომ არავინ იყო?

- საპორტო ქალაქიდან დეპეშა რომ მივიღე - იმხანად ჩვენებთან ვიყავი, იმ პერიოდში მასწავლებელიც სწორედ საპორტო ქალაქში იყო.

ეტყობა, იქ გაცივდა და ფილტვების ანთება დაემართა - ცხადია, მაშინვე იქით გავეშურე.

- ახლა ხომ კარგად არის, ხომ გამოჯანმრთელდა?

- ეჰ, გამოჯანმრთელდა კი არა...

- ცუდად გამომივიდა, - თქვა სიმამურამ, თითქოს ბოდიშს უხდის, თითქოს სამძიმარს ეუბნება, თანაგრძნობას უცხადებსო.

- არაფერია... - ერთბაშად დამშვიდებულმა წარმოთქვა კომაკომ და ცხვირსახოცით მაგიდა გადაფერთხა, - რა საშინელებაა, რამდენი ქინქლა შემოფრინდა!

უამრავი მწერი შესეოდა მაგიდასა თუ ტატამს, დაცოცავდა წვრილაწვრულა ფრთოსანი ჭიაღუა, აბაჟურის გარშემო ფარვანა ირეოდა, უამრავი ქინქლა მოსწოლოდა ფანჯრის ბადეს - სათითაოდ, გარკვევით ირჩეოდნენ მთვარის შუქზე.

- კუჭი მტკივა, - თქვა კომაკომ და ხელები ობის ქვეშ ამოიწყო, თავი სიმამურას მუხლებზე დადო.

კომაკოს საყელომ ოდნავ უკან გადაიწია და შეპუდრულ კისერზე ქინქლა წვიმასავით წამოვიდა - დაჯდებოდა რომელიმე პაწაწა არსება და თეთრ კისერს ზედ დააკვდებოდა.

«შარშანდელთან შედარებით როგორ აივსო, როგორ გადაეტკიცა ყელ-კისერი. აი, უკვე ოცდაერთი წლისა გახდა».

იგრძნო, თანდათან მუხლები როგორ გაუთბა.

- კანტორაში სულ მე დამცინიან: «კომა-ტიან, წადი, «კამელიაში» შეიხედე!» რომ იცოდე, რა მაიმუნები არიან... ეს-ეს არის მატარებლით ერთი ამხანაგი გავაცილე, რამდენიმე გაჩერებაზე მეც გავყევი, ეს წუთია დავბრუნდი. ვიფიქრე, ცოტა ხანს წამოვწვები, დავისვენებ-მეთქი, რომ სასტუმროდან დაგირეკესო... გადავწყვიტე, არ წამოვსულიყავი - დაღლილი ვიყავი...

ბოლოს გულმა მაინც არ გამიძლო... კანტორაში ძალიან იცინეს, მაგრამ მე ხომ მთელი წელიწადი არ მენახე... შენ ხომ ის კაცი ხარ, ადამიანს წელიწადში ერთხელ რომ მოეჩვენები.

- მე კი იმ შენი მეგობრის გამომცხვარი ფუნთუშაც გეახელი.

- მართლა?

კომაკომ თავი ასწია - სიმამურას მუხლებზე დებისაგან წითლად აფორაჯებულ სახეზე ბავშვური გაოცება დაეხატა.

- მეც ხომ ის გეიშა გავაცილე, მესამე სადგურამდე გავყევი... აქაურობა სულ წახდა, უწინ ყველასთან გამოძებნიდი საერთოს, ახლა კი ყველაფერი აირია, ყველანი მეთავისეები გახდნენ. თავი სულ ისეთმა გეიშებმა მოიყარეს, ერთმანეთში ვეღარ რიგდებიან, ერთმანეთს ხასიათს ვერ უწყობენ. კიკუი გულს ძალიან მომაკლდება. ყველაფრის წამომწყები და მოთავე ის იყო! მუშტრებსაც გამორჩეულად უყვარდათ.

ყველაზე მეტსაც მაგას პატიჟებდნენ და ყველაზე მეტ ფულსაც ეგ იღებდა. რა გასაკვირია, რომ პატრონებიც სულ ხელისგულზე ატარებდნენ.

- ახლა რას აპირებს, გათხოვდება თუ საკუთარ რესტორანს გახსნის? - იკითხა სიმამურამ. გაგონილი ჰქონდა, ხელშეკრულების ყავლი რომ გაუვა, მშობლიურ მხარეში აპირებსო დაბრუნებას.

- რომ იცოდე, რა უყისმათო ქალია! ის ხომ უკვე ქმარგაცილებული იყო, ჩვენთან რომ ჩამოვიდა, - თქვა კომაკომ და წუთით შეყოყმანდა, თითქოს ვერ გადაუწყვეტია, თქვას

თუ არა, ღირს თუ არა სათქმელადო და მთის კალთაზე ტერასებად განლაგებულ ბაღჩებს გახედა, - აი, იმ პატარა შენობას ხომ ხედავ, ფერდობზე?..

- ეგ რესტორანი არ არის, «კიკიმურა»?

- ჰოდა, ადვილი შესაძლებელია, ეგ რესტორანი ახლა კიკუის საკუთრებაც ყოფილიყო. მხოლოდ იმ თავისი უშნო ხასიათის გამო გაუშვა ხელიდან. ჯერ ააშენებინა თავის პატრონს ეს სახლი, მერე კი, როცა უკვე საქმე გადასვლაზე მიდგა, ააგდო ქვა და შეუშვირა თავი. სულ იმ თავისი ახალი საყვარლის გამო - ატყუა და ატყუა, ცოლად შეგირთავო, თავგზა აუბნია, ბოლოს ადგა და მიატოვა. ცხადია.

კიკუი ძველ მფარველს აღარ დაუბრუნდა, რესტორანზედაც უარი თქვა - იქნებ ძალიანაც უნდოდა, მაგრამ ვეღარ იკადრა. აღარც აქ დარჩენა მოისურვა, ადგა და სულ მიატოვა ეს სოფელი - სადმე სხვა ადგილას დავსახლდები, ყველაფერს თავიდან დავიწყებო. მოკლედ, დიდი უბედური ქალია. მართალია, ჩვენ არაფერი ვიცოდით, მაგრამ, ჩანს, კაცებიც კარგად ბლომად ჰყავდა.

- მაინც რამდენი უნდა ჰყოლოდა, მთელი ლეგიონი ხომ არ ეყოლებოდა?..

- აბა მე რა ვიცი... - სიცილს ძლივს იკავებდა კომაკო. მერე ერთბაშად სიმამურასაგან პირი იბრუნა, - კიკუია-სანი სუსტი ხასიათის ქალია, უნებისყოფო...

- მაინც რა შეეძლო, რა უნდა ექნა?

- როგორ თუ რა?! რამდენ კაცსაც შეუყვარდები, ყველას ხომ არ... - თავი ასწია, თმის სარჭით თავი მოიქექა, - მე კი ძალიან დამწყვიტა გული კიკუია-სანის წასვლამ.

- რესტორანს რაღა უყვეს?

- ვინც ააშენა, იმის ცოლი გადმოვიდა, ახლა ის უვლის, ის პატრონობს.

- ცოლი?!

- სახლი უკვე მზად იყო.

ვიღაც ხომ უნდა დაჰპატრონებოდა, საქმეს ხომ უნდა შესდგომოდა. ცოლმა მოჰკიდა თავის გოგო-ბიჭებს ხელი და გადმოვიდა.

- ძველ სახლს რაღა უყვეს?

- რა უყვეს და, ბებია დატოვეს. მართალია, გლეხები არიან, მაგრამ ქმარი ძალზე ხელგაშლილი კაცია, დროსტარების მოყვარული, ისე, ცოტა უცნაური კაციც არის.

- დარდიმანდი და ლოთიშფოთი, არა? ალბათ, უკვე ასაკშია?

- რატომ, ახალგაზრდა კაცია, ოცდაცამეტი-ოცდათოთხმეტისა თუ იქნება.

- მერედა კიკუია უფროსია იმის ცოლზე?

- არა, ტოლები არიან, ისიც ოცდაშვიდისაა.

- რესტორანს კიკუიას პატივსაცემად დაარქვეს «კიკიმურა»? მერე ცოლმა რა ქნა, დაუტოვა ეს სახელი?

- რა უნდა ექნა, აბრას ხომ ვეღარ გამოცვლიდა?

სიმამურამ კიმონოს კალთა გადმოიწია, ტანზე მჭიდროდ მოიხვია. ამის დანახვაზე კომაკო წამოდგა, სიოძი მიხურა.

- კიკუია-სანმა ყველაფერი იცოდა შენ შესახებ. ჩამოვიდაო, დღესაც სწორედ იმან მითხრა.

- ჰო, კანტორაში ვნახე, გამოსამშვიდობებლად იყო.

- ხომ არაფერი უთქვამს?

- არა, არაფერი...

- შენ გესმის, რა დღეში ვარ?

კომაკომ სიოძი ისევ გამოაღო, რაფაზე ჩამოჯდა.

ერთხანს ორივენი გაჩუმებულები ისხდნენ.

- აქ ყველაფერი სხვანაირია, ცაც სხვანაირია. ზევით გამჭვირვალე სიცარიელეა, სიცარიელეში კაშკაშა ვარსკვლავებია გაბნეული, - თქვა სიმამურამ.

- წელსაც სულ თოვდა და თოვდა...

- რამდენჯერმე მგონი მატარებლის მოძრაობაც შეწყვეტილა?

- ჰო, ზოგჯერ შიშიც კი მიპყრობდა... მანქანებმა ჩვეულებრივზე მთელი ერთი თვით გვიან დაიწყეს სიარული.

სათხილამურო სადგურთან რომ მაღაზიაა, ხომ გახსოვს? ზვავმა შენობის სახურავი ჩაანგრია. პირველ სართულზე ჯერ ვერაფერი გაიგეს. ხმაური რომ შემოესმათ, იფიქრეს, სამზარეულოში თაგვები თუ დარბიანო, მივიდნენ, ნახეს - რის თაგვები, თაგვის ხსენებაც არსად არის, მეორე სართულზე კი აღარც ფანჯარაა, აღარც დარაბა - თოვლს ყველაფერი წაუღია. რადიოში დღედაღამ ამაზე ლაპარაკობდნენ, სულ ამაზე გაჰკიოდნენ. მოთხილამურეები, ეტყობა, შეშინდნენ - აღარავინ ჩამოდიოდა. მე კი... ესეც რომ არა, ისედაც არ ვაპირებდი, თხილამურები ჯერ კიდევ შარშანვე გავყიდე, თუმცა, ერთი-ორჯერ მაინც გავისრიალ-გამოვისრიალე...

რას იტყვი, ძალიან შევიცვალე?

- მასწავლებელი რომ მოკვდა, სად იყავი?

- შენ სხვებზე ნუ წუხხარ!.. ყოველ შემთხვევაში, თებერვალში, შენ რომ გელოდებოდი, აქ ვიყავი.

- საპორტო ქალაქში წასვლა რომ დააპირე, რატომ არ მომწერე?

- ვითომ რად უნდა მომეწერა? წერილი გამომეგზავნა და შიგ არაფერი ჩამეწერა? ისეთი წერილი, ცოლსაც რომ თავისუფლად აჩვენებდი?.. არა, ტყუილი არ შემიძლია, დასამალ-დასაფარი და მოსარიდებელი კი აღარაფერი მაქვს, - სხაპასხუპით ამბობდა კომაკო, სიტყვებს სახეში ახლიდა სიმამურას.

- სინათლე მაინც ჩაგექრო, ვერ ხედავ, რამდენი ქინქლა შემოვიდა.

მთვარე ისე ანათებდა, ქალს ყურის თითოეული ნაკეცი მოუჩანდა, მთვარის ვერცხლისფერ შუქში გახვეული ტატამი გაუფერულდა, თითქოს გაცივდა.

ქალს ნამიანი ბაგეები უღვიოდა:

- არა, არა, გამიშვი, შინ უნდა წავიდე!

- სულ არ შეცვლილხარ, ისევ ისეთი კომაკო ხარ, - სიმამურამ თავი გადასწია, მის თვალწინ აციმციმებულ ქალის ოდნავ ღაწვმაღალ სახეს შეაცქერდა.

- ჰო, ყველა ასე მეუბნება, ჩვიდმეტი წლისა რომ ჩამოხვედი, ისევ ისეთი ხარ, სულაც არ შეცვლილხარო. ან კი რას უნდა შევეცვალე, მე ხომ სულ ერთ ყაიდაზე ვცხოვრობ!

საოცრად ქორფა სახე ჰქონდა, ჯერ ისევ შემორჩენოდა ჩრდილოელი გოგონებისათვის ჩვეული ფეროვნება, კანი კიდევ უფრო განაზებოდა, გასალუქებოდა, სადაფის ნიჟარასავით უკრიალებდა.

- მე ახლა სხვა სახლში ვცხოვრობ.

- ალბათ მასწავლებლის გარდაცვალების შემდეგ?.. სამუდამოდ გამოეთხოვე იმ შენი «აბრეშუმის ჭიების» ოთახს?.. ახლა, ალბათ, საგანგებოდ გეიშასთვის აგებულ კოპწია სახლში დაბინავდი?

- არ ვიცი, შენ იმ «გეიშასთვის აგებულ კოპწია სახლში» რას გულისხმობ, მე კი კოპწია სახლში კი არა, იმ დუქანში ვცხოვრობ, სადაც ტკბილეულითა და თუთუნით ვაჭრობენ. გეიშებიდან ჩემს მეტი იქ არავინ ცხოვრობს.

მე ხომ ახლა უკვე ხელშეკრულებით ვმუშაობ... დავბრუნდები გვიან ღამით, ავანთებ სანთელს და წიგნს სანთლის შუქზე ვკითხულობ.

სიმამურამ გაიცინა, მხრებზე ხელი შემოხვია.

- სად შემიძლია ტყუილუბრალოდ ვხარჯო ელექტროენერგია, მათ ხომ მრიცხველი აქვთ ჩართული.

- აი თურმე რა ყოფილა!

- მაგრამ შესანიშნავი პატრონები მყვანან, ისე ზრუნავენ, ისე კარგად მექცევიან, ნუთუ ეს არის სამსახური-მეთქი, ხანდახან ამასაც კი ვფიქრობ... ბავშვმა ერთი რომ წამოიტიროს, არ შეაწუხოსო, დიასახლისი მაშინვე ხელს დაავლებს და გარეთ მიარბენინებს. ყველაფერი კარგად იქნებოდა, ლოგინს რომ არ მიშლიდნენ უხეიროდ. შინ გვიან რომ დავბრუნდები, ლოგინი უკვე გასწორებული მხვდება, ოღონდ, როგორც წესი, ლეიბი მუდამ უშნოდ არის დაგებული, ზეწარიც უშნოდ გადაფარებული. თავიდან დაგება კი მერიდება, რაც უნდა იყოს, ხალხმა ჩემი გულისთვის იწვალა, თავი შეიწუხა.

- აი, რომ გათხოვდები და დაოჯახდები, ძალიან გაგიჭირდება.

- ყველა ასე მეუბნება. რა ვუყოთ, ასეთი ხასიათი მაქვს.

იმ სახლში, სადაც ახლა ვცხოვრობ, ოთხი ბავშვია. რა თქმა უნდა, იქაურობა სულ აყრილ-დაყრილი და აქოთებულია, მე კი ერთთავად ალაგებაში ვარ, სულ იმ ბავშვებს დავდევ უკან... მივალაგ-მოვალაგებ, ცოტას მოვაწესრიგებ, მაგრამ გავიხედავ და - ისევ მიშლილ-მოშლილია. ვიცი, ტყუილად ვცდილობ, თავს ტყუილად ვიწუხებ, გული კი მაინც არ მანებებს. მინდა, ცოტა წესრიგიანად ვიცხოვრო, ფაქიზად, რამდენადაც ეს ჩემს მდგომარეობაში მყოფი ადამიანისთვის არის შესაძლებელი.

- რა თქმა უნდა.

- შენ თუ გესმის, ამითი რის თქმა მინდა?

- დიახ, მესმის.

- თუ გესმის, მაშინ თქვი კიდევაც! ჰო, ჰო, თქვი, თქვი-მეთქი! - ერთბაშად პირში ეცა კომაკო, ხმა აუკანკალდა, - არაფერიც არ გესმის. ტყუი, სულ ტყუი... ან საიდან უნდა ესმოდეს შენისთანა არხეინასა და უზრუნველს!..

შენ გაჭირვებისა რა უნდა გესმოდეს, გინახავს თუ რა?

მერე ხმას დაუწია.

- გულზე სევდა მაწევს, გული სულ მიტირის... ეჰ, მე ვარ სულელი... წადი, ხვალვე წადი.

- ჩემგან რა გინდა, რას მერჩი? აბა რა გითხრა, ასე უცებ რა აგიხსნა, განა ასე ადვილია?

- ვითომ ძნელი რაღად არის? მაგრამ საქმეც ის არის, რომ შენა ხარ უხასიათო.

ისევ ხმა აუკანკალდა კომაკოს - ალბათ, თავისი გამოუვალი მდგომარეობის გამო. მერე უცბად საქციელი შეიცვალა, თავი ისე დაიჭირა, ვითომ სჯერა, რა ვუყოთ, ამ კაცსაც ეს ამბავი ალბათ თავისებურად ესმისო.

- სხვა რა გზა მაქვს, დაე, წელიწადში ერთხელ იყოს, ოღონდ წელიწადში ერთხელ უსათუოდ ჩამოდი, ვიდრე აქა ვარ, მანამდე მაინც ჩამოდი! მე ხომ აქ ოთხი წელიღა უნდა ვიმუშაო, - თქვა კომაკომ, - მშობლებთან რომ მივდიოდი, წარმოდგენაც არა მქონდა, ისევ დავბრუნდებოდი, ისევ გეიშად დავიწყებდი მუშაობას... წასვლის წინ თხილამურებიც კი გავყიდე. შინ ყოფნისას პაპიროსიც მივატოვე. მე მგონი, ესეც დიდი რამ არის ჩემის მხრივ.

- უწინ ბევრს ეწეოდი.

- ჰო, მუშტრები მაგიდასთან პაპიროსს რომ მომაწვდიდნენ, ჩუმად ჩავიცურებდი სახელოში.

შინ რომ მივიდოდი, ზოგჯერ სიგარეტების მთელ გორას დავაყენებდი.

- ოთხი წელიო? მაინც კარგა დიდი დროა...

- რა ბევრიც ეგ არის, ხელდახელ გაირბენს.

- რა თბილი ხარ...- სიმამურამ მუხლებზე დაისვა კომაკო.

- რას იზამ, ასეთი თბილი დავიბადე.

- დილა-საღამოს აქ ალბათ სიცივეა?

- აგერ უკვე ხუთი წელიწადია აქა ვარ. ნუთუ სულ ამ გამოყრუებულ სოფელში უნდა ვიცხოვრო-მეთქი... თავდაპირველად ვწუხდი, ვნაღვლობდი, მართლაც რომ აუტანელი მოწყენილობა იყო; მერე რკინიგზა გაიყვანეს... აი, ეს სამი წელიწადია კი შენა ხარ...

მაგრამ ამ სამ წელიწადში მხოლოდ სამად-სამჯერ ჩამოვიდა სიმამურა. ყოველ ჩემს ჩამოსვლაზე ამ ქალის ცხოვრებაში რაღაც იცვლება, სულ რაღაც სიახლე მხვდებაო, - გაიფიქრა.

ერთბაშად კუტკალიები აჭრიჭინდნენ.

- აუტანელია, - თქვა კომაკომ და სიმამურას მუხლებიდან წამოდგა.

ანაზდად ჩრდილოეთის ქარმა დაბერა, ბადურას შეფენილი მწერი აიტაცა.

განა არ იცოდა სიმამურამ, ქალი შავ წამწამს რომ დახრიდა, ოდნავ ჩაჭუტულივით შავად ჩაუპრიალდებოდა თვალები, მაინც თავი თავთან მიუტანა, სახეში ჩააშტერდა.

- რაც პაპიროსს თავი დავანებე, გავსუქდი.

მართლაც, მუცელი გადასწორებოდა, ჩაფაფუკებოდა.

და აი, თითქოს ის ხანგრძლივი განშორება არცა ყოფილიყოს, მივიწყებულმა გრძნობამ ისევ გაიღვიძა, ისევ გაიღვიძა ლტოლვამ, სიახლოვის სურვილმა.

კომაკო საკუთარ მკერდს შეეხო.

- აი, ცალი უფრო გაიზარდა.

- სისულელეა, თუმცა რა ვიცი... როცა მხოლოდ...

- ტყუილია, გესმის, ტყუილია...

ცუდი კაცი ხარ... - კომაკო თვალსა და ხელს შუა შეიცვალა და სიმამურამ ახლაც უმალ შეიგრძნო ქალის ეს ცვალებადობა.

- შენც უთხარი ორივეს... მუდამ ასე უთხარი...

- ორივეს-მეთქი, არა?.. - კომაკომ სახე სახესთან მიუტანა, მიესათუთა.

ეზოში ბაყაყების ყიყინი გაისმა, რატომღაც ერთბაშად აყიყინდნენ და დიდხანს, დიდხანს აღარ შეწყვეტილა მათი შეწყობილი სიმღერა.

ბანაობიდან რომ დაბრუნდნენ, კომაკო უკვე დამშვიდებული იყო, ვითომ არც არაფერი მომხდარიყოს, ისევ თავისი ამბავი განაგრძო.

ისიც კი თქვა, პირველი საექიმო შემოწმების დროს ყველანი როგორ აცინა: «წელზევით გავიხადე, მეგონა, ძველებურად გამსინჯავდნენ...»

- ჩვეულებრივო...

- შეკითხვაზე ასე უპასუხა სიმამურას.

- ალბათ, მიპატიჟებაში ხელს არ გიშლის...

- როგორ მიხვდი?

კომაკო, რომელიც ყოველდღე ნებივრობდა სამკურნალო თვისებებით განთქმულ ცხელ წყლებში, ფეხით დადიოდა ძველი აბანოდან ახალ აბანომდე, რისთვისაც დაახლოებით ერთი რი მაინც უნდა გაევლო. ცხოვრობდა ამ მიყრუებულ მთაში, სადაც შუაღამემდე ჯდომით თავს არავინ იღლიდა. მკვრივი და ჯანსაღი, მაგრამ გეიშასთვის დამახასიათებელი თეძოვიწრო აღნაგობა ჰქონდა.

ძვალწვრილი, თუმცა კი სავსე, საკმაოდ ხორციანი ქალი იყო. იგი ისე ხიბლავდა, ისე იზიდავდა სიმამურას, იმ გრძელი გზის მიუხედავად, წელიწადს არ გამოტოვებდა, სანახავად არ ჩამოსულიყო. რატომღაც მთელი სულითა და გულით ეცოდებოდა ეს ქალი.

როდესაც მისი პირველი მეურვე გარდაიცვალა, - ის კაცი, რომელმაც იგი შეგირდობიდან გამოისყიდა, - კომაკო ტოკიოდან მშობლიურ ქალაქს დაუბრუნდა. საპორტო ქალაქში ჩამოვიდა თუ არა, მაშინვე ახალი მეურვე შესთავაზეს. იქნებ მის მიერ გადატანილი იმ მრავალი განცდის გამო, თავდაპირველად ის კაცი ქალის გულსა და სულს არ გაეკარა... არც ახლა ეხატა მაინცდამაინც გულზე, ყოველ შემთხვევაში, მის გვერდით თავს მუდამ უცხოდ და უხერხულად გრძნობდა.

- კარგია, ეს ხუთი წელიწადია თუ ერთადა ხართ.

- მე ხომ ორჯერ უკვე შემეძლო დავშორებოდი: პირველად გეიშად რომ დავიწყე მუშაობა, მეორედ კი მასწავლებლის სახლიდან ჩემს ახლანდელ ბინაში რომ გადმოვედი. მაგრამ სუსტი ხასიათი მაქვს, ნებისყოფის ნატამალიც არ გამაჩნია.

მასწავლებელი საპორტო ქალაქიდან ცხელ წყლებზე რომ გადმოვიდა, იმ კაცმა ჩემი თავი იმას ჩააბარა.

რაც უნდა იყოს, ეუხერხულებოდა იმავე ქალაქში ქალის ყოლა. კეთილი ადამიანია, მართალი რომ გითხრა, მეცოდებოდა კიდევაც - ერთხელაც არ გავიკარე... უკვე ხანში შესული კაცია. იშვიათად თუ ჩამოვა. კავშირს კი გავწყვეტდი, მაგრამ არ ვიცი, როგორ... ხანდახან იმასაც ვფიქრობ, ყველაფერს მივაფურთხებ, სულ თავს ავიშვებ-მეთქი.

- არა, არ შეიძლება!

- ჰოდა, არც შემიძლია, ძალიანაც რომ მინდოდეს, არ შემიძლია. თავზე ხელს თუ ავიღებ, თუ ყველასთან განურჩევლად დავიწყებ დროსტარებას, იმ ჩემს ოთხ წელიწადს ორ წელიწადში გამოვიმუშავებ...

ცხადია, ამ გზას თუ დავადგები, ფულსაც ბლომად ვიშოვი, მაგრამ ჩემს თავს, ჩემს ჯანმრთელობას ვუფრთხილდები. მთავარია, მეურვე არ ვაზარალო. თანხა, რომლითაც მე მიქირავეს, თვეებზეა განაწილებული. მაშასადამე, ძირითადი თანხის პროცენტი, ბეგარა და ის ფული უნდა გავითვალისწინო, რაც საჭმელში მეხარჯება - ეს არის და ეს, მე მეტი არც მჭირდება. სადმე თუ არ მომეწონა, ერთ წუთსაც არ გავჩერდები. გვიან ღამით სასტუმროში არასოდეს მეძახიან, ვინმე ნაცნობი მუშტარი თუ მოვა და პირადად თუ მთხოვს... ასეთი ყაირათიანი რომ არ ვიყო, არც ფული მეყოფოდა და გარჯაც იმაზე მეტი მომიწევდა, ვიდრე ამისი თავი და სურვილი მაქვს.

იმ ფულის ნახევარი თითქმის უკვე დავფარე კიდევაც, თუმცა ჯერ წელიწადიც არ გასულა. ამ ხელმომჭირნეობის მიუხედავად, თვეში ოცდაათი იენი მაინც მეხარჯება. არ იცი, რამდენი წვრილმანი სჭირდება ადამიანს?

ბოლოს ეს თქვა: თვეში ასი იენი რომ გამოვიმუშაო, საკმარისიაო; თქვა, რომ გასულ თვეს თითოეულ გეიშას, სულ ცოტა, სამოცი იენი მაინც მოუწია, რომ მას, კომაკოს, ყველაზე ხშირად ეპატიჟებიან მუშტრები.

საშუალოდ ოთხმოცდაათი მიპატიჟება მაინც მიწევს, ჩემი გამომუშავებაც ძირითადად ამ მიპატიჟებებზეა. მართალია, პატრონისთვის ეს მაინცდამაინც ხელსაყრელი არ არის, ზოგჯერ ერთ საღამოს რამდენიმე სუფრის შემოვლაც კი მიხდება, მაგრამ მთელ ამ ცხელ წყლებზე ერთი გეიშაც არ მეგულება, პატრონის ვალი დასდებოდეს და სამსახურის ყავლი გაეგრძელებინოსო.

მეორე დილას კომაკო ჩვეულებისამებრ ადრიანად წამოდგა:

- მესიზმრა, მე და იკებანას მასწავლებელი ამ ნომერში ვიყავით, ვალაგებდით.

მერე სამკარიანი სარკე ფანჯარასთან მიაჩოჩა - სარკე ძოწისფრად გადაჭრელებულმა მთებმა ჩაამეწამულა. შემოდგომის მზეს სარკეშიაც ხასხასი გაჰქონდა... მალე ტკბილეულით მოვაჭრე ჯიხურის გამყიდველი გოგო მოვიდა, კომაკოს გამოსაცვლელი ტანისამოსი მოუტანა.

არა, ეს იოკო არ იყო... ყურებში კი მაინც მისი მომაჯადოებელი ხმა ჩაესმა სიმამურას, გაახსენდა, ფუსუმას იქით როგორ აწკრიალდა ის ხმა.

- იოკო როგორღაა?

კომაკომ წამიერი მზერა ესროლა სიმამურას.

- დღედაღამ სასაფლაოზეა.

აგერ, სათხილამურო სადგურს ქვემოთ, წიწიბურას მინდორთან, თეთრად გადაპენტილ ყვავილებს ხომ ხედავ? სასაფლაოა, აი, იქით, მარცხნივ...

ქალი რომ წავიდა, გავალ, გავისეირნებო, - სიმსამურამ სოფლისკენ გასწია.

თეთრი კედლის ფონზე რაღაცა წითლად ღაღანებდა - ახალთახალ პორფირისფერ ფლანელის ჰაკამაში გამოწყობილი გოგონა ბურთს თამაშობდა.

მთაში უკვე შემოდგომა იდგა.

ძველებურ ყაიდაზე აგებული პატარა სახლები, ასე გგონია, მას მერე აქა დგანან, ამ გზაშარაზე ჯერ ისევ ფეოდალები რომ დადიოდნენ, უკან ხალხმრავალი ამალა რომ დაჰყვებოდათ - იდგნენ ფანჯრებსიოძიანი, წინ სახურავებგადმოშვებული, ჯუჯა, განივრად გაბორჯილი სახლები.

სიმამურა ალიზის გალავანს გაუსწორდა. გალავანს ზევიდან ჩალაყვავილა მოსდებოდა. შლეგიანივით ყვაოდა თუთისფერი ყვავილი, შადრევანივით იღვრებოდა ბუჩქ-ბუჩქად წამოსული მცენარის წვრილი, წმინდად წაშხეფილი ფოთოლი.

გზის პირას ჩაფენილ ნეჭაზე ახალგაზრდა ქალი ჩაცუცქულიყო და ლობიოს ჩურჩავდა - ეს ახალგაზრდა ქალი იოკო იყო.

ლობიოს ხმელი, გაფიცხებული პარკებიდან ნაპერწკალივით ცვიოდა წვრილი, წკრიალა მარცვალი.

ნეჭაზე ჩაცუცქული იოკო მუხლებგაფარჩხული იჯდა, თავზე პირსახოცი წაეკრა, ლობიოს ჩურჩავდა და ანკარა, მომხიბვლელი ხმით მღეროდა:

მთებში პეპლები დაშრიალებენ,

დაჭრიჭინობენ ჭრიჭინობლები...

ცას მოსდებია

ნემსიყლაპია,

ფრთამარმარა და ფრთაგამჭვირვალი...

ლექსები ყვავებზედაც ხომ არის - აფრინდება ანაზდად ყვავი კრიპტომერიის ტოტიდან და ღამეულ გრიგალს შეერევა... სიმამურა კი იდგა ახლა ფანჯარასთან, კრიპტომერიის ტყეს გაჰყურებდა და ხედავდა - ისე როგორც გუშინ, ჰაერში ნემსიყლაპიების ქარავანი აშლილიყო. მოფრინავდნენ და მოფრინავდნენ ნემსიყლაპიები, ჩქარობდნენ, ალბათ კარს მომდგარი მწუხრის მოახლოებას თუ შეიგრძნობდნენ.

ტოკიოდან რომ მოდიოდა, ვაგზლის ფარდულში ამ კუთხის გზამკვლევი იყიდა: პროვინციის საზღვარზე, ერთ-ერთი მწვერვალის ჩასწვრივ (ფანჯრიდან ახლა სწორედ იმ მწვერვალს გაჰყურებდა სიმამურა) ბილიკია, იგი მთებში ლურჯად მოკამკამე ტბას ჩაჰხვევია.

მაღალი მთის რა მცენარე არ ხარობს ტბის ნაპირებზე, მის ნოტიო და ნოყიერ მიწაზე ჭალასავით იზრდება ნაირ-ნაირი ბალახი და ყვავილი.

ეს დიდებული სავანე წითელი ნემსიყლაპიებით არის სავსე; მწერები არამცთუ ერიდებიან, ლამის სათვალეზედაც კი ასხდებიან ტურისტებს. ესენი დიდად განსხვავდებიან თავიანთი საბრალო ქალაქელი დაიკოებისგანო, - ეწერა გზამკვლევში.

სიმამურამ ნემსიყლაპიებს თვალი ვეღარ მოაშორა. ზოგი ისე გადარეული მოფრინავდა, თითქოს ვიღაც მოსდევდა. ან იქნებ ასე იმიტომაც მოიჩქაროდნენ, ეშინოდათ, მათი ლანდი მიმწუხრის ბინდდაკრული კრიპტომერიის ტყის ფონზე არ წაშლილიყო?..

ჩამავალმა მზის სხივებმა შორეული მთები რომ მოაზარნიშა, მხოლოდ მაშინღა შეამჩნია სიმამურამ - ზევითა და ზევით როგორ თანდათანობით მეწამულდებოდნენ მთის კალთები.

«ეტყობა, ადამიანი საოცრად მყიფე ქმნილებაა. ამბობენ, ვიღაცა კლდეზე გადმოჩეხილა, ძვალიც აღარ შერჩენიაო... აი, დათვი კი უშველებელი ქარაფიდან თავდაყირაც რომ წამოვიდეს, ალბათ ერთი ბეწვიც არ გასძვრება»...

გაახსენდა, ამ სიტყვებს სწორედ დღეს დილას ეუბნებოდა კომაკო. ის მთაც დაანახვა, სადაც, ვინ იცის, ეს უკვე მერამდენედ ხდებოდა უბედური შემთხვევა.

«ადამიანსაც ისეთი სქელი ტყავი რომ ჰქონოდა, როგორიც დათვსა აქვს, ალბათ არც ასეთი მგრძნობიარე იქნებოდა...

მაგრამ ადამიანს ეამაყება, თავს იწონებს თავისი ნაზი კანით...»

ამ განსჯაში იყო სიმამურა, თან ჩამავალი მზის სხივებით მოზამბახებულ მთებს გასცქეროდა, რომ ანაზდად ქალის სხეულის სითბო მოენანდაურა.

«...ნემსიყლაპია, პეპელა, პეპელა და კუტკალია...» - მღეროდა სადღაც გეიშა და ხმას აშლილ სიამისენს აყოლებდა.

სამხრობის ჟამი იდგა.

გზამკვლევში მოკლედ იყო აღწერილი, სად უნდა წასულიყო, რომელ დღეს რა უნდა ენახა სტუმრად ჩამოსულ კაცს, რომელ სასტუმროში გაჩერებულიყო და ღამე სად გაეთენებინა. ეს ყოველივე ოცნებას აცხოველებდა, კაცს ფიქრის გუნებაზე აყენებდა და სიმამურას კომაკოს გაცნობის დღე გაახსენდა - ხანგრძლივი ხეტიალის შემდეგ იმ დღეს მთიდან სოფელში ჩამოვიდა. მთაში ჯერ ისევ თოვლი იდო, თუმცა ლილოჭრელოზე აქა-იქ მწვანე ბალახი ამოწვერილიყო და ის მთები, რომელთაც ჯერ ისევ მისი ნაფეხურები ეტყობოდა, კვლავ თავისკენ უხმობდნენ სიმამურას.

მართალია, უსაქმურობას მიჩვეულს მთაში უმიზნო ხეტიალი «ამაო გარჯად» მიაჩნდა, მაგრამ ეს «ამაო გარჯა» ასე ალბათ იმიტომაც იზიდავდა, არავითარი ნაღდი ღირებულება რომ არ ჰქონდა.

სიმამურა ვერ გარკვეულიყო, კომაკოს გვერდით ყოფნა ამშვიდებდა თუ აღელვებდა მისი სხეული, რომელიც სიმამურასათვის დღითიდღე სულ უფრო ახლობელი ხდებოდა. ასე იყო თუ ისე, როგორც კი იგი თვალს მიეფარებოდა, გონებაში მხოლოდ ამ ქალზე ფიქრი უტრიალებდა, ანაზდად მისი სიახლოვე მოენატრებოდა, მაგრამ გული თან მთისაკენ მიუწევდა. ეს ორი სურვილი გაუცნობიერებელი სიზმარივით წამოერეოდა მის გულსა და გონებას... წუხელ მთელი ღამე მის გვერდით ეძინა კომაკოს, უკვე კარგად გათენებული იყო, რომ წავიდა. იქნებ ამიტომაცაა ახლა ეს სევდა ასეთი ზერელე? მაგრამ ახლა მარტოა სიმამურა, ზის ეულივით ამ სამარისებურ

სიჩუმეში და მოუთმენლად ელის, კომაკო როდის მოვა, თავისით, მისი დაძახების გარეშე.

დრო რომ გაეყვანა, ჯერ ისევ დღის სინათლით ჩაწვა ლოგინში. სოფლის შემოგარენს კიდევ კარგა ხანს ახმაურებდა ტურისტი გიმნაზიელი გოგონების ზარივით წკრიალა ხმები.

გარეთ ჟინჟღლავდა.

მეორე დილას თვალი რომ გაახილა, კომაკო მაგიდასთან იჯდა და წიგნს ჩასჩერებოდა. ტანზე საშინაო ჰაორი* და კიმონო ეცვა.

კომაკომ სიმამურას გამოხედა და წყნარად წარმოთქვა:

- გაიღვიძე?

- რა იყო?

- გაიღვიძე-მეთქი?

სიმამურა შეეჭვდა: «ჩანს, კომაკო წუხელი მთელი ღამე აქ ყოფილა!» მერე ლოგინს გადახედა და სასთუმალთან დადებულ საათს მისწვდა - ჯერ მხოლოდ შვიდის ნახევარი ხდებოდა.

- ადრეა...

- ჰო, მაგრამ ხიბატის ასანთებად მოახლემ ნაღვერდალი რომ შემოიტანა...

თუჯის ჩაიდნიდან ორთქლი ამოდიოდა.

- ადექი, - უთხრა კომაკომ და წამოდგა, სიმამურას სასთუმალთან დაუჯდა.

თავი ნამდვილი ოჯახის დიასახლისივით ეჭირა... სიმამურა განცხრომით გაიჭიმა, მუხლებზე დადებულ კომაკოს ხელს წაეტანა, მიზრაფისაგან დაკორძებულ თითებზე გაეთამაშა:

- მეძინება, ჯერ ხომ ხეირიანადაც არ გათენებულა.

- კარგად გეძინა უჩემოდ?

- მაშა...

- ულვაში რატომ არ მოუშვი?

- ჰო, აკი გამომშვიდობებისას მითხარი, ულვაში მოუშვიო.

- შენ კი დაგავიწყდა! რას იზამ, არა უშავს, სამაგიეროდ მუდამ ისე ხარ გაპარსული, სახე სულ ლურჯად გისივსივებს.

- პუდრს რომ გადაიცილებ, კანი შენც ასე ახალგაპარსულივით გიკრიალებს.

- არ ვიცი, გასუქდი და ლოყები დაგიმრგვალდა თუ... ძილში ისეთი თეთრი და ფუნჩულა ხარ, მინდა ულვაში მოგაწებო.

- ნუთუ ჩემი სუფთა სახე არა გსიამოვნებს?

- ჰო, - თავი დაუქნია კომაკომ და ერთბაშად ხმამაღლა აკისკისდა. სიმამურას ხელებში მოქცეული ხელი თავისდა უნებურად შეეკუმშა, - განჯინაში დავიმალე, მოახლემ ვერც კი დამინახა.

- მერედა დიდხანს იჯექი იმ შენს განჯინაში?

- არა, ვიდრე ნაღვერდალს შემოიტანდა.

კომაკო ვერ იქნა და ვეღარ დაწყნარდა, სულ კისკისებდა და კისკისებდა, ალბათ ის თავისი ოინი თუ ახსენდებოდა.

მერე უცბად ყურის ბიბილოებიც კი გაუწითლდა და უხერხულობა რომ დაეფარა, საბანს სწვდა, მოქაჩა.

- ადექი!

- მცივა, - სიმამურა საბანს ჩაეჭიდა, - სასტუმროში ხალხი უკვე ადგა?

- არ ვიცი, მე უკანა ეზოდან ჩამოვედი.

- უკანა ეზოდან?

- ჰო, პირდაპირ კრიპტომერიის ტყიდან ჩამოვფორთხდი.

- იქ რომ გზა არ არის?

- სამაგიეროდ ახლოა.

სიმამურამ ქალს გაოცებულმა შეხედა.

- სასტუმროში არავინ იცის, აქ თუ ვარ, აი, სამზარეულოში თუ გაიგებდა ვინმე... მთავარი შემოსასვლელი ჯერ ალბათ დაკეტილია.

- ნუთუ სულ ასე ადრე დგები?

- წუხელ ვერა და ვეღარ დავიძინე.

- წუხელ წვიმდა.

- ჰო? ლერწმის ფოთოლი სველი იყო... კარგი, მე წავალ, შენ იწექი...

- არა, არ წახვიდე, აი უკვე ვდგები!..

სიმამურას კომაკოს ხელი ხელიდან არ გაუშვია, ლოგინიდან წამოხტა, მაშინვე ფანჯარასთან მივიდა და კრიპტომერიის ტყის მხარეს გაიხედა. კრიპტომერიის ტყიდან შუა ფერდობამდე გორაკი გაბმული ბუჩქნარით იყო დაფარული, ქვემოთ, ფანჯრის ჩასწვრივ, ჩვეულებრივი ბოსტნეული ეთესა - თალგამი, ბატატი, ხახვი... ახალამონათებული მზის სხივებით გადამთოვრებული ნათესი იმდენნაირ სიმწვანედ ირჩეოდა, სიმამურა გაოცდა - აქამდე ეს არასოდეს შეემჩნია.

აბანოსაკენ მიმავალ ტალანში სასტუმროს მსახური იდგა და გუბურაში წითელ ჭანარს აპურებდა.

- ცუდად ჭამენ, სიცივის ბრალი თუა, - გამოელაპარაკა მსახური სიმამურას და ერთხანს კიდევ შეიცადა, წყლის ზედაპირზე მოტივტივებულ თევზის საკვებს - გამხმარსა და დაფქულ ჭიაყელას დააცქერდა.

როდესაც ნაბანავები სიმამურა ნომერში მობრუნდა, ოთახში კომაკო დაუხვდა, იჯდა წელში ამაყად გამართული, ქალური ღირსებით აღსავსე.

- ისეთი სიმყუდროვეა, უნდა იჯდე და საკერავი გეჭიროს.

ოთახი ახალი მილაგებული იყო.

შემოდგომის მზეს გაეჯერებინა ხმარებისაგან ოდნავ გადაქექილი ტატამი.

- კერვა თუ იცი?

- როგორ არ გრცხვენია, ამას როგორ მეკითხები! ჩემს და-ძმებს შორის მე ხომ ყველაზე მეტი ჯაფა მიწევდა ოჯახში. ახალშეღერებული გოგო რომ ვიყავი, ჩვენს ოჯახს სწორედ მაშინ ჰქონდა ყველაზე დიდი გაჭირვება, - თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა კომაკომ.

მერე ერთბაშად გამოცოცხლდა, - რომ იცოდე, რა სახე ჰქონდა მოახლეს, ვერ წარმოიდგენ, როგორ გაოცდა - კი მაგრამ, როდის მოხვედიო?! ენა ისე ჩამივარდა, არ ვიცოდი, რა მეთქვა... ან რა უნდა მექნა, ისევ განჯინაში ხომ ვერ შევძვრებოდი?.. წუხელ მთელი ღამე ვერ დავიძინე, ვიფიქრე, ცოტა ადრე ავდგები, თავს დავიბან, თმა როგორც კი გამიშრება, წავალ, დავავარცხნინებ-მეთქი, მე ხომ დღეს შუადღისას ნადიმზე ვარ მიპატიჟებული. ამ საღამოს სასტუმროშიც ნადიმია, აქაც დამპატიჟეს, მე კი უკვე იმ ნადიმზე ვიყავი შეპირებული. დღეს შაბათია, დილიდან საღამომდე არ მეცლება, როგორც ჩანს, შენთან მოსასვლელადაც ვერ მოვიცლი.

მაგრამ წამსვლელს არაფერი უგავდა კომაკოს.

ბოლოს გადაწყვიტა, თავს სულაც არ დავიბანო, მოჰკიდა სიმამურას ხელი და უკანა ეზოში ჩაიყვანა. ტალანთან (ამ დილას იგი სწორედ ამ ტალანით შემოიპარა სასტუმროში) სველი გეტები ეწყო.

გეტებზე სველი ტაბი* იდო.

კომაკო ძლივს ჩამოფოფხებულა, ამ ჯაგნარში მე რა გამატარებსო, - და სიმამურა ქვემოთ, ბოსტნებისაკენ დაუყვა. ქვემოდან მდინარის შხუილი ისმოდა, ამ ადგილას ნაპირი ჩახრამული იყო. წაბლის ხშირ კენწეროზე ბავშვები ხმაურობდნენ. ხის ქვეშ მობნეულ ლენჯოიან წაბლს კომაკო ფეხს ადგამდა. ბალახებში გაკროლილ, ჯერ შემოუსვლელ ნაყოფს კრიალი გაჰქონდა.

მდინარის გაღმა, მთის ფერდობზე, ჭალასავით წამოსულიყო მისკანტი. ნიავი ჩუმი შფოთივით მოსდებოდა, ნელა ირწეოდა ვერცხლისფრად მოლაპლაპე ლელიანი. ეფემერული იყო მისი ეს თვალისმომჭრელი ელვარება, ეს ჰაერში მოლივლივე სიცარიელისდარი ღაღანი.

- წამოდი, იქით წავიდეთ, აი იქით...

იქ მგონი შენი დანიშნულის საფლავია?

კომაკო წელში გაიმართა, სიმამურას თვალებში ჯიქურ შეხედა და უცბად მთელი მუჭა წაბლი შიგ სახეში შეაყარა.

- შენ რა, დამცინი?

სიმამურამ თავის მორიდება ვერ მოასწრო, კენჭივით მაგარმა ნაყოფმა სახის კანი ასწვა.

- ვითომ შენ იმის საფლავზე რა გინდა?

- რა იყო, ასე რად გაბრაზდი?

- ის ჩემთვის შემთხვევითი ამბავი არ ყოფილა. ყველა შენსავით უდარდელი და გულარხეინი ხომ არ არის!

- მერედა ვინ გითხრა, გრძნობებშიაც გულარხეინი ვარო? - ძლივს ჩაილაპარაკა სიმამურამ.

- მაშ, დანიშნულიაო, რატომ ამბობ?! განა ერთხელ და ორჯერ მითქვამს, ის ჩემი დანიშნული არასოდეს ყოფილა! ალბათ დაგავიწყდა.

არა, სიმამურას არაფერი დავიწყებია.

კომაკოს სიტყვები ამ წუთშიაც ყურებში ედგა:

«კარგი, მაშინ გარკვევით გეტყვი, იყო დღეები, როდესაც მასწავლებელი ოცნებობდა, მის ვაჟიშვილს გავყოლოდი, თუმცა კი ამაზე სიტყვაც არასოდეს უთქვამს, მე და მისი ვაჟიშვილი, უბრალოდ, ვხვდებოდით მის ამ სურვილს, ეგ არის და ეგ, სხვა ჩვენ შორის არაფერი ყოფილა...»

ხოლო, როცა იმ კაცის სიცოცხლე აღსასრულს უახლოვდებოდა, იმ ღამით კომაკოს სიმამურასთან ეძინა.

ჩემი ნებაა, როგორ მოვიქცევი, მომაკვდავი ვერაფერს დამიშლისო, - თქვა მაშინ კომაკომ.

ახსოვს, როგორ არ ახსოვს! იმ წუთებში, როდესაც იუკიო სიცოცხლეს ესალმებოდა, კომაკო სადგურში იყო, სიმამურას აცილებდა. მერე იოკომაც მოირბინა, უკანასკნელ დღეშიაო, უთხრა, მაგრამ კომაკო არც მაშინ წავიდა და როგორც ჩანს, არც სიკვდილის წინ გამომშვიდობებია.

იგი ჯიუტად გაურბოდა იუკიოზე საუბარს. დავუშვათ, დანიშნული არც იყო, მაგრამ, როგორც ამბობენ, თუ მხოლოდ იმიტომ წავიდა გეიშად, მისი სამკურნალო ფული უნდოდა ეშოვა, მაშასადამე, მათ შორის რაღაც სერიოზული იყო.

კომაკო ერთხანს გაოგნებული იდგა, უკვირდა, სიმამურა რატომ არ ბრაზდებოდა, მერე გულაჩუყებული კისერზე ჩამოეკიდა:

- ო, რა გულითადი, რა წესიერი კაცი ხარ!..

- ზევიდან ბავშვები გვიცქერიან.

- მე შენი ვერაფერი გამიგია... დიდი გამოუცნობი ხალხი ხართ ეს ტოკიოელები! კაცი ვერაფერს გაგიგებთ... თქვენ ირგვლივ ერთთავად ფუსფუსი და ორომტრიალია, ალბათ ამიტომაც ხართ ასე დაბნეულ-დაცეცებულები.

- ჰო, რაღაც დაბნეული ვარ...

- ფრთხილად, მთელი ცხოვრება არ დაგებნას! რა ვქნათ, წავიდეთ საფლავის სანახავად?

- რა ვიცი.

- აი, ხომ ხედავ!.. იმ საფლავის ნახვის სურვილი, ვიცი, არც გქონია.

- შენც ხომ ყოყმანობ.

- რა ვუყოთ, მე ხომ იქ ფეხი არასოდეს დამიდგამს, ჰო, ჰო, ფეხი არ დამიდგამს...

იმ ჩემი მასწავლებლისა მერიდება, ისინი ხომ ახლა გვერდიგვერდ წვანან. განა ეს ნამდვილი ფარისევლობა არ იქნება?

- რთული ბუნების ქალი ხარ, მე კი არა, შენა ხარ ამოუცნობელი.

- რატომ? ცოცხლებს თუ ვერა გავაგებინე რა, მკვდრები მაინც გავარკვიო.

კრიპტომერიის ტყეში უსიერ მდუმარებად გარინდულიყვნენ ხეები, თითქოს ეს-ესაა ყინულის წვეთებად ჩამოიკრიფებოდა სიჩუმე. კომაკო და სიმამურა ტყეს ჩასცდნენ, სათხილამურო ფერდობის ძირას გავიდნენ, რკინიგზის ლიანდაგებს გაუყვნენ; მდინარის შუა წამოზრდილი ბორცვის განაპირას, სასაფლაოზე, ორიოდე საფლავის ქვა გამოჩნდა. იქვე ბავშვებისა და ყარიბთა მფარველის - ბოდისატვას ქანდაკებაა აღმართული. გარემო უკაცრიელია, შიშველ მიწაზე ერთი პაწაწინა ყვავილის ჭაჭანებაც არსად არის.

უცებ ბოდისატვას ქანდაკების უკან, ხეების ჩრდილში, იოკომ გაიელვა. როგორც ყოველთვის, საოცრად დინჯი, დაფიქრებული სახე აქვს, ნიღაბივით უმოძრაო, გახევებული ნაკვთები... მცხუნვარე თვალებიდან ნაპერწკლები სცვივა, დგას და მისი გამგმირავი მზერა ისარივით ცხრილავთ.

სიმამურამ თავი უხერხულად დაუკრა, ერთ ადგილას გაშეშდა.

- ასე ადრე აქ რამ მოგიყვანა იოკო-სან?! მე აგერ, პარიკმახერთან...

და ისიცა და სიმამურაც ანაზდად ისე მოიბუზნენ, თითქოს ზარითა და ზათქით მოვარდნილი შავი გრიგალი დასცხრომოდათ.

სატვირთო მატარებელმა სულ ახლოს, მათ გვერდით ჩაიგრიალა.

და აი, ბორბლების რახრახში ყურთასმენას ხმამაღალი ძახილი მისწვდა: «დაო!.. დაიკო!..» შავად გამურული სატვირთო ვაგონის კარში ყმაწვილი კაცი იდგა და ქუდს იქნევდა.

- საიტირო!.. - იკივლა იოკომაც.

ეს ის ხმა იყო... ის გულისმომწყვლელი ხმა, ნაცნობ უფროსს რომ ეძახდა, იქ, თოვლით გადათეთრებულ სადგურში. ასე გგონია, იმ ადამიანს უხმობს და ეძახის, ვინც მის ძახილს ვერასოდეს შეისმენს, ყურად ვერასოდეს იღებს.

მატარებელმა რომ ჩაიარა, თითქოს ლიბრი გადაეცალაო, მათ თვალწინ წიწიბურას გადაყვითლებული მინდორი გადაიხსნა.

გზის გაღმა წითელღეროიანი ყვავილნარი ბიბინებდა - ყვაოდა უზღვავი, უთვალავი ყვავილი.

ისე უგონებელი იყო იოკოსთან შეხვედრა, მატარებლის მოახლოება ვერ გაიგეს, მაგრამ მატარებელმა თითქოს თან წაიღო ის რაღაც, რასაც ეს-ეს არის ამ სამს შორის უნდა ეფეთქა.

და ახლა იმ შორეული ბორბლების კაკუნი კი არა, თითქოს იოკოს ხმის გამოძახილი არ წყდებოდა, უწმინდესი სიყვარულის ექოდ უბრუნდებოდათ ისევ და ისევ.

იოკომ მატარებელს თვალი გააყოლა.

- ჩემი უფროსი ძმა იყო... ნეტავი სადგურზე ხომ არ წავსულიყავი.

- მატარებელი შენ ხომ არ დაგიცდის სადგურზე.

- ჰო, რა თქმა უნდა...

- ხომ იცი, იუკიო-სანის საფლავზე არ დავდივარ.

იოკომ თავი დაუქნია, ერთხანს შეყოყმანდა, მერე საფლავის წინ ჩაიმუხლა და ხელისგულები შეატყუპა.

კომაკო ისევ გაუნძრევლად იდგა.

სიმამურამ თვალი აარიდა, მზერა ბოდისატვაზე გადაიტანა - სამსახოვანი იყო ბოდისატვა, სამი სახე ჰქონდა, სამი გრძელი, დაწლოპილი სახე, მკერდთან სალოცავად შეტყუპებული ხელისგულები სასოებით აღეპყრო.

ამ ერთი წყვილი ხელის გარდა მარცხნივ და მარჯვნივ კიდევ თითო წყვილი ხელიც ჰქონდა.

- წავალ, თმას დავავარცხნინებ... - თქვა კომაკომ და მიჯნა-მიჯნა სოფლისაკენ მიმავალ ბილიკს გაუყვა.

ბილიკის ორსავ მხარეს გლეხები ბრინჯის ძნებს ჰკრავდნენ და ხეებზე გადებულ ხარიხებზე ჰკიდებდნენ.

მთიულურჰაკამიანი გოგო წაიხრებოდა, ძნას მაღლა ააგდებდა, ხეზე გასული კაცი ხელში აიტაცებდა, აჩეჩ-დაჩეჩავდა და გასაშრობად ხარიხაზე გადებდა - მარჯვედ, მანქანასავით აწყობილად მოძრაობდნენ შრომაში გაწაფული ხელები.

ხარიხაზე ჩამოკიდებულ თავთავს კომაკომ ხელი შეავლო, თითქოს რაიმე ძვირფას ნივთს სწონისო, ხელისგულზე შეათამაშა.

- კარგი მოსავალია! ამ თავთავს ხელი უბრალოდაც რომ შეახო, გულს ნეტარებით აგივსებს.

თვალები ჩაუვიწროვდა, ოდნავ, სულ ოდნავ, ჩანს, მართლაც დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა ამ მძიმე თავთავების შეხება. თავს ზევით ბეღურების გუნდმა გადაუფრინა - ჯგროდ, დაბლა-დაბლა მიფრინავდნენ ბეღურები.

კედელზე განცხადება იყო გაკრული: «ხელშეკრულება ბრინჯის რგვაზე მომუშავეებისთვის. გარდა კვებისა, დღიური გასამრჯელო ოთხმოცდაათი იენი. ქალები მიიღებენ ზემოდასახელებული თანხის 60 პროცენტს».

ხატე შარაგზიდან ოდნავ მოშორებით, ბოსტნის სიღრმეში მიყუჟული იოკოს ეზო-ყურეშიაც შრებოდა. ძნა ეზოს მარცხენა კუთხეში, ხარიხებზე ეკიდა, მეზობლის

თეთრი კედლის ჩასწვრივ ჩარიგებულ ატმებს შორის. ეზოსა და ბოსტანს შუა, ატმის ხეების სწორკუთხედად, კიდევ ერთი ხატე იდგა.

ძნებს შორის ცალ მხარეს გასასვლელი იყო დატოვებული და ეს ყველაფერი ძნებისაგან შეკრულ კარავს ჰგავდა. ბაღჩაში, დამჭკნარი გეორგინებისა და ვარდების ფონზე, ტაროს ძალუმი ფოთლები იყო გადაშლილი. ხატე ფარავდა ლოტოსის გამოსაყვან იმ პატარა გუბურას, რომელშიაც წითელი ქორჭილები დაცურავდნენ. იგი იმ პატარა ოთახის ფანჯარასაც ფარავდა, შიგ ერთ დროს აბრეშუმის ჭია რომ მოჰყავდათ და გასულ წელს კომაკო რომ ცხოვრობდა.

იოკო წყნარად გამოემშვიდობა სიმამურასა და კომაკოს, ბრინჯის ძნებს შორის დატოვებულ გასასვლელს შეუყვა, სახლისაკენ გასწია.

- ასე მარტოდმარტო ცხოვრობს ამ სახლში? - იკითხა სიმამურამ და იოკოს ოდნავ მოხრილ ზურგს თვალი მიაყოლა.

- რა ვიცი, იქნებ მარტო სულაც არა ცხოვრობს! - უკმეხად შეეპასუხა კომაკო, - ასე მგონია, გულზე მძიმე ლოდი მაწევს... არა, თმის დასავარცხნად აღარ წავალ... ქალს საფლავზე ყოფნა არ ვაცადეთ... სულ შენი ბრალი კია! მუდამ რაღაც უცნაური უნდა მოიგონო!

- ჩემი? ჩემი კი არა, მაგ შენი სიჯიუტის ბრალია, შენ არ მოინდომე, ცოტა ხანს მასთან ერთად დარჩენილიყავი საფლავზე?!

- ეჰ, რა გითხრა, ჩემი არაფერი გესმის!..

რაც არის, არის, წავალ, თმას მოვიწესრიგებ... მოგვიანებით, დრო თუ დამრჩა... შენთან კი უსათუოდ მოვალ, შეიძლება ცოტა შემაგვიანდეს, მოსვლით უსათუოდ მოვალ...

სიმამურა მოურიდებლად შემოღებული სიოძის ხმაურმა გააღვიძა და იმავე წუთს მის მკერდზე კომაკომ ზღართანი მოადინა.

უკვე ღამის სამი საათი იყო...

- აკი გითხარი, მოვალ-მეთქი...

ქალი ძლივს სუნთქავდა.

- ეს რა უსაშველოდა ხარ მთვრალი!

- ვერ ხედავ თუ რა?.. მოვალ-მეთქი, ხომ გითხარი! გზას ძლივს მოვიგნებდი, გეუბნები, ძლივს მოვიგნებდი-მეთქი... ოი, ძალიან ცუდად ვარ!..

- ამ ფერდობზე მაინც როგორ ამოხვედი?

- არ ვიცი, არაფერი არ ვიცი... - კომაკომ უკან გადაიწია და ზედ სიმამურას მკერდზე გადაზვავდა.

სიმამურამ სული ვეღარ მოითქვა. შეეცადა, წამომდგარიყო, მაგრამ ნამძინარევმა, ჩანს, თავი ვეღარ შეიკავა და ისევ ლოგინზე რომ დაეცა, თავქვეშ საოცარი სიმხურვალე იგრძნო.

- სულელო, ვერ ატყობ, ცეცხლი გიკიდია!

- ჰო? ცეცხლის სასთუმალი ვარ, ფრთხილად, არ დაიწვა!..

კაცმა თვალები მილულა: თავში თითქოს ქალის სხეულის სითბო ეღვრებოდა, თითქოს ცხოვრების სავსე ფიალას იყო დაწაფებული, თითქოს ბედნიერების უძირო მორევში ცურავდა...

არა, ეს სიზმარი კი არა, სინამდვილე იყო, ამას კომაკოს მძაფრი სუნთქვაც უდასტურებდა; ახლა იგი თითქოს ნეტარი მონანიების ტალღებზე ნანაობდა, თითქოს მეტი აღარაფერი დარჩენია, უნდა იწვეს, შურისძიებას ასე უდრტვინველად უნდა ელოდოსო.

- ხომ ვთქვი, მოვალ-მეთქი... - დაბეჯითებით იმეორებდა კომაკო, - ხომ მოვედი, ახლა წავალ, თავს დავიბან...

მერე წყალი ხმაურით დალია.

- ამ დღეში ხარ, სახლამდე როგორ უნდა მიაღწიო?

- მივაღწევ, მარტო ხომ არა ვარ?.. ნეტავი ჩემი სავარცხელი და საპონი რა მექნა?

სიმამურა წამოდგა, სინათლე აანთო. კომაკომ სახეზე ხელები აიფარა, თავი ტატამში წარგო.

- არა, არ მინდა, ჩააქრე...

...ღია ფერის, საყელოზე შავატლასმოვლებული ღამის კიმონო, «გენრიოკას» ყაიდაზე აჭრილი სახელო, წელზე წვრილი ობი, - «დატემაკი», ქვედა კიმონოს საყელო არ მოუჩანს. მთვრალი, შიშველი ფეხები - ფეხებიც კი! ისე მოკუნტულა, თითქოს უნდა სადმე შეძვრეს, დაიმალოს... და მაინც ისეთი საყვარელია, ისე საოცრად სანუკვარი!..

ტატამზე საპონი და სავარცხელი ეყარა, ეტყობა, სხვა ყველაფერი სადღაც მიეფანტ-მოეფანტა.

- აი მაკრატელი ხომ მოვიტანე, გაჭერი!

- გავჭრა? რა უნდა გავჭრა?

- ესა, აი, ესა! - კომაკომ ხელი კეფასთან მიიტანა, - აი, ამ ბაფთის გაჭრა მინდა, ხელები კი არ მემორჩილება! მივალ, გამიჭრის-მეთქი... ჰოდა, მოვედი...

ფრთხილად, ფრთხილად იჭრება ბაფთები, კულული კულულზე იშლება - თანდათან სიმშვიდე ეუფლება კომაკოს...

- რომელი საათია?

- რომელია და სამი...

- გვიანაა!..

ფრთხილად, თმა არ შემჭრა!

- ეს რამდენი ბაფთა ჩაგიბნევია!

სიმამურა ბაფთით შეკრულ თითოეულ დალალს ხელს შეავლებს, კანის ხორშაკი მხურვალებით თვრება.

- უკვე სამი საათიაო, არა? ნადიმის მერე შინ რომ მივედი, ეტყობა, ეგრევე დავეცი, მკვდარივით დამეძინა.

მერე გოგოებმა გამომიარეს - ასე ვიყავით შეთანხმებულები... ახლა ალბათ გაკვირვებულები არიან, რა იქნა, სად დაიკარგაო.

- გიცდიან?

- ჰო, სამნი არიან, საერთო აბანოში მელოდებიან, დღეს ხომ ექვს ადგილას ვიყავით მიპატიჟებული, მე კი მხოლოდ ოთხგან მივედი, მეტგან ვეღარ მოვასწარი... მომავალ კვირას ალბათ აღარ მეცლება - იმ დროისთვის ფოთლები უკვე გადაწითლებული იქნება... დიდი მადლობელი ვარ...

კომაკომ თავი უკან გადასწია - გაშლილ თმას ივარცხნიდა, ღიმჩამდგარი თვალები ჩაჭუტვოდა.

- ოი, როგორ მეცინება, არ ვიცი კი რაზე... - მერე თმა ხელში დაბნეულად აიქუჩა, - უნდა წავიდე, უხერხულია, გოგოებს ეწყინებათ... იქიდან შენთან ვეღარ შემოვივლი.

- გზას როგორ გააგნებ!

- გავაგნებ...

მაგრამ წამოდგომისას ფეხი კაბის ქობაზე დაიდგა და შეტორტმანდა...

კომაკო დროს მოიხელთებდა თუ არა, სიმამურასთან მიდიოდა.

აგერ უკვე მეორედ მოვიდა უდროო დროს, ერთხელ - სისხამ ცისკარზე, მეორედ - შუაღამის სამ საათზე. სიმამურას კომაკოს ეს საქციელი გულზე მოხვდა, რაღაც ავის მომასწავებელი ენიშნა.

შემოდგომის ნაირფერების საჭვრეტად ჩამოსული ტურისტებისთვის სასტუმროს ჭიშკარი - ისე, როგორც საახალწლოდ მოაჭიკჭიკებდნენ ხოლმე ბამბუკისა და ნაძვის მწვანე შტოებით - შემოდგომის ოქროსფერი ფოთლებით მოთოვეს.

სასტუმროს ერთი თანამშრომელთაგანი კადნიერი ხმით განკარგულებებს იძლეოდა. აქ იგი დროებით ჰყავდათ დაქირავებული - მოზამთრე ჩიტივით თავისუფალი ვარო, - ხშირად თვითონვე დასცინოდა საკუთარ თავს, თუმცა ერთ-ერთი იმათგანი იყო, ამ მთებს უმწიფარ გაზაფხულზე რომ ეწვეოდა და აქაურობას მანამდე არ მიატოვებდა, ვიდრე მთის კალთები ძოწისფრად არ ჩამოჭრელდებოდა. აზამთრდებოდა თუ არა, თავს ახლა იძუსა და ნაგაოკას ცხელ წყლებზე ამოყოფდა, გაზაფხულზე კი, როგორც კი ხეს კენწერო შეუნეკერდებოდა, ისევ ამ არემარეში გაჩნდებოდა. აუცილებლად სულაც არ მიაჩნდა, მომავალ წელსაც იმ სასტუმროში ემუშავა, სადაც გასულ წელს იმუშავა. ლაპარაკის მოყვარული კაცი იყო. საკუთარ გამოცდილებაზე ლაპარაკს რომ დაიწყებდა, დამთავრება არ იცოდა.

დიდი სიამოვნებით ჰყვებოდა ისეთ განთქმულსა და ხალხმრავალ აგარაკებზე, როგორიც იძუ იყო, ხშირად აუგადაც იხსენიებდა აქაურ სასტუმროებში დამკვიდრებულ ადათ-წესებსა თუ მუშტართან დამოკიდებულებას. მუშტარს რომ ეპატიჟებოდა, ბაგეზე ფარისევლური ღიმილი დასთამაშებდა და მისი ეს თვალთმაქცური ღიმილი სხვა არა იყო რა, თუ არა აშკარა მათხოვრული პირმოთნეობა.

- ბატონო, აკებას ნაყოფი ოდესმე გემოდ თუ გინახავთ? თუ მიირთმევთ, ახლავე მოგიკრეფთ, საგანგებოდ მოგიკრეფთ, - უთხრა ერთხელ სეირნობიდან დაბრუნებულ სიმამურას.

ნაყოფი კი წინასწარ უკვე ვაზის ლერწით ჰქონდა მიბმული პორფირისფრად ფოთლებგადაწითლებულ ნეკერჩხალზე.

ალბათ მთაში თუ მოჭრეს ეს ჩირაღდანივით ბდღვრიალა ნეკერჩხალი, სიმაღლით სახლის ლავგარდანს რომ სწვდებოდა და ისეთი წითელი, ისეთი დიდრონი და ღაღანა ფოთლები ჰქონდა, მთავარ შესასვლელ კარსაც კი მისი შუქი შარავანდივით ადგა.

აკებას ნაყოფს ხელში რომ ალოლიავებდა, სიმამურამ შემთხვევით კანტორისკენ გაიხედა - კანტორაში კერის პირას იოკო იჯდა.

სპილენძის ქვაბის გვერდით დიასახლისს ჩაემუხლა - ქვაბში არყით სავსე ბოთლები თბებოდა. იოკო დიასახლისის მოპირდაპირე მხარეს იჯდა, ტანზე ახალგარეცხილ-გაკაწკაწებული კიმონო ეცვა.

- ახალი მოსამსახურეა? - წამოსცდა სიმამურას.

- ჰო, დიდი ხანი არ არის, რაც მუშაობს, ასე ვთქვათ, თქვენის ლოცვა-კურთხევით. მუშტარი ძალიან მოეძალათ, მუშახელი აღარ ჰყოფნით, მხოლოდ ამიტომ აიყვანეს...

- თქვენსავით, არა?

იოკო ნომრებში არ გამოჩენილა, ალბათ სამზარეულოში თუ მუშაობდა. სასტუმრო ხალხით რომ გაივსებოდა, მოძალებული საქმისაგან სამზარეულოშიაც ხმას აუმაღლაურებდნენ, იოკოს მშვენიერი ხმისთვის კი ყური ერთხელაც არ მოუკრავს სიმამურას.

მიუხედავად ამისა, მისი იქ ყოფნა რატომღაც ბოჭავდა, იმაზედაც კი ყოყმანობდა, კომაკო მოეპატიჟებინა თუ არა, ამ ქალის ლამის ნომერში შემოყვანასაც ერიდებოდა - მისი სიყვარული არაფრად მიაჩნდა. ეს იქნებ იმის ბრალიც იყო, ტვინის ჭყლეტვისადმი დიდი მიდრეკილება რომ ჰქონდა, თუმცა ალბათ სწორედ ამ მიდრეკილების წყალობით სწვდებოდა ასე ძირისძირობამდე, თითქმის შიშვლად ეხებოდა კომაკოს ცხოვრებას, იმ ცხოვრებას, რომლითაც ცდილობდა ქალს ეცხოვრა. კომაკოსადმი რაიმე შეცოდება თუ გააჩნდა, მხოლოდ იმიტომ, საკუთარი თავი ებრალებოდა.

იოკო კი სულ სხვა იყო - ისეთი შემოხედვა ჰქონდა, თითქოს გულში მზის სხივივით გწვდება, გიყურებს და შენს სულს წიგნივით კითხულობსო.

მაგრამ კომაკო დაპატიჟების გარეშეც ხშირად მოდიოდა...

ერთხელ სიმამურას ხეობაში გავლა, შემოდგომის წითელ-ყვითელი ფოთლებით ნაპირებმოარშიებული მდინარის მზერა მოეწადა.

კომაკოს სახლს რომ ჩაუარა, მანქანის ხმის გაგონებაზე - ეს ალბათ, სიმამურა იქნება, სხვა ვინ უნდა იყოსო - კომაკო ქუჩაში გამოვარდა, მაგრამ სიმამურას თავიც არ მოუბრუნებია. მერე ამის გამო ქალმა საყვედური აღარ დაულია, ისიც კი უთხრა, უმადური კაცი ხარო. თვითონ კი სასტუმროში ისე არ მოიწვევდნენ, სიმამურასთან არ შეევლო, აბანოდანაც უსათუოდ აქეთ გამოივლიდა. ნადიმზე რომ დაპატიჟებდნენ, ერთი საათით ადრე მოვიდოდა და მანამდე იჯდა ნომერში, ვიდრე მოსამსახურე არ მოაკითხავდა, ზოგჯერ ვახშმობამდეც შემოირბენდა რამდენიმე წუთით, დაჯდებოდა სარკის წინ, თმას შეისწორებდა, სახეს შეილამაზებდა.

- ახლა წავალ, სამუშაო მაქვს, ხომ მოგეხსენება, სამუშაო რაც არის! - იტყოდა და წამოდგებოდა, - წუხელ შინ რომ მივედი, ჩაიდანში ერთი წვეთი მდუღარეც აღარ

იდგა. სამზარეულოში შევედი, ფლავს დილანდელი ნარჩენი წვენი დავასხი, დამჟავებული უმებასი მივატანე, ფლავი სულ გალელეჩებული იყო... დღეს დილას კიდევ არ გამაღვიძეს - დამეძინა, ალბათ უკვე ათი საათიც იქნებოდა, ლოგინიდან რომ წამოვდექი, მე კი შვიდ საათზე ვაპირებდი ადგომას, მთელი გეგმები ჩამეშალაო...

დაწვრილებით მოჰყვებოდა, პირველად რომელ სასტუმროში იყო, მერე იქიდან სად წავიდა, თითოეულ მუშტარს აუწერდა, ისე ჩაურაკრაკებდა ყველაფერს, თითქოს ანგარიშს აბარებდა, კიდევ შემოგივლიო, იტყოდა, წყალს მოსვამდა და დასძენდა: რა ვიცი, იქნებ ვერც შემოვიარო, ოცდაათ კაცზე სულ რაღაც სამი გეიშა ვართ, თავის დაძვრენა კი არა, ზოგჯერ გვერდზე მისახედადაც ვერ ვიცლითო.

მაგრამ არ გაივლიდა ცოტა ხანი და ისევ გამოჩნდებოდა.

- რომ იცოდე, როგორ დავიღალე! რაც უნდა იყოს, სამნი ვართ, ხუმრობა ხომ არ არის! თანაც ყველაზე მეტი შრომა მე მიწევს.

ერთი ყველაზე ხნიერია მთელ აქაურ გეიშებს შორის, მეორე - ყველაზე ახალგაზრდა...

დარწმუნებული ვარ, ეს ოცდაათივე კაცი ტურიზმის დიდი მოყვარული ბრძანდება. ამოდენა ხალხს სამი კი არა, ექვსი გეიშაც ვერ აუვა! ახლა წავალ, ერთი კარგად დავთვრები და ყველას გულებს დავუხეთქავ!..

ასე მეორდებოდა ყოველდღე. თვითონ კომაკო ზოგჯერ ისეთ გუნებაზე იყო, სიკვდილი ენატრებოდა, ჩანს, ნერვიულობდა, იმას თუ ნაღვლობდა, ასე რომ გაგრძელდეს, რა მეშველება, საბოლოოდ ხელში რა შემრჩებაო? მისი დიდი სიყვარულის მიუხედავად, მუდამ მარტოობისა და მიუსაფრობის მსუბუქი სევდით იყო მონისლული, ეს კი საოცარი მომხიბვლელობით გამოარჩევდა ამ ქალს.

- დერეფანში იატაკი ისე ჭრიალებს, რაც უნდა ფრთხილად დავაბიჯო, ხმაური აქაურობას იკლებს. სამზარეულოს რომ ჩავუვლი, ყველანი იცინიან - კომო-ტიან, შენ რა, ისევ იმ შენს ნომერ «კამელიაში» მიდიხარო? არ მეგონა, ასე თუ მომერიდებოდა.

- ამ ხელისგულისოდენა დაბაში ვის რას გამოაპარებ!

- ასეა, ყველამ ყველაფერი იცის.

- ცუდია.

- საქმეც ეს არის... ამ პატარა დაბაში ორმა-სამმა კაცმა უბრალოდაც რომ გაგჭოროს, მორჩა, შენი საქმე წასულია, - თქვა კომაკომ, მაგრამ იმავე წუთს სიმამურას შეხედა და სახეზე ნათელი ღიმილი მოეფინა, - რაც არის, არის. სადაც უნდა წავიდე, სამუშაო ყველგან მოიძებნება...

მისი ასეთი გულწრფელი აღსარება სიმამურასთვის სრულიად მოულოდნელი იყო.

- აბა, რა!..

რა მნიშვნელობა აქვს, ფულს სად იშოვი, ღირს კი ამაზე ფიქრი და ნერვიულობა?

ეს სიტყვები კომაკომ თითქოს ისე, სხვათა შორის წარმოთქვა, სიმამურამ კი ნათქვამში ჭეშმარიტი ქალი შეიცნო.

- მართალია, რაც კარგია... ისე, ახლა მხოლოდ ქალებს შეუძლიათ ნამდვილი სიყვარული... - კომაკოს სახეზე სიწითლის ვარდი გაეშალა, თავი მორცხვად დახარა და...

კიმონოს საყელო ოდნავ უკან რომ გადაეწია, თეთრი მხრები - თავქვე გაშლილი თეთრი მარაო გამოუჩნდა. ნატიფი, საოცრად ნატიფი და რატომღაც სევდიანი სხეული შალის ქსოვილივით უნაზესი ბუსუსით ჰქონდა დაფარული, მაგრამ ამ საოცარი სინატიფის მიუხედავად, იყო რაღაც საოცრად ცხოველურიც მის სხეულში.

- ეჰ, ახლანდელ ცხოვრებაში... - ჩაიბურდღუნა სიმამურამ და საკუთარი სიტყვების უაზრობაზე შემცივნებულივით მოიბუზა.

- ეს მუდამ ასე იყო! - მშვიდად თქვა კომაკომ, თავი ასწია და სხვათა შორის დააყოლა, - ეს თქვენც კარგად მოგეხსენებათ...

თავის აწევისას ბეჭებზე გადაწურული ქვედა წითელი კიმონო საყელომ დაუფარა.

სიმამურა რუსული ბალეტის იმ დროის შესახებ, როდესაც იგი დიდ აღმავლობას განიცდიდა საფრანგეთში, ვალერის, ალანისა და სხვა ფრანგი ავტორების წერილებს თარგმნიდა. გადაწყვეტილი ჰქონდა, მცირეოდენი ტირაჟით თვითონვე გამოეცა თარგმანი, თანაც გამოცემა არაჩვეულებრივი უნდა ყოფილიყო. მის ამ ნამუშევარს, ცხადია, არავითარი პრაქტიკული ღირებულება არ ექნებოდა, მაგრამ, ჩანს, სწორედ ეს მოსწონდა სიმამურას - იგი ხომ უდიდეს სიამოვნებას განიცდიდა, როდესაც თვითონვე დასცინოდა საკუთარ თავს ამგვარი უმიზნო შრომის გამო.

ალბათ სწორედ აქ იაბდებოდა ამ კაცის უმწეო ზმანებების სამყარო... მოკლედ რომ ვთქვათ, არსად არ ეჩქარებოდა, მით უმეტეს ახლა, სამოგზაუროდ წამოსულს. იდგა და მთელი გულისყურით აკვირდებოდა, ფარვანები როგორ იხოცებოდნენ.

როცა შემოდგომის სუსხმა თანდათან იძალა, სიმამურას ნომერშიც ნაირ-ნაირმა ჭიაღუამ შემოიბუდა. ყოველ ცისმარე დღე შემოფრინდებოდა ათასი ჯურის მწერი და სულ მალე ტატამზე ცვიოდა: კუტკალიები ზურგზე გადატრიალდებოდნენ და უკვე ვეღარა დგებოდნენ, ფუტკრები ცალ მხარეს წამოგვერდულავდებოდნენ, ერთს გაღოღდებოდნენ და სულს განუტევებდნენ. მათი სიკვდილი ისევე ბუნებრივი იყო, როგორც წელიწადის დროთა ცვალებადობა. ეს პაწაწა არსებანი, ერთი შეხედვით, თითქოს მშვიდად, უდრტვინველად ესალმებოდნენ სიცოცხლეს, მაგრამ საკმარისი იყო, ყურადღებით დაჰკვირვებოდი, რომ მათი სასიკვდილო აგონია გეხილა. პაწია ფრთები, თათები, ულვაშები, მთელი ტანი უცახცახებდათ, მათი პაწაწა სიკვდილ-სიცოცხლისთვის რვა ტატამის სივრცეც კი უკიდეგანო, დაუსაბამო იყო...

ზოგჯერ რომელიმე თვალით უხილავ, ციცქნა გვამს ორ თითს რომ მოჰკიდებდა და ფანჯარაში აგდებდა, შინ დარჩენილი შვილები გაახსენდებოდა.

დიდხანს, დიდხანს ისხდნენ ფანჯრის ბადურაზე მინაბული პაწია ფარვანები, მერე შეხედავდი და ზოგი უკვე ცოცხალი აღარ იყო - დამჭკნარი ფოთლებივით ჩუმად, უხმაუროდ ცვიოდნენ იატაკზე.

იატაკიდან დახოცილ მწერს რომ იღებდა, სიმამურა ხშირად ჩაფიქრებულა, მაშ რიღასთვის შექმნაო დედაბუნებამ ასე მშვენიერი ეს პაწია არსებანი?!

მალე ფანჯრებიდან მწერსაცავი ბადურები ჩამოხსნეს.

ჰაერში უკვე აღარ იდგა ის გაბმული ზუზუნი, არემიდამოს ჭრიჭინობლების ის გაჭიანურებული სიმღერა აღარ ავსებდა.

საზღვრად მდგარ, ჟღალ-წითლად გადაჭრელებულ მთის კალთებს თანდათან ძოწისფერი მიეძალა, ისეთი ცივი კრთოლა შესდგომოდა სადაისედ გადაფერილ მზის სხივებზე, თითქოს შემოდგომის წითელ-ყვითელი ფოთლებით კი არა, რომელიღაც ცივი მინერალის სამოსით შემოსილანო მთის ის შორეული ფერდობები. სასტუმრო თანდათან ხალხით ივსებოდა - მოდიოდნენ და მოდიოდნენ ამ ლამაზი მთების მემზირენი, აქაური შემოდგომის ტრფიალნი.

- დღეს ალბათ ვერ მოვიცლი, საქმეს ვერ გამოვუსხლტები, - თქვა ერთ საღამოს სიმამურასთან გზად შემოვლილმა კომაკომ, - ნადიმს ახლა აქაურები აწყობენ.

მალე ოთახიდან დოლის ბრახუნი და ქალის უსიამო კივილი გაისმა. უცბად ამ ხმაურში წყაროსავით ანკარა ხმა ახლოს, თითქოს იქვე ყურის ძირას აწკრიალდა:

- უკაცრავად... ბოდიშს ვიხდი... - თქვა იოკომ, - კომა-ტიანმა მთხოვა, აი ეს.. ეს თქვენთვის გადმომეცა.

კარში ჩამდგარმა იოკომ სიმამურას რაღაც გაუწოდა, მაგრამ ერთბაშად კარის ზღურბლთან მუხლი მოიყარა და ზონრით შეკრული ბარათი მხოლოდ მაშინღა გადასცა დიდის თავაზითა და მოწიწებით. ვიდრე სიმამურა ბარათს გახსნიდა, იოკო უკვე იქ აღარ იყო. ქაღალდზე მთვრალი, გაქცეული იეროგლიფებით ეს რამდენიმე სიტყვა იყო გამოყვანილი - «ბევრი ვიხუმრე, ბევრი ვიმხიარულე, დავთვერი...»

მაგრამ ჯერ ათ წუთსაც არ გაევლო, რომ თვითონ კომაკო გამოეცხადა. ძლივს მოფარფატებდა, ფეხი ერეოდა.

- გოგო ხომ მოვიდა, რაღაც ხომ მოიტანა?

- მოიტანა.

- მაშ მოიტანა, არა? - კომაკომ ცალი თვალი მხიარულად ჩაჭუტა, - იფ, კარგია!.. ვუთხარი, წავალ, საკეს შემოვიტან-მეთქი და ავითესე, კლერკმა ჩამავლო, სულ შავი დღე მაყარა... თავშიც ქვა უხლია, დაე ილანძღოს, დაე, მთელ სასტუმროს ესმოდეს, აქეთ როგორ მოვდივარ!..

ო, რა ცუდად ვარ, მოვედი და უცბად დავთვერი! მე კი ჯერ სამუშაო მაქვს, გესმის, სამუშაო!..

- ნეტავი ამისთანა მთვრალმა რა უნდა გააკეთო?

- უნდა ვიმუშაო!..

რაო, რა გითხრა, იმ გოგომ? რომ იცოდე, რა ეჭვიანია!..

- ვინ?

- ფრთხილად, იცოდე, მოგკლავს!

- ისიც აქ მუშაობს, თქვენთან?

- შემთბარი საკე შემოაქვს, დადგება დერეფანში მოფარებით და სულ იყურება და იყურება, ყველაფერს აკვირდება, თან თვალები ნაღვერდლებივით უგიზგიზებს... შენ ხომ მოგწონს ასეთი თვალები!

- ალბათ, გიყურებს და ფიქრობს, ეს რა საცოდაობაა!

- ბარათი დავწერე და მივეცი, აჰა წაიღე-მეთქი, ვუთხარი... ოი, როგორ მწყურია... ხოლო, რომელი ქალი უფრო საცოდავია, ამას მანამდე ვერ გაიგებ, ვიდრე არ დაიყოლიებ... ძალიან მთვრალი ვარ, არა?

მერე სარკეში ჩაიხედა, თავს ძლივს იკავებდა, ლამის იქცეოდა. ბოლოს, როგორც იქნა, წავიდა, დედოფალივით მიაბიჯებდა, კიმონოს გრძელ კალთებს მიაფრიალებდა.

ერთბაშად სიჩუმე ჩამოვარდა, ეტყობა, ნადიმი უკვე დამთავრდა. ახლა მხოლოდ ჭურჭლის წკრიალიღა არღვევდა ირგვლივ ჩადარაჯებულ მდუმარებას.

სიმამურამ ის იყო გაიფიქრა, კომაკო ალბათ დაემორჩილა მუშტრების თხოვნას, სხვა სასტუმროში თუ გადაინაცვლა დროს გასატარებლადო, რომ იოკო გამოჩნდა, ხელში კვლავინდებურად ზონარშემოხვეული ბარათი ეჭირა.

«მთის სასტუმრო «სან-პუკანში» წასვლაზე უარი ვუთხარი, ახლა ნომერ «ქლიავში» მივდივარ, უკან რომ დავბრუნდები, შემოგივლი. ნახვამდის, ძილი ნებისა...»

სიმამურა ოდნავ შეცბა, მორცხვად გაიცინა:

- გმადლობთ!.. უკაცრავად, თქვენ აქ მაგიდაზე მომსახურებაში ეხმარებით?

- დიახ... - თავი დაუქნია იოკომ და ანაზდად თავისი სულში ჩამწვდომი, უმშვენიერესი თვალები მიაპყრო...

და რატომღაც კიდევ უფრო დაირცხვინა სიმამურამ.

ეს ყმაწვილი ქალი, რომელსაც ასე ხშირად ხედავდა და რომლის ყოველ შემოხედვაზე აღტაცებას ვერ ფარავდა, ახლა მის წინ აუღელვებლად იჯდა. სიმამურა შეჩქვიფდა, ერთბაშად საოცარი შიში და მღელვარება იგრძნო. არა, ამ გოგოს თავი ისე დარბაისლურად ეჭირა, ისეთი სერიოზული იყო, თითქოს რომელიღაც განსაკუთრებული შემთხვევის მთავარი მონაწილე ყოფილიყოს.

- თქვენ ალბათ ძალიან დაკავებული ხართ?

- დიახ... თუმცა ხეირიანად არაფრის გაკეთება არ ვიცი.

- რატომღაც ხშირად გხვდებით, არ ვიცი, ასე რატომ...

აი, მატარებელშიაც... გახსოვთ, ავადმყოფი რომ მოგყავდათ? სადგურის უფროსს რომ სთხოვეთ, ჩემს უმცროს ძმას მიმიხედეთო, გახსოვთ?

- დიახ,

- თქვენზე ამბობენ, ძილის წინ აუზში ბანაობს და თან მღერისო?

- ოი, როგორ მრცხვენია!

ო, რა ჯადო, რა მომხიბვლელობა იყო ამ ხმაში!

- ასე მგონია, მე თქვენი ყველაფერი ვიცი!

- მართლა? ალბათ, კომა-ტიანმა თუ გითხრათ?

- კომა-ტიანმაო? ყველაფერი კი არა, თქვენზე ერთი სიტყვის თქმასაც ერიდება.

- ჰოო? - იოკომ თავი გვერდზე მიაბრუნა, - კომა-ტიანი შესანიშნავი ადამიანია, მაგრამ ძალზე უბედურია, ძალიან გთხოვთ, არაფერი აწყენინოთ.

- აბა მე რა შემიძლია?

თითქოს საცაა უჟმურშეყრილივით აცახცახდებოდა იოკო.

სიმამურამ ქალის ჯავრიან სახეს (თითქოს მისკენ მოცურავდა ახლა ეს სახე) თვალი მოარიდა:

- რაც დროით გავეცლები, რაც უფრო მალე დავბრუნდები ტოკიოში, იქნებ მისთვის უკეთესიც იყოს, - თქვა სიმამურამ.

- ტოკიოში წასვლას მეც ვაპირებ.

- როდის?

- რა ვიცი, ჩემთვის სულერთია.

- ერთად ხომ არ წავსულიყავით? რა თქმა უნდა, თქვენი სურვილიც თუ იქნება...

- დიახ, ძალიან გთხოვთ...

იოკომ ეს სიტყვები, თითქოს ისე, სხვათა შორის წარმოთქვა, თან ისე სერიოზული იყო - სიმამურა გაოცდა.

- დიდი სიამოვნებით, თქვენები ხომ არ დაგიშლიან?

- დამშლელი ვინ მყავს, ის ერთი კოჟანდარა ძმაა და ისიც რკინიგზაზე მუშაობს.

- ტოკიოში რაიმე სამუშაო თუ გაქვთ შეგულებული?

- არა, არაფერი.

- ეს იმან გირჩიათ, ტოკიოში წადიო?

- ვინ, კომა-ტიანმა? მე მისთვის რჩევა არ მიკითხავს, არც ვკითხავ, ისეთი საძაგელია.

იოკო, ეტყობა, აღელდა, ცრემლით მონამული თვალები სიმამურას მიაპყრო და სიმამურამ უცებ გაურკვეველი წადილი იგრძნო. მაგრამ ამან იმ მეორე ქალის სურვილი გაუცხოველა, კომაკოსადმი ვნების ცეცხლი წაუკიდა. ტოკიოში ამ უცნობ გოგოსთან თუ წავალ, მეც მწარედ მოვინანიებ, კომაკოსაც სასტიკად დავსჯიო.

- მერედა არ გეშინიათ მამაკაცთან მარტო მგზავრობისა?

- რისი უნდა მეშინოდეს?

- თქვენ თვითონ განსაჯეთ - განა საშიში არ არის, იმ უცხო ქალაქში არც თავშესაფარი გეგულებათ, არც სამუშაო.

- რა უშავს, სადღაც მოვეწყობი, მარტოხელა ქალი მუდამ რაღაცას მოახერხებს, - თქვა იოკომ და მისმა წკრიალა ხმამ თითქოს დაჩრდილა მის მიერვე წარმოთქმული უკანასკნელი სიტყვები, - მოახლედ ხომ არ ამიყვანდით?

- ნუთუ მოახლედ დადგომა გადაწყვიტეთ?

- ძალიანაც არ მეხალისება, მაგრამ...

- ტოკიოში რაზე მუშაობდით?

- მოწყალების დად ვიდექი.

- საავადმყოფოში იყავით თუ სადმე სამედიცინო ინსტიტუტში?

- არა, მოწყალების დად ვედექი. მე ასე მერჩია...

სიმამურას თვალწინ კვლავ ის მატარებელი, კვლავ მასწავლებლის ავადმყოფი ვაჟიშვილის გვერდით მოფუსფუსე იოკო წარმოუდგა და გაეღიმა - ეტყობა ამ გოგონასათვის ეს მისი ოცნების თავისებური ხორცშესხმა იყოო, - გაიფიქრა.

- გინდათ ისწავლოთ და მოწყალების და გამოხვიდეთ?

- არა, მოწყალების და არასოდეს აღარ ვიქნები.

- განა შეიძლება, ასე უტოლოდ, ასე ოლე-ოლე ცხოვრება?

- ოი, რას ბრძანებთ!

იოკომ ისე გაიცინა, თითქოს თავიდან რაღაც დანაშაულს იცილებსო.

ქალის სიცილი კაცს იქნებ ოდნავ სულელურიც მოსჩვენებოდა, ასეთი კამკამა, ასეთი ნათელი რომ არ ყოფილიყო. სიმამურას გულს ოდნავ, სულ ოდნავ შეეხო ეს სიცილი - არ აუტაცნია, არ შეუფრთიანებია.

- რა გაცინებთ?

- მე ხომ მხოლოდ ერთ ავადმყოფს ვუვლიდი.

- როგორ თუ ერთ ავადმყოფს?

- მე სხვას ვეღარავის მოვუვლი...

- აჰა... აი, თურმე რა ყოფილა...

- ისე ყრუდ წარმოთქვა სიმამურამ, თითქოს ანაზდად თავში ვიღაცამ რაღაც ჩასცხო და გააბრუა, - ახლა კი... ამბობენ, ყოველდღე დადისო... აი იქ, წიწიბურას მინდორზე.

- დიახ!

- თქვენ -+++გგონიათ... მომავალში სხვა ავადმყოფს არ მოუვლით?.. აღარც არავის საფლავზე მისვლა არ მოგიწევთ?

- მე მგონია, არა.

- თუ ასეა, ამ საფლავს ასე როგორ ტოვებთ, ტოკიოში როგორღა მოდიხართ?

- ო, ღმერთო!.. გეხვეწებით, გემუდარებით, წამიყვანეთ!

- კომაკო ამბობს, ეჭვიანიაო, მაგრამ, აი... აი, ის ვაჟი...

ის ხომ კომაკოს დანიშნული იყო.

- იუკიო-სანი? ტყუილია!

- მაშ კომაკო ასე რატომღა გძულთ?

- კომა-ტიანი? - იოკომ ეს სახელი ისე წარმოთქვა, თითქოს ამ სახელის პატრონი იქვე, მის გვერდით მდგარიყო, - თქვა და სიმამურას თავისი მშვენიერი, მცხუნვარე თვალების ჩინჩხვარი შეაყარა.

- კი მაგრამ, რა ვქნა, რით ვუშველო?

ქალს თვალებში ცრემლი ვარსკვლავივით აუბრწყინდა, ტატამზე მიმქრალებულ ფარვანას ხელი დაარტყა და ასლუკუნდა.

- კომაკო ამბობს, გაგიჟდებიო, - თქვა და ოთახიდან გავარდა.

სიმამურას თითქოს შეაცია, სხეულში ჟრჟოლამ დაუარა.

მერე სარკმელი გამოაღო და მკვდარ ფარვანას ფანჯარაში რომ აგდებდა, კომაკოს მოჰკრა თვალი - ვიღაც მუშტარს კენს ეთამაშებოდა.

აი, წელში ისე წაიხარა, თითქოს ადგილიდან უნდა მოსწყდეს, უნდა გაფრინდესო.

ცას ღრუბლის ქარავანი მოსდებოდა.

«წავალ, ვიბანავებ», - სიმამურამ აბანოსაკენ გასწია.

ამ დროს ქალების აბანოსაკენ იოკომ ჩაიარა, თან სასტუმროს დიასახლისის პატარა გოგონა მიჰყავდა.

იოკო გოგონას აბანავებდა და ისე ეჟღურტულებოდა, როგორც დედა თავის ნანინანატრს. ეს ხმა გულზე მალამოდ ეფინებოდა სიმამურას.

მერე სიმღერად აწკრიალდა ის ხმა, ის მშვენიერი ხმა:

სახლს უკან, ეზოში

სამი ვაშლი დგას,

სამი ნაძვი დგას,

სამი და სამი, სამი და სამი

იქნება ექვსი...

ხეზე ყვავები ბუდეს იგებენ,

პატარა რტოხმელზე, პატარა რტოხმელზე

ბუდეს იგებენ...

ხის კენწეროზე ბეღურები

ბუდეს იგებენ...

ხის კენწეროზე ბუდეს იგებენ...

ტყეს ჭრიჭინები დასჭრიჭინებენ.

ჭრი-ჭრი-ჭრი-ჭრი-ჭრი-

დასჭრიჭინებენ...

მე კი მეგობრის საფლავზე

დავალ,

მე კი საფლავზე

დავალ და დავალ...

მღეროდა იოკო. ისეთი ბავშვური უშუალობით, ხალისით, მხიარულად არაკრაკებდა ამ საბავშვო სიმღერას, რომელსაც პატარები ბურთის თამაშის დროს მღერიან, სიმამურამ ლამის ისიც კი გაიფიქრა, ნეტავი ის იოკო სიზმრად ხომ არ მომელანდა, ის მეორე იოკო, ეს-ეს არის ჩემთან, ნომერში რომ იყოო.

აი იოკო აბანოდან გამოვიდა, მოდიოდა და თან გოგონას ეჭიკჭიკებოდა... აი ჩაიარა კიდევაც, მისი ხმა კი ჯერ ისევ ფლეიტის ჰანგივით ავსებდა გარემოს. ანაზდად სიმამურას ყურადღება სიამისენმა მიიპყრო. ხებუერას ბუდეში ჩადებული საკრავი მთავარ შესასვლელ კართან, შავად მოლაპლაპე იატაკზე იდგა.

კარის ღიობში შემოდგომის უშფოთველი შუაღამე გარინდებულიყო. სიმამურა საკრავს მიეახლა, პატრონის გვარს ძებნა დაუწყო, რომ იმ მხრიდან, საიდანაც ჭურჭლის წკრიალი ისმოდა, კომაკო გამოჩნდა.

- ასე რას აკვირდები?

- ამაღამ აქ დარჩება?

- ვინ? ა-ა... უცნაური კაცი ხარ. შენ გგონია, ასე ადვილია ყოველდღე ამსიმძიმე ტვირთის თრევა? საკრავი აქ ხანდახან მთელი თვეობით დევს, პატრონს კი შინ არხეინად სძინავს.

კომაკომ გაიცინა, მძიმედ ამოიოხრა და თვალები მილულა. ანაზდად შეტორტმანდა, კაბის ქობა ფეხებში აებლანდა და სიმამურას მხარზე მიეყრდნო.

- შინ უნდა წავიდე, გამაცილე.

- ნეტავი შინ რა უნდა გააკეთო!

- არა, უნდა წავიდე, ნადიმის მერე ყველანი დროის გასატარებლად წავიდნენ, მარტო მე ავერიდე, არ მინდა აქაურებს... კიდევ კარგი, მეორე მიპატიჟებაც მქონდა, აქვე, სასტუმროში. ახლა კი უნდა წავიდე, აბანოს მერე გოგოები გამომივლიან, შინ რომ არ დავხვდე, სირცხვილია.

სიმთვრალის მიუხედავად კომაკო ფეხგამართული მიაბიჯებდა ფერდობზე:

- შენ რა, გოგო ლამის აატირე!

- მე მგონი, მთლად ნორმალური ვერ არის.

- გატყობ, ძალიან გსიამოვნებს ამ მხრივ ადამიანზე დაკვირვება.

- განა შენ თვითონ არ უთხარი, გაგიჟდებიო! - სწორედ ეს შენი ნათქვამი გაახსენდა.

- აა, ეგ უკვე სხვა საქმეა.

- მაგრამ ჯერ ათი წუთიც არ იყო გასული, მთელ აბანოში მაგისი სიმღერა ისმოდა.

ისეთი ანკარა, ისეთი მშვენიერი ხმა აქვს...

- ასე იცის, აბანოში თუა, უსათუოდ უნდა იმღეროს.

- რომ იცოდე, რა გულწრფელად მთხოვა, გაუფრთხილდი, არაფერი აწყენინოო.

- აი, სულელი! შენ კი, კარგი იქნებოდა, ქვეყანას თუ არ მოსდებდი ამ ამბავს.

- არ მოსდებდიო!.. მე რა... ეს შენ ბრაზდები იმის სახელის ხსენებაზე, ვერ გამიგია კი, რატომ.

- ეგ გოგო ხომ არ გწადია?

- აი, ხედავ, რა სისულელეებს ლაპარაკობ?

- არა, არ გეხუმრები. ვუყურებ და ასე მგონია, მომავალში მე უნდა დამაწვეს-მეთქი ტვირთად. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ასე კი მგონია... შენც რომ გიყვარდეს, შენც რომ ასე აკვირდებოდე მის საქციელს, შენც ასე გეგონებოდა, - კომაკომ მხრებზე ხელები ჩამოაწყო, კისერზე ჩამოეკიდა, მერე თავი ჯიუტად გააქნია, - არა, არა!.. აი შენისთანა კაცის ხელში რომ მოხვდებოდეს, შეიძლება არც გაგიჟებულიყო.

რას იტყვი, ხომ არ გამათავისუფლებდი ამ მძიმე ტვირთისაგან?

- ეჰ, მოგცლია!

- ალბათ ფიქრობ, მთვრალია, რაც ენაზე მოადგება, როშავსო? მე კი ამას გულწრფელად გეუბნები. მე რომ ეს გოგო შენ გვერდით მეგულებოდეს, მე რომ

ვიცოდე, შენ ის გიყვარს... მაშინ მეც გულდამშვიდებული ვიქნებოდი, მივაფურთხებდი ყველაფერს და დროს მხიარულებაში ჩავკლავდი; ისე დავწყნარდებოდი, როგორც ცივ სამარეში...

- იცი, რა...

- ნეტავი შენ!..

კომაკო ადგილიდან მოსხლტა, სირბილში თავი ვეღარ შეიკავა და დარაბას მიაწყდა.

- ეტყობა, ჩაუკეტავთ, ალბათ, აღარ მოვაო, იფიქრეს.

მერე მთელი ტანით კარს მიაწვა და სიძველისაგან დააფრაკებული კარი ჭრიალით რომ გაიღო, სიმამურას წასჩურჩულა:

- შემოდი!

- ასე გვიან რაღა დროს შემოსვლაა!

- ვისი გერიდება, ყველას სძინავს!

სიმამურა მაინც ყოყმანობდა.

- რახან არ გინდა, მაშინ მე გაგაცილებ, კარგი?

- კარგი, ასე იყოს...

- ისე, კაცმა რომ თქვას... შენ ხომ ჩემი ახალი ოთახი არ გინახავს.

სახლში უკანა კარიდან შევიდნენ. შესვლისთანავე სიმამურამ ამ სახლის ყველა ბინადარი თვალის ერთი მოვლებით გაარჩია - ცოლი, ქმარი, მათი ხუთი თუ ექვსი გოგო-ბიჭი. თავს მკრთალი, მოყვითალო სინათლის შუქი დასდგომოდათ. იწვნენ გაშხლართულები ბამბის ძველ, გახუნებულ ლეიბზე და არხეინად ეძინათ.

უფროსი ქალიშვილი თვალად ასე ჩვიდმეტ-თვრამეტისა მაინც იქნებოდა, ირგვლივ სიღარიბეს გაედგა ბორჯი, უსიხარულო, უნუგეშო სიღარიბეს.

მძინარე ადამიანების თბილი ფშვინვა თითქოს უკუაქცევდა სიმამურას. მან თავისდა უნებურად ნაბიჯი კარისკენ გადადგა, მაგრამ კომაკომ კარი უკვე ხმაურით მიკეტა და ფიცრის იატაკის მოურიდებელი ჭრიალით თავისი ოთახისკენ გასწია. სიმამურა ჩუმად მიიპარებოდა მის უკან, ლამის ფეხითაც კი სდგებოდა იატაკზე მიყრილ-მოყრილ სასთუმლებს, საეჭვო სიამოვნების მოლოდინში გული ელეოდა.

- დამიცადე, ავალ, სინათლეს ავანთებ.

- არა, რად გინდა...

სიმამურა ნელა შეუყვა შავად ჩაბნელებული კიბის საფეხურებს. უკან რომ მიიხედა, სავაჭრო დუქნები ჩარიგებულიყო შორს, ქვემოთ, უშფოთველად მძინარე ადამიანებს გადაღმა.

მეორე სართულის ოთხივე ოთახში, ისე, როგორც ყველა გლეხურ ბინაში, იატაკი გახუნებული ტატამებით იყო მოფენილი.

- აი, ხომ ხედავ, რა ხალვათობაა, ჩემს მეტი აქ არავინ ტრიალებს.

მაგრამ ათასნაირი ხარახურით გატენილი, შეჭვარტლული თეჯირებით გადატიხრული ეს ოთახები, ეს ვიწრო საწოლი, ლურსმანზე ჩამოკიდებული საღამოს ეს კიმონო სახლს კი არა, გრძნეული მელაკუდას ბუნაგს უფრო მოაგონებდა სიმამურას.

ერთადერთი ძაბუტონი* კომაკომ სიმამურას შესთავაზა, თვითონ კი ლოგინი რომ არ დაესრისა, საწოლის კიდეზე ფრთხილად ჩამოჯდა.

მერე სარკეში ჩაიხედა, - როგორ გავწითლებულვარ, ნუთუ ასეთი მთვრალი ვიყავიო, - გაიოცა.

ერთხანს კამოდში რაღაც ეძება.

- აი ჩემი დღიურები, - მიუბრუნდა ბოლოს სიმამურას.

მერე კამოდის უჯრიდან ფერადქაღალდგადაკრული კოლოფი ამოიღო - კოლოფი ნაირ-ნაირი სიგარეტებით იყო სავსე.

- როგორ დასრესილა!..

მუშტრები რომ მომაწვდიან, მაშინვე ობის ქვეშ ან კიმონოს სახელოში ვმალავ... ჭუჭყიანი არ გეგონოს.

თითქმის ყველანაირი სიგარეტი მაქვს... - კომაკო ცალი ხელით სიმამურას გვერდით, ტატამზე დაეყრდნო და სიგარეტებით სავსე კოლოფი იატაკზე მოაპირქვავა, - აი, ასანთი კი არ მქონია, მე ხომ აღარ ვეწევი.

- ეგ არაფერი... კერავ?

- ჰო, მაგრამ ვერ იქნა, საკერავს ხელი ვეღარ მოვუთავე. მუშტარი ისე მოზღვავდა... მოდიან და მოდიან ამ ოქროვარაყიანი შემოდგომის სამზერადა და გულის მოსაოხებლად.

კომაკო მიბრუნდა, კამოდწინ დაგდებული საკერავი აიღო.

ტოკიოს დროინდელი, ბუნებისგან ლამაზად მერქანმოხატული ხებუერას კამოდი და წითელი ხის ეს დიდებული ზარდახშა აქაც ისე კოპწიაობდა, ისეთივე მშვენიერი იყო,

როგორც იქ, მასწავლებლის სახლის მეორე სართულზე, სხვენქვეშ შეკუჭულ პატარა ოთახში, მაგრამ ის უამრავი ძველმანი ხარახურა, რომლითაც აქაურობა გამოვსებული იყო, მათ გვერდით კიდევ უფრო უბადრუკი ჩანდა.

ნათურიდან საწოლამდე წვრილი ელექტროზონარი იყო გაჭიმული.

- ღამით კითხვას რომ მოვრჩები, მოვქაჩავ ამ ზონარს და სინათლეს ისე ვაქრობ.

რატომღაც ოდნავ შეცბუნებულ კომაკოს თავი ქმარშვილიანი ქალივით დარბაისლურად ეჭირა, იჯდა ღირსებით აღსავსე და ხელში ელექტროზონარს ათამაშებდა.

- შენ ახლა იმ გრძნეულ მელაკუდას ჰგავხარ, გასათხოვრად რომ ემზადება.

- უიმე, მართლაც!..

- მერე აქ აპირებ მთელი ამ ოთხი წელიწადის გატარებას?

- ნახევარი წელი ისე გაფრინდა, ვერ გავიგე, დანარჩენიც ალბათ ასე გაირბენს.

საუბარს თანდათან ხალისი ეკარგებოდა. ქვედა სართულიდან თითქოს მძინარე ადამიანების სუნთქვაც კი ისმოდა და სიმამურა წასასვლელად აიშალა.

კარი რომ მიხურა, კომაკომ ცას გახედა.

- ღრუბლიანი ამინდია... მალე ეს ოქროსფერი ფოთლებიც ჩამოცვივა...

...ჯერ ისევ მოსავს მთებს ძოწეული,

ციდან კი ნელა ცვივა ფანტელი...

- მაშ ასე, ღამე მშვიდობისა...

- სასტუმრომდე მიგაცილებ.

მაგრამ სიმამურასთან ერთად ნომერში კომაკოც ავიდა.

- შენ ახლა დაწექი, კარგი? - თქვა და გაქრა.

მალე უკანვე შემობრუნდა, ხელში ცივი არყით მოლიცლიცებული ჭიქები ეჭირა.

- აჰა, დალიე, გესმის, დალიე-მეთქი!@- როგორღაც უკმეხად უთხრა სიმამურას.

- ხალხს რა ხანია სძინავს, ამ შუაღამისას საიდან მოიტანე?

- ეს მე ვიცი, საიდანაც მოვიტანე!

ვიდრე კასრიდან საკეს ჭიქებში ასხამდა, ჩანს, კომაკოს უკვე მოესწრო არყის დალევა.

სასმელი ისე მოჭიდებოდა, იდგა და თვალებარეული პირთამდე სავსე სასმისს დასჩერებოდა.

- სიბნელეში არაყს გემოს ვერ ჩაატან, უგემურია!

სიმამურამ სიამოვნებით გადაკრა სავსე ჭიქა, რომელიც კომაკომ ლამის შიგ ცხვირში ატაკა.

ცხადია, ეს ერთი ჭიქა კაცს ვერაფერს დააკლებდა, მაგრამ გარედან ახალშემოსულ, შეციებულ სიმამურას არაყი თავში ეცა, ასე ეგონა, საკუთარი თვალით ხედავდა, როგორ ფითრდებოდა, ფერი როგორ ეპარებოდა. იგი მაშინვე ლოგინზე მიწვა - ისე იყო გაბრუებული, თვალებს ვეღარ ახელდა. კომაკო ჯერ დაიბნა, მერე დაფაცურდა, მიეპატრონა, მიუტკბა... ქალის თბილმა სხეულმა უმალ დააშოშმინა სიმამურა, ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ალერსით დაამებული პატარა ბიჭი იყო.

კომაკოც ისე ესასოებოდა, ისე ეკდემამოსილებოდა, თითქოს სიმამურა მართლაც პატარა ბიჭუნა ყოფილიყოს, ის კი ჯერ მხოლოდ ახალშეღერებული გოგონა. იდაყვებზე დაყრდნობილს თავი ოდნავ წამოეყო და დაჰყურებდა, «ბიჭს» ძილი როგორ ერეოდა, თანდათან როგორ ეუფლებოდა.

ცოტა ხნის მერე სიმამურამ ჩუმად წაიჩურჩულა:

- კარგი გოგო ხარ...

- ვითომ რითი ვარ კარგი?

- კარგი ქალი ხარ!..

- ჰო? შენ კი დიდი საძაგელი ვინმე ბრძანდები! ნეტავი რაებს მიედ-მოედები! კარგი ახლა, გეყოფა, გონს მოდი! - ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამბობდა კომაკო, სიტყვას ტყვიასავით ისროდა. ბოლოს მიუბრუნდა, მხრებზე ხელი მოჰკიდა და ხმის ამოუღებლად შეანჯღრია.

მერე რისხვასავით დააყარა:

- არაფერი კარგი მე არა ვარ! აღარ შემიძლია, გესმის, აღარ შემიძლია, თუ ღმერთი გწამს, წადი, შენს სახლში წადი. ხომ ხედავ, გამოსაცვლელიც აღარაფერი მაქვს! მე კი მინდა სულ ძვირფასსა და ახალ-ახალ ტანისამოსში გეჩვენო.

შენ უკვე ყველა ჩემი კიმონო ნახე, მეტი მე აღარაფერი გამაჩნია, ზედ რომ მაცვია, ესეც სხვისია, ამხანაგისაა. ახლა რაღას იტყვი, კიდევ მეტყვი, კარგი გოგო ხარო?!

სიმამურამ სათქმელი სიტყვა ვერ იპოვა.

- კარგიო... კარგი კი არა, აი, ხომ ხედავ, როგორი ვარ! - ქალს ხმა ჩაეფერფლა, - პირველად რომ გნახე, კარგი კაცი არ უნდა იყოს-მეთქი, მაშინვე ის გავიფიქრე... მართლაც, აბა, სხვა ვინ გაბედავდა ასეთ კადნიერ სიტყვას? გულს ასე ვერავინ ამირევდა.

სიმამურამ თავი დაუქნია.

- შენ გესმის, ამაზე რატომ ვდუმდი, აქამდე რატომ არაფერს ვამბობდი? როცა ქალი იძულებულია ასეთ რამეებზე ილაპარაკოს, მორჩა, იქ უკვე ყველაფერი გათავებულია!@

- არა, რატომ...

- ჰო?

კომაკო ფიქრებმა გაიტაცა, იგი კარგა ხანს გაუნძრევლად იჯდა.

ქალის ალღო, მისი ქალური განცდები თბილ ტალღებში ახვევდა სიმამურას.

- კარგი ქალი ხარ...

- რას ნიშნავს, კარგი ქალი ხარო?

- რას უნდა ნიშნავდეს, კარგი ქალი ხარ-მეთქი, გეუბნები!

- რა სასაცილო ხარ! - კომაკომ განზე გაიწია, გაოცდა, თითქოს რაღაც ეხამუშაო, თავი მხრებში ჩარგო. მერე უცებ იდაყვს დაეყრდნო, წამოიწია: - არა, ამიხსენი... გამაგებინე, მაინც რას ნიშნავს, მხედველობაში რა გაქვს?!

ქალს გაოცებულმა შეხედა სიმამურამ.

- ნუთუ მხოლოდ ამიტომ ჩამოდიხარ?..

ნუთუ მხოლოდ ამიტომ გინდივარ? ესე იგი, დამცინოდი... სულ დამცინოდი...

ქალს სახე აელეწა, სიმამურას ისე დაჟინებით მიაჩერდა, თითქოს ემუდარებოდა, პასუხის გაცემასა სთხოვდა. მერე სიწითლემ ერთბაშად გაუარა, სიბრაზისაგან მხრები აუთრთოლდა, თვალებიდან ცრემლმა იწვიმა:

- როგორ მწყინს, რომ იცოდე, როგორ მწყინს!..

კომაკო ლოგინიდან გადმოვიდა და საწოლზე ზურგშექცევით ჩამოჯდა.

...მეორე დილას ტკბილმა «უტაიმ» გააღვიძა სიმამურა.

იწვა გარინდებული და სიმღერას უსმენდა. კომაკო სამკარიანი სარკის წინ იჯდა, მერე სიმამურასკენ შემობრუნდა და გაუღიმა:

- «ქლიავში» მღერიან, წუხელ, ნადიმის მერე, მეც ვიყავი იქ დაპატიჟებული.

- ალბათ «უტაის» მოყვარულთა საზოგადოების ჯგუფური გასვლა ან რაღაც ამდაგვარი თუა?

- ჰო.

- თოვს?

- თოვს... - კომაკო წამოდგა, ფანჯრის სიოძი ყურთამდე გამოაღო, - მშვიდობით, მშვიდობით, ძოწისფერო ფოთლებო.

ფანჯრის ჩარჩოში გამოკრული ნაცრისფერი ციდან თეთრი, დიდრონი ფანტელები მოცურავდა. ისინი თითქოს უთქმელი სიცრუესავით იყო. ჯერ ისევ ძილ-ბურანში მყოფი სიმამურა დაბნეული მისჩერებოდა თოვლის თეთრ ფანტელებს.

მომღერლებმა დოლს დასცხეს.

გაახსენდა, შარშან ამ დროს სარკეში არეკლილმა თოვლის ცქერამ როგორ გაიტაცა და თვალი სამკარიანი სარკისაკენ გააპარა - სარკეში ცივი, ღუნღულა ფიფქები მოცურავდა, მკრთალ, მოთეთრო ლაქებად ეფინებოდა მხრებამდე ყელ-კისერმოშიშვლებულ კომაკოს - იგი სარკის წინ იჯდა და კისერზე ნელსაცხებელს ისვამდა.

ისეთი ქარქარა, ისეთი კრიალა კანი ჰქონდა, თითქოს ეს არის ამწუთას იბანავაო.

ვერ წარმოიდგენდი ამ ქალს, აი ამ გამჭვირვალე ქალს, ასე არასწორად გაეგო სიმამურას მიერ ძილში უაზროდ ნასროლი სიტყვები! მაგრამ, ვაი, რომ ასე იყო და ვაი, რომ ეს ისევ იმის გულსავე ავსებდა უნაპირო სევდითა და მწუხარებით.

პირველმა თოვლმა ისევ აამცხვინვარა წითელ-ყვითელ-სამოსშეხუნებული შორეული მთები.

თითოეული ხე იკვეთებოდა კრიპტომერიის თოვლით გადაფიფქულ ჭალაში. დადუმებული იდგნენ თეთრ ფანტელებში გახვეული ხეები, ზეცაში აეწოდებინათ მოქნილი კენწეროები.

«...თოვლში ართავენ, თოვლში ქსოვენ, თოვლის ნაჟურში რეცხავენ, თოვლზე ათეთრებენ»... თავიანთ ძველთაძველ წიგნებშიაც ასე წერენ: «თუ არის თოვლი, არის კრეპი, თოვლია მისი მამა, მიმცემი დასაბამისა».

ზამთრის გრძელ ღამეებში სრულყოფდნენ ამ კუთხის ქალები კრეპის გამოყვანის ხელოვნებას. მერედა როგორ უყვარდა სიმამურას მათი ნახელავი! ერთთავად ნახმარი ტანსაცმლის სავაჭროების წინ ტრიალებდა, საზაფხულო კიმონოსათვის ძველებურ კრეპს ეძებდა. ისე იყო გატაცებული ამ «ძიებით», თეატრ «ნოს» ძველებური სამოსით მოვაჭრე ძველთაძველ ნაცნობებსაც არ ივიწყებდა, სულ იმას იხვეწებოდა, რაიმე

ხეირიანი კრეპი თუ სადმე ჩაგივარდათ, არ დაგავიწყდეთ, უსათუოდ შემინახეთო. ის კი არა, ქვედა კიმონოსაც კი სელის კრეპისაგან იკერავდა.

ამბობენ, ძველად, როგორც კი ოდნავ დათბებოდა, თოვლი დნობას დაიწყებდა და ფანჯრებიდან ბამბუკის ფარდებს ჩამოხსნიდნენ, კრეპის პირველი ბაზრობა იმართებოდაო.

იმასაც ამბობენ, სამი სხვადასხვა დედაქალაქიდან - კიოტოდან, ოსაკადან და ტოკიოდან ჩამოსული ნარდი მოვაჭრეებისთვის საგანგებო ქარვასლები იყოო. მთელი გარეშემო სოფლები კრეპის საყიდლად თავს თურმე ამ ბაზრობაზე იყრიდა. ამბობენ, აქაური ქალიშვილები თავაუღებლად ქსოვდნენ, საბაზროდ საქონელს ამზადებდნენ, თან გაცხარებული ვაჭრობაცა ჰქონდათ, თან ერთ ჟრიამულსა და მხიარულებაში იყვნენო. იქაურობა ნაირ-ნაირი ფარდულებით იყო გადაჭრელებული, დახლებს თვლა აღარ ჰქონდა. ქსოვილზე ქაღალდის ბაფთას მიაკერებდნენ, ზედ მქსოველი ქალისა და მისი მშობლიური სოფლის სახელს დააწერდნენ, ქსოვილის ხარისხსაც იქვე, ბაზარში აფასებდნენ, საპატარძლოებსაც იქვე ირჩევდნენო. როგორც ამბობენ, ყველაზე უკეთეს კრეპს თურმე თხუთმეტიდან ოცდახუთ წლამდე ასაკის ქალები ქსოვდნენ, მერე და მერე ხელზე ისე აღარ აუდიოდათ, მათი ნახელავი ისეთი უნაკლო ვეღარ იყო. ყმაწვილი ქალები, ეტყობა, ძალ-ღონეს არ იშურებდნენ იმ უპირველეს ოსტატთა შორის მოხვედრილიყვნენ, რომელთა სახელები მაშინ თურმე თითებზე ყოფილა ჩამოსათვლელი.

რთვას ოქტომბერში - მთვარის ძველი კალენდრით იწყებდნენ, ქსოვას კი დაახლოებით მომდევნო წლის თებერვლის შუა რიცხვებში ამთავრებდნენ. ისხდნენ თოვლისა და უამინდობისაგან სახლებში გამომწყვდეული ქალწულები, რთვასა და ქსოვაში დღე-ღამეს ასწორებდნენ, სულსა და გულს საქმეში აქსოვდნენ. ან რა უნდა ექნათ, წასვლით ვერსად წავიდოდნენ და გასართობი არაფერი ჰქონდათ.

ვინ იცის, სიმამურას საზაფხულო კიმონოებს შორის იქნება ისეთებიც ერია, ედოს ეპოქის ბოლოსა და მეიძის მმართველობის დასაწყისში მოქსოვილი მატერიისაგან რომ იყო შეკერილი. ყოველ წელიწადს თავის ამ კიმონოებს გასათეთრებლად თოვლიან მხარეში, იმ სოფელში აგზავნიდა, სადაც ოდესღაც ეს მატერია მოექსოვათ. მართალია, დიდ წვალებად უჯდებოდა, მაგრამ როგორც კი განდეგილებივით თოვლში გამომწყვდეული გოგონების მუყაით შრომას წარმოიდგენდა, ასე ეგონა, თოვლიან მხარეში თავის კიმონოს თუ გააგზავნიდა, ამით ერთგვარ ხარკს მოიხდიდა ამ იშვიათი ნახელავის წინაშე. მარტო იმის გაფიქრებაზე, თოვლში ჩაფენილი კიმონო აისისა თუ დაისის ვარდისფერ საღებავებს როგორ იწოვდა, ზაფხულის ოფლისა და ჭუჭყისაგან როგორ იწმინდებოდა, როგორ თეთრდებოდა, ასე ეგონა, თავადაც ასე «განიწმინდებოდა», ასე «გათეთრდებოდა», თუმცა საკუთარი თვალით არასოდეს ენახა, მის ნივთებს როგორ წმენდდნენ - ამ საქმეს ტოკიოელი ვაჭრები უძღვებოდნენ და წარმოდგენაც არა ჰქონდა, ვაჭრები ამისათვის იმ ძველებურ მეთოდს იყენებდნენ თუ სხვა რამ ხერხსა და საშუალებას.

გამთეთრებლის ხელობა ძველთაძველი, ოდითგან არსებული ხელობაა, თვითონ მქსოველი ქალები ამ საქმეს ხელს იშვიათად მოჰკიდებდნენ, ნართსაც და ქსოვილსაც გასათეთრებლად ხელოსანს აძლევდნენ. თეთრ კრეპს მოქსოვის შემდეგ ათეთრებდნენ, ფერადს - მოქსოვამდე: გაჭიმავდნენ ნართს საგანგებო ჩარჩოებში და ათეთრებდნენ.

ეს სამუშაო ძირითადად იანვრის ბოლოსა და თებერვლის შუა რიცხვებში სრულდებოდა, როგორც წესი, ამისათვის მაღალი თოვლით დაფარულ მინდორს ან ბოსტანს იყენებდნენ.

ქსოვილსაც და ნართსაც მთელ ღამეს სოდიან წყალში ჩაალბობდნენ, დილით რამდენიმეჯერ სუფთა წყალში გაავლებდნენ, გაწურავდნენ და თოვლზე გაშლიდნენ. ასე მეორდებოდა რამდენიმე დღე. გასუფთავებულ, თეთრად გაქათქათებულ ქსოვილზე ახალამოსული მზის სხივები რომ ათამაშდება, ნეტავი ჩვენს სამხრეთელებს ერთხელ მაინც შეახედათ ამ საარაკო სილამაზისთვისო, - წერდნენ ძველ წიგნებში.

ის ადგილი, სადაც უწინ სელის კრეპი გამოჰყავდათ, ცხელ წყლებთან ახლოს, მდინარის ქვემო წელში მდებარეობს, იქ, სადაც მთის ვიწროები თანდათან განივრდება და გაშლილ ველს უერთდება. სიმამურას ასე ეგონა, გადავყოფ თავს ფანჯრიდან და იმ ძველ ადგილებს დავინახავო... იმ ძველთაძველ ქალაქებში, რომლებიც უწინ კრეპის წარმოებითY იყვნენ განთქმულნი, ამ ბოლო დროს რკინიგზები გაიყვანეს. ახლა ეს ქალაქები საფეიქრო მრეწველობის ცენტრებია. სიმამურა იმ არემიდამოზე არასოდეს ყოფილა, არც შუა ზაფხულში, როცა მზა ქსოვილი გასაყიდად გამოაქვთ და არც შუა ზამთარში, როცა ამ ქსოვილს ამზადებენ.

ამის შესახებ არც კომაკოსთან ჰქონია საუბარი. საგანგებოდ რომ წასულიყო და ეს ადგილები მოენახულებინა, რატომღაც აზრადაც არასოდეს მოსვლია.

მაგრამ, აი, სიმამურამ აბანოში იოკოს აწკრიალებული სიმღერა მოისმინა და გუნებაში გაიფიქრა, იმ ძველ დროს რომ ეცხოვრა, იჯდებოდა ჯარასთან და თავის წკრიალა ხმას სართავის ზუზუნს ააყოლებდაო - მართლაც რომ საოცრად შესაფერისი ხმა ჰქონდა ამ გოგოს.

სელის რთვა, რომლის ნართიც შალზე გაცილებით წმინდაა, თურმე არც ისე იოლი საქმეა. როგორც ამბობენ, სელს ბუნებრივი ტენი არ გააჩნია, ტენს თურმე თოვლისაგან იღებს, რის გამოც მისი დამუშავება და გამოყვანა თოვლიანი ზამთრის გარეშე შეუძლებელი ყოფილა. ჩვენს ძველ წინაპრებს ასე უთქვამთ: ყინვაში ნაქსოვი სელი სიცხეში აგრილებს, სხეულისათვის სასიამოვნოა, მის სითბო-სიგრილეს პირქუში ზამთრისა და მცხუნვარე ზაფხულის ბუნებრიობა ახასიათებსო.

სიმამურას ასე ეგონა, ამ ქალის არსებაში სიგრილეც იყო და სითბოც, აი ამ ქალისა, ახლა მის კისერზე მკლავები რომ შემოეჭდო და გულში რომ იკრავდა; ქალისა,

რომლის სხეული აგრილებდა კიდევაც და თავისი მცხუნვარე მგზნებარებით მწარე სინანულსაც იწვევდა, ვინაიდან ასეთ ალხიან სიყვარულს, რომელსაც კომაკო მის მიმართ იჩენდა, ალბათ დიდი დღე არ ეწერა. აი კრეპიც ხომ ცვდება... ვთქვათ, ამ ქსოვილმა, ამ თავისებურმა ნიმუშმა ხელოვნებისამ შედარებით დიდხანს გაძლოს, ვთქვათ, ათი, ფაქიზად თუ ვიხმარეთ, თხუთმეტი წელიწადი, სიყვარულს კი ამდენი დრო არა აქვს, გაცილებით უხანოა და დღემოკლე...

ანაზდად სიმამურას სხვა კომაკო წარმოუდგა თვალწინ, სხვა კაცის ცოლი, სხვისი ვაჟიშვილის დედა და შეკრთა, შეშინებულმა მიიხედ-მოიხედა, ეტყობა, დავიღალეო, - გაიფიქრა.

იმდენი ხანია იგი აქ, ამ მხარეში იყო, მგონი დავიწყებოდა კიდევაც, ცოლ-შვილი რომ ჰყავდა, ოჯახის პატრონი რომ იყო და რომ ადრე თუ გვიან ოჯახში უნდა დაბრუნებულიყო. ვინ დაიჭერდა, შეეძლო დღესვე წასულიყო, გარიდებოდა კომაკოს, მაგრამ, ჩანს ჩვეულებად ქცეოდა ამ ქალის ლოდინი. ეს იყო და ეს, მხოლოდ ეს ჩვევა აკავშირებდა ამ ქალთან. რაც უფრო თავშეუკავებლად, რაც უფრო მეტი გზნებით ესწრაფოდა კომაკო, მით უფრო მეტად აწუხებდა საკუთარი გაორება. ასე ეგონა მხეცური სისასტიკით შეპყრობილი, მტაცებელი ნადირივით გულდაუნდობელი, ქალს შორიდან აკვირდებოდა. გაოცებული იყო, ვერ გაეგო, ასე რად უყვარდა კომაკოს, ასე რად ელტვოდა... რატომ ესწრაფოდა, გულსა და გონებაში ჩასჭროდა, მის სულში ჩაღვრილიყო.

ის კი მაინც იჭრებოდა, გულზე ენავლებოდა, ფეხქვეშ ფიანდაზად ეგებოდა, მაშინ როცა თვითონ იგი ვერაფერში ეწილადებოდა. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს კომაკო თავს ფიცრის კედელს ურტყამდა და ყურში ერთთავად მისი ყრუ ხმაური ჩაესმოდა. კიდევ ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს თოვლით იყო ამოყორილი. მაგრამ განა რომელ ქალს ეყოფოდა ძალა, ამ თავკერძა, მეთავისე კაცის მარადიული გულცივობისთვის გაეძლო?.. და სიმამურას ასე ეგონა, აქედან რომ წავალ, ამ ცხელ წყლებზე ჩამოსვლას ვეღარასოდეს გავბედავო.

იგი იდაყვით ხიბატიზე ჩამოეყრდნო - თითქოს თოვლიანი დღეების მოახლოებას ამცნობსო, გულის წამღებად უსტვენდა ძველთაძველი, ჯერ კიდევ კიოტოში ნაჯაფი თუჯის ჩაიდანი - ნეტავი ქარი ხომ არ კიოდა ფიჭვნარში?.. ორ ხმაზე უსტვენდა ვერცხლის ჩიტუნებითა და ვერცხლის პაწია ყვავილებით მოსევადებული ჭურჭელი - ორ ხმაზე უსტვენდა ფიჭვებში მონავარდე ქარი: ერთი ხმა შორიდან მოისმოდა, მეორე იქვე იყო, სულ ახლოს. თითქოს იმ შორეულ ხმაზე უფრო შორს, შორს, სადღაც, პაწაწა ზანზალაკები წკრიალებენო, ნაზი წკარაწკური ეწვნოდა ქარის ამ შორეულ სიმღერას.

სიმამურა ხიბატიზე დაიხარა, მიაყურადა, ზანზალაკების ნაზ წკრიალს ყური მიუგდო და ანაზდად ხშირი, მთრთოლარე ბგერებით აღსავსე იდუმალ შორეთში კომაკოს ორი პატარა ფეხი დალანდა - ქივქივით მოიჩქარობდნენ ციცქნა ზანზალაკების სიმღერას

აყოლილი პაწია ფეხები... შეშინდა სიმამურა, უნდა წავიდე, არა, არა, დროა წავიდეო, - გაიფიქრა.

სწორედ მაშინ გადაწყვიტა, კრეპის დედაადგილები მოენახულებინა - იქნებ ამან მაინც გადააწყვეტინოს, აქედან წავიდეს და ამ ცხელი წყლებისაკენ პირი აღარასოდეს ქნას.

მაგრამ არ იცოდა, საიდან დაეწყო, მდინარის ქვემო წელში ჩარიგებული ქალაქებიდან პირველი რომელი მოენახულებინა. იმ დიდი ქალაქისაკენ, რომლებიც ახლა უკვე საფეიქრო მრეწველობის ცენტრს წარმოადგენდა, გულმა არ გაუწია. იგი ერთ მიყრუებულ, უკაცრიელ სადგურზე ჩამოვიდა და ანაზდად საფოსტო ტრაქტს დაყოლებულ ძველთაძველი ქალაქის მთავარ ქუჩაზე აღმოჩნდა.

სახლების წინ გადმოშვებული სახურავები ქუჩას გადასწოლოდა. გზის ჩასწვრივ ბოძები ეყენა. დიდი ხანია ამ სახურავებს ტანასიტს კი არა (როგორც თავის დროზე მათ ედოში უწოდებდნენ), უბრალოდ, საჩეხებს ეძახდნენ. ზამთრობით, თოვლსა და ავდარში, ამ სახურავებქვეშ ხალხი ისე დადიოდა, როგორც თავიდან ბოლომდე გადახურულ ქუჩაში.

გზის ერთ მხარეს თითქმის ყველა სახლი ჩარდახიანი იყო.

ჩარდახები ზედიზედ მიყოლებით მისდევდნენ ერთმანეთს. ჩამოთოვლა რომ დასჭირდებოდათ, თოვლს სახურავიდან შუა ქუჩაზე ყრიდნენ, მერე ერთ მხარეს მიაქუჩებდნენ და აქუჩებული თოვლი გორასავით აიმართებოდა ქუჩის განაპირას. ქუჩის ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირზე რომ გადასულიყვნენ, ნაყარ თოვლში სანგრები უნდა გაეთხარათ.

თუმცა ეს პატარა ქალაქიცა და ცხელი წყლებით განთქმული ის სოფელიც, სადაც კომაკო ცხოვრობდა, თოვლიან მხარეში იყო, მაგრამ იმ სოფელში ასე მიჯრით როდი მისდევდნენ ჩარდახები! ასე ერთ სახურავად გადაბმულ-გადაწალიკებული საჩეხი სიმამურამ დღეს აქ პირველად იხილა და საშინლად გაოცდა. მრუმე ბინდი ჩატბორებულიყო საფარქვეშ. აქა-იქ ძირები მოლპობოდა, ცერად წაფერდებულიყვნენ სახურავებს შეყენებული ბოძები. სიმამურა ნელა მიაბიჯებდა ჩარდახ-ჩარდახ და ასე ეგონა, საუკუნეობით ამ თოვლში ჩამარხულ თითოეულ სახლში შედიოდა, ამ სახლებში ჩავანებულ მწუხრისფერ სევდას შეიგრძნობდა.

იმ ფეიქარი ქალების ცხოვრება, წლების განმავლობაში საკუთარ საქმეს რომ სწირავდნენ მთელ თავის ძალასა და ენერგიას, წლიდან წლამდე მოსვენებას რომ არ აძლევდნენ შრომაში გაწაფულ, ნაჯაფარ ხელებს, ისეთი საამური და მშვენიერი როდი იყო, როგორც მათი ნაოსტატარი ქსოვილი. ძველთაძველ წიგნებში, იქ, სადაც კრეპის წარმოებაზეა ლაპარაკი, მოყვანილია ტანის ეპოქის პოეტის ცოუ ჩაო-იუს ლექსები, რომლებშიაც იგი ფეიქარ ქალთა უმძიმეს შრომას უმღერის.

ერთი ცალი კრეპის მოსაქსოვად იმდენი დრო და იმდენი შრომა იყო საჭირო, მუშახელის დაქირავება ხელს არავის აძლევდა, ამიტომაც მთელ იმ მხარეში ერთ კომლსაც ვერ ნახავდი, ფეიქარი ქალი დაექირავებინოსო, - ეწერა იმ ძველთაძველ წიგნებში.

ის ადამიანები, რომელთაც უდრტვინველად, საკუთარი ზურგით ზიდეს ამ უმძიმესი შრომის ტვირთი, რა ხანია უსახელოდ გადაეგნენ ამ ქვეყნიდან, მხოლოდ ეს მშვენიერი ქსოვილიღა იყო მათი მოსახსენებელი. და აი, აცვიათ ძველებური კრეპისაგან შეკერილი დიდებული კიმონოები სიმამურასა და მის მსგავსთ და ტანზე გრილად ეალერსებათ ზაფხულის პაპანაქება სიცხეში. კაცმა რომ თქვას, ან კი აქ უცნაური და გასაკვირი რა არის? მაგრამ გაოცებისაგან ანაზდად ლამის სული შეეხუთა სიმამურას: ნუთუ კაცის მიერ სადღაც, ოდესღაც აღსრულებულმა საქმემ სიყვარულისამ მერე იმ კაცსავე მათრახივით მწარედ უნდა ურტყასო?

სიმამურა მოჩარდახებულიდან შუა ქუჩაში გავიდა. ისე, როგორც სადგურებს შორის გაჭიმულ ტრაქტს შეჰფერის, გრძელი ქუჩა იყო, სწორი.

ეს ძველი სავალი გზა ალბათ ცხელ წყლებთან თუ იღებდა დასაბამს, ვინაიდან აქაც ყველაფერი ისეთივე იყო, როგორც იქ, იმ სოფელში - ქვაცა და სახლებზე გადახურული ყავარიც.

აი უკვე ჩრდილი გაუმკრთალდა ხის სვეტებს, მწუხრმა დღის ფერები წამოკრიფა. სანახავი და დასათვალიერებელი აქ თითქმის აღარაფერი იყო, სიმამურა ისევ მატარებელში ჩაჯდა და ახლა მეორე სადგურზე ჩამოვიდა. ეს პატარა ქალაქიც ტყუპისცალივით ჰგავდა იმ ქალაქს.

ერთხანს ქუჩა-ქუჩა იხეტიალა უსაქმოდ. მერე სასადილოში შევიდა და ცოტა რომ შემთბარიყო, ერთი ულუფა ატრია მოითხოვა.

სასადილო იმ მდინარის პირას იდგა, რომელიც სათავეს, როგორც ჩანს, ცხელი წყლების რაიონში იღებდა. ხიდზე მონაზვნები მოლაშლაშებდნენ - ეტყობა, მეროჭიკეები ბრუნდებოდნენ. ფეხზე ვარაძები* ეცვათ, ზოგიერთი ზურგს უკან მრგვალ ფართოფარფლებიან ჩალის ქუდს მოაქანავებდა.

- ეს ამდენი მონაზონი აქ საიდან გაჩნდა? - ჰკითხა სიმამურამ ატრიის მომტან ქალს.

- აგერ, მთაში, ქალთა მონასტერია. საცაა თოვლს ჩამოყრის, მთიდან ჩამოსვლა გაუჭირდებათ.

საღამოს ბინდბუნდში თეთრად იკვეთებოდა ხიდს გაღმა აღმართული თოვლით თავგასპეტაკებული მწვერვალი.

ფოთოლი ცვენას რომ დაიწყებს, სოფელს ცივი ქარები რომ დაეუფლება, მალე თოვლის წინამორბედი ცრიატი დღეები ჩამოდგება, თანდათან თეთრად

შეიბორბლება ლანდივით აჩრდილული შორეული მწვერვალებიცა და სოფლის მახლობლად აღმართული ახოვანი მთებიც. «მთები აბუბუნდნენო», - იტყვიან ამ კუთხის მცხოვრებლები, ეს მათი «საშოს სიმღერააო», - ასე ეძახიან მთის ბუბუნს მთის მკვიდრნი; იციან, მთები რომ აბუბუნდება, როცა მათი «საშოს სიმღერა» სოფლამდე ჩამოაღწევს, მალე თოვლის თეთრ ფიფქებად ჩამოეფინება ცარგვალი. ეს ამბავიც ძველთაძველ წიგნებში ჰქონდა ამოკითხული სიმამურას.

პირველად იმ დღეს მოთოვა, შემოდგომის ფერადი ფოთლების სამზერად ჩამოსული სასტუმროს ბინადრები «უტაიმ» უთენია რომ გააღვიძა: «ნეტავი თქვა ზღვამ წლეულს თავისი ზავთიანი სიმღერა? ნეტავი უკვე იბუბუნეს მთებმა?»

ან იქნებ აქ, ამ ცხელ წყლებზე, სადაც იგი სულ მარტო ცხოვრობდა, სადაც კომაკოს გარდა თითქმის არც არავის ხვდებოდა, ყური გაუმახვილდა, სმენა გაუმძაფრდა? მარტო იმის გაფიქრებაზე, ზღვა მღერის, მთები ბუბუნებენო, ასე ეგონა, ყურში მათი შორეული სუნთქვაც კი ჩაესმოდა.

- მაშ, მალე ალბათ ზამთარი სენაკებში მიიმწყვდევს მონაზვნებს? მაინც რამდენნი იქნებიან?

- რა ვიცი, ალბათ, ბევრნი.

- ნეტავი რას აკეთებენ მთელ ზამთარს ასე ოთხ კედელშუა გამოკეტილები? ირგვლივ ყველაფერი თოვლითაა დაფარული, მთელ მონასტერში მათ გარდა, ალბათ, კაცის ჭაჭანებაც არ არის.

განა არ ჯობია, კრეპი ქსოვონ, ეს კუთხე ხომ ძველთაგან ამ ხელობით არის განთქმული?

ქალმა მხოლოდ ჩაიცინა.

უკან წამომსვლელი მატარებლის მოლოდინში სიმამურამ მთელი ორი საათი სადგურში იყურყუტა.

რკინიგზის გადასასვლელთან მანქანა კრიპტომერიის ტყეს რომ გაუსწორდა, განმარტოებით მდგარი, სინათლით გაჩახჩახებული სახლი რომ გამოჩნდა, სიმამურამ შვებით ამოისუნთქა - ის სახლი პატარა რესტორანი «კიკიმურა» იყო, რესტორნის წინ რამდენიმე გეიშა იდგა და საუბრობდა.

ჯერ ყველანი ხეირიანადაც არ შეეთვალიერებინა, სიმამურამ უკვე იცოდა, იმ გეიშებს შორის ერთ-ერთი კომაკო რომ იყო - ახლა სიმამურა მის გარდა ვერავის და ვერაფერს ხედავდა.

ერთბაშად მანქანამ სვლას უკლო. ჩანს, მძღოლმა, ვისთვისაც კომაკოსა და სიმამურას ამბავი ცნობილი გახლდათ, მანქანის სვლა თავისდაუნებურად შეანელა.

მაგრამ ანაზდად სიმამურამ თავი მიაბრუნა და უკან, გზას დაუწყო ყურება. თოვლით მოგებულ გზას ბორბლების ნაკვალევი მოსდევდა, ვარსკვლავების შუქზე საოცრად შორს, შორს სწვდებოდა თვალთა საწიერი.

ბოლოს მანქანა კომაკოს გაუსწორდა. ქალმა თვალები მოწკურა, ადგილიდან მოწყდა და მანქანის კარს ჩაეჭიდა - მანქანა არ გაჩერებულა, ახლა იგი ნელა მიუყვებოდა თავშეღმართს. საფეხურზე მოკუნტული ქალი ორივე ხელით კარის სახელურს იყო ჩაფრენილი.

როცა კომაკო მათკენ გამოფრინდა, მანქანის კარს ლატანივით აეკრა, სიმამურას არ გაჰკვირვებია, არც არაბუნებრივად და სახიფათოდ მოსჩვენებია. თითქოს თბილმა ტალღამ გადაუარაო, გულში საოცარი სითბო იგრძნო. კარის სქელი მინიდან კომაკოს ქვედა კიმონოს წითელი სახელოს ცეცხლი შემოენთო, კაცს სიცივისაგან გახევებული ქუთუთოები დასწვა და მინაზე შუბლით მიკრულმა კომაკომ ცივი ხმით იყვირა:

- სად იყავი?..

თქვი, სად იყავი-მეთქი?

- ფრთხილად, ჩავარდები! - ყვირილითვე უპასუხა სიმამურამ, მაგრამ ეს მხოლოდ თამაში, მხოლოდ უბრალო გაპასუხება იყო.

კომაკომ კარი გააღო, მანქანის სავარძელზე გვერდულად ჩაზვავდა და მანქანაც გაჩერდა - უკვე მთის ძირს მისდგომოდნენ.

- სად იყავი?

- გავისეირნე...

- სად, სად გაისეირნე?

- არსად, ისე...

კომაკომ კიმონოს კალთები ჩაისწორა - ეს გეიშას ჩვეული მოძრაობა იყო, სიმამურა კი რატომღაც გაოცდა.

«ნეტავ ამ ჩიხში შემწყვდეულ მანქანაში როდემდე უნდა ვისხდეთ», - გაიფიქრა გუნებაში.

მძღოლი გაჩუმებული იჯდა.

- ჩავიდეთ, - თქვა კომაკომ და ხელები სიმამურას მუხლებზე დააწყო, - ოი, როგორ გაგყინვია... მე რატომ არ წამიყვანე?

- მართლაც, რომ...

- რაო, რაო?.. არა, დიდი სასაცილო ვინმე ხარ!

და მხიარული სიცილით ბილიკზე ქვის საფეხურებს შეუყვა.

- მე კი დაგინახე, მანქანით როგორ გაიარე. ორი ან სამის რაღაც წუთები იქნებოდა.

- ჰმ...

- მანქანის ხმა რომ გავიგონე, გამოვიხედე. შენ კი ისე იჯექი, თავიც არ მოატრიალე.

- რა?

- რა და, ერთი არ გამოიხედე. რა იქნებოდა, მობრუნებულიყავი, გამოგეხედა.

სიმამურა განცვიფრებული იყო.

- ნუთუ ვერ დამინახე, როგორ გაცილებდი?

- მაცილებდი? არა, არ დამინახიხარ.

- ასედაც ვიფიქრე, - კომაკომ გულიანად გაიცინა, თავი მხარზე მიადო, - რატომ არ წამიყვანე? რა საშინელებაა, ხედავ, როგორ აცივდა!..

ანაზდად ნაბათსა ჰკრეს:

და სიმამურაცა და კომაკოც ერთდროულად მიტრიალდნენ.

- ხანძარია!..

- ჰო, ხანძარია!@

სოფლის შუაგულში რაღაც იწვოდა.

ჯანღივით ჩაწოლილ შავ კვამლში ცეცხლის ალი ამოროკდებოდა, ისევ ჩაიღვენთებოდა და ისევ შავ კვამლში ჩაიკარგებოდა. აი, ალი უკვე მეზობლად მდგარი სახლების ჩარდახებს მიეტანა, აშკარა იყო, ცეცხლი სულ უფრო შორ-შორს მიიწევდა.

- მგონი, მასწავლებლის სახლი იწვის, აი, ის, შენ რომ ცხოვრობდი.

- არა, არა მგონია.

- მაშ რა ადგილია?

- ცოტა ზევითაა, სადგურისკენ...

ცეცხლმა სახურავი ამოხეთქა, ჰაერში აიგრაგნა.

- ღმერთო, ეს ხომ აბრეშუმის ჭიის სახლია, ჭიის სახლი იწვის! - კომაკო სიმამურას მიეკრა, სახე მის მხარში ჩარგო, - ჭიის სახლი იწვის!

ხანძარი სულ უფრო ჩაღდებოდა.

ზევიდან ვარსკვლავებით მოჟიკჟიკებულ ცისქვეშეთში ცეცხლი ბავშვების თავშესაქცევ პატარა ჭიაკოკონას უფრო ჰგავდა, მაგრამ გულს მაინც იდუმალი შიშით ავსებდა. იფიქრებდი, გამძვინვარებული ალი საცაა ყურთასმენას ტკაცატკუცით მისწვდებაო.

სიმამურამ ქალს ხელი მოხვია:

- კარგი, დამშვიდდი.

- არა, არა... არა, არ მინდა...

კომაკომ თავი გააქნია, ატირდა.

ხელისგულებში მოქცეული მისი სახე სიმამურას საოცრად გალეული ეჩვენა, გაცილებით პატარა, ვიდრე სინამდვილეში იყო. საფეთქლებზე ძარღვები უცემდა.

ანაზდად კომაკომ ტირილი შეწყვიტა.

- დღეს მაგ სახლში კინოს აჩვენებდნენ, ალბათ ხალხით იყო სავსე, გესმის, ხალხით იქნებოდა სავსე...

- უჰ, ეგ კი მართლაც დიდი უბედურებაა!

- ხალხი დაშავდება, დაიწვება!

ზევიდან ხმაური ზვავივით წამოვიდა და კომაკო და სიმამურა ქვის საფეხურებით მთისკენ თავპირისმტვრევით გაიქცნენ. სასტუმროს მეორე-მესამე სართულზე ყველა სიოძი გაფრიალებული იყო. ხანძრის საყურებლად ხალხი ფანჯრებიდან შემოფენილი შუქით განათებულ დერეფნებში იყო გამოშლილი, ვარსკვლავისა და ელექტრონის შარავანდედი დასდგომოდა გამხმარ ქრიზანთემებს, თითქოს ამ შორეულ ალთა ანასახიაო, თითოეული ყვავილი ცალ-ცალკე, ღერა-ღერა იკვეთებოდა სიბნელეში. ხალხი ქრიზანთემების კვლებს იქითაც იდგა.

თითქოს სიბნელიდან ამოყვინთესო, სიმამურას და კომაკოს გვერდით სასტუმროს რამდენიმე თანამშრომელი გაჩნდა.

კომაკომ თავს ძალა დააატანა, ხმა ძლივს ამოიღო:

- ხომ ვერ მეტყვით, რა იწვის, ჭიის სახლი ხომ არ არის?

- ჰო, ჭიის სახლია.

- მერედა, ხალხი, ხალხი რა დღეშია?

- რა ვიცი, შეიძლება უშველონ, ჯერ კინოფირს გასჩენია, მერე სახლს წაჰკიდებია... ეს-ეს არის, ტელეფონზე დაგვირეკეს... შეხეთ, შეხეთ, რა საშინელებაა, ეს რა ცოდვის

კითხვაა! - სასტუმროს ერთ-ერთმა თანამშრომელმა ხელი ხანძრისაკენ გაიშვირა: - ამბობენ, ბავშვებს მეორე სართულიდან ისვრიანო, - თქვა და კიბეზე დაეშვა.

- რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ? - კომაკო კიბეზე ისე ჩარბოდა, თითქოს იმ კაცს უნდა დაეწიოსო.

მალე ზემოდან მომავალი ხალხის ტალღა წამოეწიათ. კომაკო ტალღას მიჰყვა, სიმამურა ფეხდაფეხ აედევნა.

ქვევიდან ხანძარი უკვე აღარ ჩანდა, ხანდახან ცეცხლის ალი თუ აიმაღლაურებდა სახლის სახურავებს. სულ უფრო გაავებული რეკავდა ზარები. ხალხს შიში და მღელვარება იპყრობდა. ყველანი კისრისტეხით გარბოდნენ ხანძრისკენ.

- ფრთხილად, არ წაიქცე, მოლიპულია, - კომაკო სიმამურას მიუბრუნდა და წუთით შეჩერდა, - კი მაგრამ, შენ რაღას გამორბიხარ? მე რას მიყურებ, მე იმ ხალხის ბედზე ვწუხვარ.

ამ სიტყვებით საქციელწამხდარმა სიმამურამ მიიხედ-მოიხედა და რელსებს მოჰკრა თვალი - ისინი უკვე რკინიგზის გადასასვლელს მისდგომოდნენ.

- უი, ირმის ნახტომი...

უიმე, რა ლამაზია... - თქვა კომაკომ, ცას შეხედა და ისევ გაიქცა; ანაზდად ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს მისი სხეული იმ ირმის ნახტომში მიცურავდა. ირმის ნახტომი ახლოს იყო, სულ ახლოს, იგი თავისკენ უხმობდა, იზიდავდა... იქნებ აბობოქრებულ ზღვის ტალღებს შებმულ ბასიოსაც* ეს ნათელი უსასრულობა ედგა თავზე?.. ირმის ნახტომი მიწას ელამუნებოდა, ზედ ეწურებოდა. იგი იქვე იყო, სულ ახლოს, სიგიჟემდე მაცდური და მომნუსხველი, ისეთი კაშკაშა და გამჭვირვალე, ამ მანათობელი ნისლეულის თითოეული ვერცხლისფერი მტვერიც კი ირჩეოდა... და მაინც მის უძირო სიღრმეში თვალი ვერა და ვერ ატანდა.

- ეჰე-ჰეი! - გასძახა სიმამურამ კომაკოს.

- აქა ვარ, ააქ! აქეთ წამოდი, აქეეთ!

კომაკო ირმის ნახტომის ქვეშ შავად აზიდული მთებისკენ გარბოდა.

ალბათ კიმონოს კალთები აკეცილი თუ ჰქონდა, ხელის თითოეულ გაქნევაზე ქვედა წითელი კიმონო მოუჩანდა.

სიმამურა ხედავდა, ვარსკვლავების შუქზე დროდადრო წითელი ქობა როგორ გაიელვებდა და - ისიც თავქუდმოგლეჯილი გარბოდა.

კომაკომ ფეხი შეანელა, კიმონოს კალთები ჩამოუშვა, სიმამურას ხელზე ხელი სტაცა.

- შენც მოდიხარ?

- ჰო, მოვდივარ.

- ო, რა ცნობისმოყვარე ხარ! - კომაკომ თოვლზე მოთრეული კაბის კალთა ისევ ხელში აიკრიფა, - სასტუმროში წადი... სირცხვილია, ხალხი რას იტყვის, დამცინებენ.

- კარგი, ოღონდ ცოტას კიდევ გაგაცილებ.

- ხალხისა მერიდება! მართალია, ხანძარია...

სიმამურამ თავი დაუქნია და შეჩერდა, მაგრამ კომაკოს ფეხი არ აუჩქარებია, სიმამურას ხელი ხელიდან არ გაუშვია.

- იცი რა, მომიცადე, მალე დავბრუნდები... სად გირჩევნია, სად დამიცდი?

- სულერთია, აქ სადმე გავჩერდები.

- მაშინ ცოტაც გამაცილე... - კომაკომ სიმამურას სახეში შეხედა, თავი გააქნია, - არა, ასე აღარ შემიძლია! რა საშინელებაა, რა უგულობაა! - სხაპასხუპით, სუნთქვაშეკრული ამბობდა კომაკო, - კარგი გოგო ხარო, გახსოვს, ასე მითხარი? განა შეიძლება ამ სიტყვებს ის კაცი გეუბნებოდეს, რომელმაც სამუდამოდ უნდა მიგატოვოს?

სიმამურას ცხადად წარმოუდგა, კომაკო რა გამწარებით ურჭობდა თმის ჩხირს ტატამში.

- გახსოვს, როგორ ვიტირე? შინ რომ მივედი, მაშინაც სულ ვტიროდი და ვტიროდი... შენთან განშორება თავზარს მცემდა... და მაინც მირჩევნია წახვიდე, იმ შენს სიტყვებსა და იმ ტირილს ვერასოდეს დავივიწყებ.

სიმამურას თავისი სიტყვები გაახსენდა, სიტყვები, რომელთა აზრი ასე არასწორად გაიგო, რომლებიც ასე მწარედ ჩარჩენოდა ქალს გონებაში და გული შეეკუმშა. ამ დროს ხანძრის მხრიდან ხმამაღალი ყიჟინი გაისმა - ცეცხლს ახალი ძალით ეფეთქა, ცაში შადრევანივით იღვრებოდა ნაპერწკალი.

- ღმერთო დიდებულო! აი, ისევ გაჩაღდა! ხედავ, ალი სადა სწვდება!..

და ორივენი გაიქცნენ.

ისე გარბოდნენ, თითქოს მხოლოდ ამაშიღა იყო მათი ერთადერთი ხსნა და გამოსავალი.

უკანმოუხედავად გარბოდა კომაკო - მისი გეტები ყინვისაგან გახეშეშებულ თოვლს თითქოს არც კი ეხებიანო, ხელებს არ მიიქნევდა, მხოლოდ იდაყვები გაეწია აქეთ-იქით. უყურებდა სიმამურა ქალის შემართულ, მკერდმაღალ სხეულს და რა ნატიფი, რა მომხიბვლელიაო, - ფიქრობდა. დაღლილობისაგან უკვე სულს ვეღარ ითქვამდა, თან სულ კომაკოს უყურებდა და სირბილში ესეც ხელს უშლიდა. და აი, უცებ ვეღარც

კომაკომ მოითქვა სული, მთვრალივით შეტორტმანდა და სიმამურას მხარს მიეყრდნო:

- სიცივისაგან თვალები მეცრემლება.

ღაწვებზე ცეცხლი ეკიდა, თვალებზე კი სციოდა... თვალები სიმამურასაც ეცრემლებოდა. მერე თვალებმოჭუტულმა ცას შეხედა და დაინახა, როგორ იშლებოდა, როგორ იდღაბნებოდა ცის იკანკლედი.

სიმამურამ თავს ძალა დაატანა, ცრემლს საშუალება არ მისცა.

- ნუთუ ყოველღამე ასე ლამაზია?

- რა?.. ირმის ნახტომი? ა-ა...

ჰო, ლამაზია... არა, ალბათ ყოველღამე არა... ხედავ, დღეს ცა როგორი კამკამაა?

ირმის ნახტომიც იმ ადგილებიდან იღებდა სათავეს, საიდანაც ისინი მოდიოდნენ.

ისიც ამ გზით მოედინებოდა და კომაკოს სახეც თითქოს ამ ვერცხლისფერ ნისლეულში მოცურავდა.

მიუხედავად ამისა, მისი სალუქი ცხვირის კონტური ისე ცხადლივ აღარ იკვეთებოდა, ბაგეს ფერი მიჰქრობოდა... და გული ვერ ერწმუნებინა სიმამურას - თეთრად გაბდღვრიალებული ცის მიუხედავად, ნუთუ ამ უშქარ სიბნელეს მოეცვა გარემო? ნუთუ ვარსკვლავები უფრო მკრთალად ანათებდნენ დედამიწას, ვიდრე ახალგანახლებული მთოვარე? მაგრამ ირმის ნახტომი ხომ გაცილებით მცხინვარე იყო, ვიდრე ღამის მნათობი აღვსებისას? რა უცნაურიაო, - ფიქრობდა სიმამურა, - სინათლის ამ მცხრალ ციალში, როცა მიწაზე ერთი ჩრდილიც კი არსად არის, ბინდში ძლივს ილანდება კომაკოს სახე, ძველ ნიღაბს მიუგავს, და რომ ის, სიმამურა, ასეთი უცნაური ძალით შეიგრძნობს ამ ქალს.

უშველებელი ციაგის მსგავსი ირმის ნახტომი თითქოს გარემოიცავდა, სულში ეღვრებოდა, სიმამურა კი იდგა სადღაც შორს, დედამიწის უკიდურეს დასალიერში, და ირმის ნახტომი გულს სევდით უვსებდა, გულის შემძვრელი, ყინულივით ცივი სევდით, თან გრძნებითაც ჰკრავდა, მაცდუნებელი ხიბლითაც ავსებდა...

- როგორც კი აქედან წახვალ, ყველაფერს მივატოვებ, ნამუსიან ცხოვრებას დავიწყებ... - თვალები აახამხამა კომაკომ, ჩამოშლილი თმა შეისწორა.

მერე რამდენიმე ნაბიჯი კიდევ გადადგა და ისევ სიმამურას მიუბრუნდა, - რა იყო, რა დაგემართა?.. ეჰ, კარგი ერთი!

სიმამურა გაშეშებულივით იდგა.

- აქ დამიცადე, მერე კი შენთან წავიდეთ, კარგი?

კომაკომ მარცხენა ხელი დაუქნია და გაიქცა, შავად აზიდული მთების შავ ჩრდილს შეერია.

ტალღებივით მიწყობილ ჩაშავებულ მწვერვალებს ბრჭყვიალა ქობასავით შემოსდგომოდა ირმის ნახტომი, მაგრამ მთა თითქოს განირიდებდა ცის იკანკლედს, აიძულებდა, თვალშეუდგამ ნათებად მოსდებოდა მთელ კაბადონს.

ძირს კი შავად ჩაბინდული მთები ჩამერეხებულიყვნენ, თავისსავე სიშავეში ჩანთქმულიყვნენ.

სიმამურამ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, მაგრამ, აი, კომაკო გზის პირას ჩარიგებული სახლებისაკენ წავიდა, თვალთაგან მიეფარა.

- მოიტა!.. მოიტა!..

გაისმა ერთსულოვანი შეძახილი და გზაზე ხალხის მოზრდილი ჯგუფი გამოჩნდა - ტუმბოს მოათრევდნენ.

შარაზე ადამიანთა ახალ-ახალი ნაკადი არ წყდებოდა.

ის ქუჩა, რომლითაც კომაკო და სიმამურა მოდიოდნენ, გზას ისარივით კვეთდა. სიმამურამ ნაბიჯს აუჩქარა, შეეცადა, რაც შეიძლებოდა დროით გამოსულიყო შარაზე.

ამ დროს გზაზე კიდევ ახალი ჯგუფი გამოჩნდა - მოდიოდნენ და ისინიც ტუმბოს მოათრევდნენ.

სიმამურამ ხალხი წინ გაუშვა, თვითონაც სირბილით გაჰყვა უკან.

ადამისჟამინდელი ხის პატარა ტუმბოსათვის რამდენიმე კაცს მსხვილი ბაგირი ჩაება. უკანიდან მეხანძრეთა ბრბო აწვებოდა.

მათ დანახვაზე კომაკოც გზის პირას გადავიდა, საქაჩავის ხალხი წინ გაუშვა. სწორედ ამ დროს სიმამურას მოჰკრა თვალი და მისკენ წავიდა.

საქაჩავს დაინახავდნენ თუ არა, ყველა გზას უტევდა, მერე კი დაანდამატებულივით ყველანი უკან მიჰყვებოდნენ, მათთან ერთად გარბოდნენ... მათთან ერთად გარბოდნენ კომაკოცა და სიმამურაც.

- შენ მაინც მოდიხარ, არა? ო, რა ცნობისმოყვარე ხარ!

- მე მოვდივარ, მოვდივარ, ამ ადამისჟამინდელ საქაჩავს რაღას მოათრევენ?

- ეგა თქვი!.. ფრთხილად, არ წაიქცე.

- ჰო, მოყინულია...

- ძალიან ცურავს...

აი, ერთხელ რომ ჩამოხვიდოდე ისეთ დროს, მთელ ამ მხარეში ქარბუქი რომ ამძვინვარდება... არა, რა თქმა უნდა, არ ჩამოხვალ... ასეა, ხოხობიცა და კურდღელიც მუდამ ისევ ადამიანს ეტანება...

ამწუთას ხალისიანად ლაპარაკობდა კომაკო, ლამის მხიარულადაც კი, ალბათ მეხანძრეების ომახიანმა შეძახილებმა და ზღვასავით წამოსულმა ხალხის ფეხის ხმამ თუ აღაგზნო.

ხალისით მიაბიჯებდა სიმამურაც.

გაისმა გაძლიერებული ცეცხლის ტკაცატკუცი და იქვე, მათ თვალწინ ალი ჰაერში სვეტივით აიგრაგნა. კაშკაშა სინათლეზე ანაზდად გზის პირას ჩაყოლებული სახლების შავი, დაბალი სახურავები სიბნელიდან ამოცურდა, მაგრამ მალე ისევ სიბნელეში ჩაინთქა. საქაჩავიდან წამოსული წყალი ზუსტად მათ ფეხებწინ იღვრებოდა. კედელივით ჩამდგარ ხალხს გზა ჩაეხერგა. სიმამურა და კომაკო უგუნებოდ შედგნენ ერთ ადგილას.

ირგვლივ ხმამაღალი ჟრიამული იდგა, ყველა იმას ამბობდა, ხანძარი კინოფირს გაუჩნდა, ბავშვებს მეორე სართულიდან ისროდნენ, ღმერთსა მადლი, არავინ დაშავებულა, კიდევ კარგი, შიგ არაფერი იყო, არც ბრინჯი, არც აბრეშუმის ჭიაო...

ერთად შეჯგუფებული ხალხი ხმაურობდა, და მაინც ირგვლივ თითქოს სამარისებური მდუმარეგაა, მთელი ეს ხალხი ერთ სულად და ერთ პირად შეუკრავს, თითქოს პერსპექტივა წაშლილია, მდუმარებით მოხატულ ამ ორგანზომილებიან სურათში რეალური მხოლოდ ეს ხანძარი, მხოლოდ ეს საქაჩავებიღაა.

დროდადრო ვინმე დაგვიანებული თუ მოირბენდა, თავისიანებს გასძახებდა, ძახილზე ძახილითვე გამოეპასუხებოდნენ, ერთბაშად წამოვიდოდა მათი გამოცოცხლებული, ხალისიანი ხმები. მერე ნაბათი თანდათან მიწყდა, ზარები თანდათან დადუმდა.

ხალხის ყურადღება რომ არ მიეპყრო, კომაკო შეუმჩნევლად გაერიდა, ჯგუფად შეკრული გოგო-ბიჭების უკან მიდგა. ცეცხლის სიმხურვალისაგან შეწუხებული ბავშვები უკან-უკან იხევდნენ. თოვლი თანდათან გალღვა, ერთ ადგილას ადგანდგარებული ხალხის ფეხქვეშ აიდგვიფა.

სიმამურა ხანძრის საყურებლად თავმოყრილ სოფლელებთან ერთად ალმოდებული სახლის ბოსტანში იდგა, ხანძარი, როგორც ჩანს, სახლის შესასვლელში გაჩნდა, იქ, სადაც კინოპროექტორი იყო, ცეცხლს თითქმის მთელი ნახევარი შენობა მოეცვა, მართალია, კოჭები და დირეები ჯერ არ ჩამოქცეულიყო, მაგრამ ალი ბრიალით ეკიდა. იქ, სადაც ყავარი და ფიცრული კედელი უკვე ჩამწვარიყო, ბოლი ახლა კანტიკუნტადღა ამოდიოდა, წყლით დაჟიებული სახურავები თითქმის ჩანელებული იყო, ალი კი მაინც ხან სად იფეთქებდა და ხან სად. მაშინ სამივე საქაჩავიდან წყალი

თქრიალით წამოვიდოდა, ცაში ბოლქვ-ბოლქვად აიზლაზნებოდა კვამლი, დიდრონი ძნებივით შეიკვრებოდა ბურჯღალი.

ნისლეულს შერეული ნაპერწკალი ქრებოდა და სიმამურას ასე ეგონა, საცაა თვითონაც ირმის ნახტომში უნდა შეცურებულიყო, მოკაშკაშე ნისლეულს უნდა შერეოდა; როგორც კი ბოლი ირმის ნახტომის კალაპოტში მოხვდებოდა, ირმის ნახტომი ხმაურით დაეშვებოდა დაბლა-დაბლა. წყალი მერხევ ნაკადად სცემდა შლანგიდან, თითქოს ირმის ნახტომის კაშკაშა შუქი აირეკლაო, სახლის სახურავზე ასხლეტილი, თეთრი შადრევანივით აიშლებოდა ზეცაში.

სიმამურას გვერდით შემთხვევით მოხვედრილმა კომაკომ ხელზე ხელი მოჰკიდა.

სიმამურამ ერთი მოიხედა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

ქალს აღგზნებულ სახეზე ცეცხლის ათინათი დასთამაშებდა, თმა ოდნავ ჩამოშლოდა, იდგა ასე კისერწაგრძელებული და ცეცხლმოდებულ შენობას შეჰყურებდა. გულზე ენით უთქმელი სევდა შემოაწვა სიმამურას, დაუოკებელმა წადილმა აავსო. ერთი სული ჰქონდა, ქალს ოდნავ, სულ ოდნავ მაინც შეხებოდა, თითები უთრთოდა... თბილი, თბილი ხელები ჰქონდა სიმამურას, ხელები ცეცხლივით უხურდა კომაკოს... და სიმამურამ როგორღაც თვალნათლივ შეიგრძნო - მათი განშორების დღე უკვე მოახლოებული იყო.

ალი ახლა კარის ბოძს მისწვდა, აბრიალდა, მალე ჭავლივით წამოსული წყალი ცეცხლზე აშიშინდა, თეთრი კვამლი ამოიზლაზნა, წყლისაგან დამძიმებულმა კოჭმა და ნივნივამ თანდათან ცალ მხარეს დაიწია. ანაზდად ყველამ ერთად იკივლა, მაგრამ კივილი მაშინვე მიწყდა.

ხალხი სულთქმამოღებულივით გაირინდა - მეორე სართულის აივნიდან ვიღაც ქალი ვარდებოდა. თვალის დახამხამებაში იგი უკვე მიწაზე ეგდო, მაგრამ ქვევიდან მაყურებლებს ეს დრო რატომღაც უსასრულო ეჩვენათ. იქნებ ამისი მიზეზი ისიც იყო, ქალი ჰაერში როგორღაც უცნაურად მოდიოდა. პირველი შეხედვისთანავე ყველასათვის აშკარა გახდა, რომ იგი გონებაზე აღარ იყო, ჩუმად, უხმაუროდ დაეცა მიწაზე. ირგვლივ ის ადგილი წყლით იყო მოჟივებული და არც თოვლის კორიანტელი ავარდნილა. ქალი ზუსტად ნახანძრალსა და ახალწამოქოჩრილ ცეცხლს შორის ჩაეცა.

უცნაურად ვარდებოდა, ჰორიზონტალურად. სიმამურა გაოგნებული იდგა.

ეს ისე მოულოდნელად მოხდა, აზრზე მოსვლა ვერ მოასწრო. სიზმარეულს ჰგავდა ზევიდან ირაოდ წამოსული ქალის სხეული, არაამქვეყნიურს. უცნაურად გაშეშებული, თან ლბილი, ცვილივით დამყოლი. თოჯინასავით ვარდებოდა, უსიცოცხლოდ, ყოველგვარი წინააღმდეგობის გაუწევლად, თითქოს ამ სხეულში არც სიცოცხლე ყოფილა, არც სიკვდილი დაეუფლებოდა არასოდეს. სიმამურას გულში

ერთმა, მხოლოდ ერთადერთმა მღელვარე აზრმა გაუარა - ოღონდ თავი არ ჩამოუვარდეს, წელში არ გაიღუნოს, მუხლი არ მოეკეცოს!.. თითქოს ასედაც იყო მოსალოდნელი, და აი, სხეული ისევე დაეცა მიწაზე, როგორც ვარდებოდა - გაშლილად, ჰორიზონტალურად.

- ა-ა-ა!..

გულშემზარავად იკივლა კომაკომ და თვალებზე ხელი აიფარა. შიშისაგან დაზაფრული ხალხის სულთქმა, კომაკოს გულის წამღები კივილი, დაცემულის ფეხებში ჩავლილი აგონია - ყოველივე თითქოს ერთდროულად, ერთი თვალის დახამხამებაში მოხდა.

სიმამურა გაქვავებული იდგა, მაინც როდის, როდის გაიცნობიერა სიმამურამ, ზევიდან გადმოვარდნილი ქალი იოკო რომ იყო?

იოკოს სხეულის კუნთები ოდნავ დაეჭიმა, დაეძაგრა, მაგრამ კრუნჩხვამ მაშინვე გაუარა. ესეც მხოლოდ მერეღა გაიცნობიერა სიმამურამ - ჯერ სახე დაინახა იოკოსი, მისი ლამაზი, მშვენიერი სახე და გაფრენილისრებიანი კიმონო. გულაღმა დაცემულ ქალს კიმონოს კალთა ოდნავ წამოხდოდა და მუხლისთავები მოუჩანდა. გონს არც მიწაზე დაცემისას მოსულა, მხოლოდ ფეხის ნაკუთალებს ჩაურბინა კრთოლვამ, ეგ იყო და ეგ... სიმამურამ სიკვდილი ვერ შეიგრძნო, თითქოს იოკოს სხეულიდან გაფრენილი სიცოცხლე მის სხეულში ჩაბინავდა, თითქოს ეს სიკვდილი კი არა, მხოლოდ და მხოლოდ გარდასვლის აღსრულება იყო.

მეორე სართულის აივანზე, იმ ადგილას, საიდანაც იოკო გადმოვარდა, რამდენიმე კოჭმა დაიწია და ზედ მის თავს ზემოთ აბრიალდა. ცეცხლის ათინათმა კრთოლვით გადაურბინა ფერმიმკრთალ სახეზე - მზისფერი თვალები დახუჭული ჰქონდა, ნიკაპი - წამოწეული, კისრის ხაზები დაგრძელებოდა.

და სიმამურას ანაზდად მატარებელი გაახსენდა... გაახსენდა, ფანჯრის მინაზე არეკლილ იოკოს სახეზე, შორს, მინდორში აბდღვრიალებული ცეცხლის შუქმა როგორ იფეთქა.

მაშინ იგი კომაკოსთან მოდიოდა. და აი, ამ წუთიერმა მოგონებამ კომაკოს გვერდით გატარებული თვეები და წლები წაშალა, ამან კი კვლავ დაუძლეველი ტკივილითა და სევდით აავსო სიმამურას გული.

კომაკო უკვე მის გვერდით აღარ იდგა - იგი წინ გიჟივით გარბოდა. მგონი ეს მაშინ მოხდა, გულშემზარავად რომ იკივლა და ამ კივილზე ზღვასავით მომდგარმა ხალხმა სუნთქვა შეიკრა.

აი, კომაკოს კიმონოს გრძელი კალთა ფეხებში აებლანდა, წყლისაგან ჩაშავებულ ნაცრის გროვაზე წატორტმანდა... მერე იოკოს დასწვდა, წამოსწია, ხელში აიყვანა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა... მიდიოდა და სახეში შეშლილივით ჩასცქეროდა. ხელში

ატატებული ისე მიჰყავდა, როგორც საკუთარი მსხვერპლი და საკუთარი ანათემა. იოკოს კი თავი უღონოდ გადაეგდო, ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს ეს-ესაა ზეცად უნდა ამაღლდესო.

ხალხის კედელი შეტოკდა, კივილად იფეთქა და კომაკოს გარშემო შეიკრა.

- გზა!..

გზა მომეცით!..

და სიმამურას ყურთასმენას კომაკოს გულისწამღები კივილი ჩასწვდა:

- ეს გოგო... გაგიჟდება!.. ჭკუიდან შეიშლება!..

კომაკოს სასოწარკვეთილი ხმის გაგონებაზე სიმამურა ადგილიდან მოწყდა, მაგრამ წაბარბაცდა და იქამდე ვეღარ მიაღწია - ვიღაც უცხო მამაკაცებმა, რომლებიც კომაკოსაკენ მიიწევდნენ და ტვირთის ჩამორთმევას ცდილობდნენ, ხელი ჰკრეს, წინ აღარ გაუშვეს. მერე, ოდნავ სული რომ მოითქვა, თავი ასწია, ცას შეხედა - ირმის ნახტომი გრუხუნით ეშვებოდა მიწისკენ, პირდაპირ სიმამურასაკენ მოიწევდა..